ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

js[if,fsb7 ^ bdybcb7 @)!@

1133 (5823)

afcb5 #) stshb

6 ივნისიდან

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+

ნტნხტჰბ

* კფჰბ




# ნუკრი ქანთარია: ოპოზიციას სააკაშვილზე კომპრომატებს მისივე გარემოცვა აწვდის“



გვ.3

## ჰილარი კლინტონი: სეპარატისტული რეგიონების წარმომადგენლებს ამერიკაში ჩასვლა უნდა გაუადვილდეთ“

გვ.5



ამერიკა დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისკენ მოგვიწოდებს

## სააკაშვილი არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების პირობას იძლევა

გვ.3





## მაჟავარიანი კენჭს სამგორში იყრის

გვ.5

ნაციონალებმა მაჟორიტარობის კანდიდატების დასახელება დაიწყეს



გვ.4

## ჯონდი ბაღათურია: სააკაშვილმა ხალხს ჯანდაცვა და განათლება მოჰპარა“





გვ.2

## მემარჯვენეები და ქრისტიან-დემოკრატები ხელისუფლებას კულისებში ეარშიყებიან“

## რატომ გაჩნდა დავითგარეჯის გარშემო პრობლემები

გვ.6



## კონტროლის პალატა სიკეთის კეთების საწინააღმდეგო მექანიზმია“

გვ.6

ISSN 1987-9385

2 დავით ბაქრაძე ზუგდიდში გარემოვაჭრეებს შეხვდა

7 ჯუმბერ თავართქილაძე: აჭარაში შეიძლება სერიოზული პრობლემები შეიქმნას“

2 მინდია გულუას დევნილები უპირისპირდებიან

7 როგორ უნდა ჩატარდეს გამოცდები

# მემარჯვენეები და ქრისტიან-დემოკრატები ხელისუფლებას კულისებში ეარშიყებიან“

თამარ ნინიძე

**დამოუკიდებელი ექსპერტი და „ქართული ოცნების“ მრჩეველი გია ხუხაშვილი „პრაიმ-ტაიმის“ ოფისში ჟურნალისტებთან საუბრის დროს ჰილარი კლინტონის ვიზიტს შეეხო. მან თქვა, რომ ვინაიდან არ წარმოადგენს კოალიციას, მისი განცხადებები ოფიციალური არ იქნება, თუმცა პირადად მას მიაჩნია, რომ ჰილარი კლინტონის ვიზიტი — ეს არის ქვეყნის მხარდაჭერა, ამ ტიპის ვიზიტებს თავისი ნორმები აქვს. არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, კლინტონი ხვდება ხელისუფლებას. საზოგადოებასთან და პოლიტიკურ სპექტრთან შეხვედრას რაც შეეხება, აქ იმის წარმოდგენა, რომ ყველაფერი სხვაგვარად შეიძლება ყოფილიყო, შეუძლებელია.**

ცნობილია, კოალიციამ ოფიციალურად მიმართა ამერიკის საელჩოს თხოვნით, რომ სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი პირისპირ შეხვედროდა კოალიციის ხელმძღვანელ ბიძინა ივანიშვილს. ამიტომ არის ინტერესი. ხუხაშვილი ფიქრობს, რომ ეს მიმართვა უფრო დეკლარაციული ხასიათის იყო, „ქართულ ოცნებას“ არ ჰქონია კატეგორიული მოთხოვნა.

„შეხვედრის ფორმატში როცა მონაწილეობს სამი პოლიტიკური ერთეული, სადაც ორი ფაქტობრივად ინტეგრირებულია ხელისუფლებაში, ასეთი ტიპის შეხვედრაში ივანიშვილის მონაწილეობა გაუგებარი იქნებოდა. კოალიცია სამი ადამიანით არის წარმოდგენილი ამ შეხვედრაში. ივანიშვილს თავის პირველივე განცხადებაში ყველასთვის სახელი აქვს დარქმეული, მე პირადად ამ მოსაზრებას ვიზიარებ, იმიტომ, რომ დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს როგორც ქრისტიან-დემოკრატების სახეებთან, ისევე ახალ მემარჯვენეებთან, ვაკვირდები ამ ყველაფერს გვერდიდან. ყველაფერს უნდა დაერქვას სახელი. კულისებში თამაშებს თავი უნდა დავანებოთ, თუ ოპოზიციური პარტია იმაზე მეტად თანამშრომლობს ხელისუფლებასთან, ვიდრე ეს პოლიტიკური ტექნოლოგიების ფარგლებში ეტევა და კულისებში გარიგებებით არის დაკავებული, უნდა თქვას ამაზე. ქუჩაში ამტკიცებდე, რომ ხარ ოპოზიციური პარტია და პარალელურად იმას აკეთებდე, რაც ქრისტიან-დემოკრატებმა კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით გააკეთეს, ეს არ არის კეთილსინდისიერი“, — მიაჩნია ხუხაშვილს.

ქართული საზოგადოების მოტყუების, მანიპულირების საშუალება არც ერთ პარტიას არ უნდა ჰქონდეს. ივანიშვილი აგრესიის გარეშე არქმევს მათ იმ სახელებს, რაც შეეფერებათ. ექსპერტის აზრით, კოალიცია გამომდინარე შეერთებული შტატების ფაქტორის მიმართ პატივისცემიდან, ამ შეხვედრაზე წარმოდგენილია.

კითხვა იყო, იცის თუ არა ჰილარი კლინტონმა, რა ხდება საქართველოს ოპოზიციურ სპექტრში, იმიტომ, რომ ამ შეხვედრაზე არ იქნენ დაშვებული ბურჯანაძე და კუკავა. ცხადია, ხუხაშვილი კლინტონის მაგივრად ამ კითხვას ვერ უპასუხებდა, მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ კლინტონის ვიზიტის ოფიციალურ ნაწილს ამზადებს ასევე ხელისუფლება. სააკაშვილს საშუალება რომ ჰქონოდა, კოალიციის ამ შეხვედრაზე დაშვების წინააღმდეგიც იქნებოდა, მაგრამ მათთან დაკავშირებით არგუმენტები არ ჰქონდათ, ხოლო ბურჯანაძესა და კუკავასთან დაკავშირებით სააკაშვილი ყველა ღონეს იხმარდა, რომ მოეთხოვა კატეგორიულად ამ პოლიტიკოსების არდაშვება. ჰილარი კლინტონი ამ მოთხოვნის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა. მასპინძელს ანგარიშს უწევს ამერიკული მხარე.



კარგი იქნებოდა, პოლიტიკური სპექტრი უფრო ფართოდ ყოფილიყო წარმოდგენილი, რათა სახელმწიფო მდივანს უფრო ნათელი წარმოდგენა ჰქონოდა, რეალურად რა ხდება საქართველოში, მაგრამ ეს ასე ვერ მოხდა.

ქართული სახელმწიფოსთვის ამერიკასთან სტრატეგიული პარტნიორობა ძალიან მნიშვნელოვანია, ნაციონალური არხები პოზიტივზე ისაუბრებენ, ოპოზიცია კრიტიკაზე გაამახვილებს ყურადღებას. „საინფორმაციო ხმალაობას ექნება ადგილი ამ სამი დღის მანძილზე. იმედია თანამშრომლობა ამერიკასთან გაგრძელდება, სახელმწიფოს უკუსვლის საფრთხე არ დაემუქრება, განსაკუთრებულ წინსვლას არ ველი გამომდინარე იქიდან, რომ მორიგი შუალედური ფინიში იქნება ოქტომბრის არჩევნებზე. დიდი ავანსები ამერიკის მხრიდან არ გაიცემა. რევიზია უნდა ჩატარდეს ქარტიასთან დაკავშირებით. სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტია არა მხოლოდ უფლებებია, არამედ ვალდებულებები. მათი უდიდესი ნაწილი საქართველოს ხელისუფლებას არა აქვს შესრულებული. კონტრაქტის პირობებს არღვევს საქართველოს ხელისუფლება. ამაზე იქნება კრიტიკა. ამაზე იქნება საუბარი ერთი ერთზე შეხვედრის დროს თუ ბრიფინგზე, ცნობილი არ არის, მინიშნებები მაინც იქნება“, — ფიქრობს ხუხაშვილი.

თეთრი სახლი საქართველოს ხელისუფლებას კონკურენტულ გარემოში სთხოვს არჩევნების ჩატარებას, ამერიკის საელჩო კვალიფიციურ შეფასებებს აკეთებს და ამის შესახებ უნდა იცოდეს კლინტონმა. სახელმწიფო მდივანს ეს შეფასებები უკვე ექნება გაცნობილი და ექნება წარმოდგენა რეალურ ვითარებაზე და არა ვირტუალურზე, რასაც ოსტატურად წარმოაჩენს სააკაშვილი. ექსპერტი მიიჩნევს, რომ მედიაში არსებული მდგომარეობის თაობაზეც იქნება გარკვეული დასკვნები. ხუხაშვილი არ იზიარებს ვერსიას, რომ ჰილარი კლინტონი ხელისუფლების მხარდასაჭერად ჩამოვიდა, ეს იქნებოდა შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის უდიდესი შეცდომა იმიტომ, რომ მათ აქვთ ძალიან ცუდი მაგალითები ასეთი ტიპის ქმედებებისა ეგვიპტესა და სხვა ქვეყნებში. არჩევანს აკეთებს ქართველი ხალხი. თუ პოლიტიკა არაკონკურენტული იქნება, ჰილარი კლინტონის მხარდაჭერაც ვერ იქნება უნივერსალური მექანიზმი ხელისუფლების შენარჩუნებისა. ეს თეთრ სახლს მშვენივრად ესმის.

გასაგებია, რომ ნაციონალური მოძრაობა ძალიან მოწადინებულია, ივანიშვილმა კანონს გადააბიჯოს და როგორც პოლიტიკოსმა, პოლიტიკის ლაბირინთებში კისერი წაიმტვრიოს. მაგალითად, საკონსტიტუციო ცვლილებები როგორც მორთმეული საჩუქარი, ისე მიიღოს, მაგრამ ხუხაშვილის აზრით, ქართულ ოცნებას იმიტომ უნდა ხელისუფლებაში მოსვლა, რომ კონსტიტუცია, როგორც ქვეყნის მთავარი დოკუმენტი, იყოს ხელშეუხებელი. დიდი არგუმენტები და ახსნა არ დასჭირდება ჰილარი კლინტონს, თუ რატომ არ სარგებლობს ამ ქვეყნისთვის საშიში კანონით ივანიშვილი. „არ უღირს ბიძინა ივანიშვილს ხელისუფლებაში მოსვლა კონსტიტუციის გათელვის ფასად, კანონის უზენაესობა რომ არის დარღვეული, იმიტომ მოდის ხელისუფლებაში“, — აცხადებს ხუხაშვილი.

ექსპერტი ხუხაშვილი იხსენებს 2009 წელს სააკაშვილთან შეხვედრას. მას მიაჩნია, რომ სააკაშვილთან შეხვედრა მისი პროფესიული მოვალეობა იყო. „როგორც ექიმის პროფესიული ვალია, რომ პაციენტს დაუნიშნოს წამალი მიუხედავად იმისა, ის მისი მტერია თუ მოყვარე, ასევეა ჩემთვის ეს. დღეს ქართული ოცნება“ თვლის, რომ ჩემი რჩევები საჭიროა და საინტერესო. პირადი ურთიერთობები მაქვს ყველასთან და კარგია ეს ურთიერთობები, მათ შორის ბიძინა ივანიშვილთან და პირდაპირ გეტყვით, ძალიან მიხარია. სააკაშვილმა მხოლოდ ერთი რამ დამიჯერა, ბენდუქიძე მოხსნა. მე ვუთხარი მას, მესმის, რომ გიყვართ ბენდუქიძე, მაგრამ საზოგადოებას აღიზიანებს. გყავდეს, მაგრამ ჩრდილში იყოს, როგორც ჩანს, დამიჯერა და ჩვენი შეხვედრიდან ერთ კვირაში მოხსნა“, — ამბობს ხუხაშვილი, მაგრამ ბენდუქიძე მაინც არსად წასულა და არაფორმალურად მრჩეველია, ფორმალურად კი უნივერსიტეტის რექტორი.

ბოლოს კი საკუთარ პოლიტიკურ მომავალზე ხუხაშვილი კატეგორიულად გამორიცხავს პოლიტიკოსობას, პარტიის დაფუძნებას და დეპუტატობას.

„პოლიტიკოსად ქართულ საზოგადოებას არ გამოვადგები. პარტიის შექმნა ეს იყო ჩემი მხრიდან იუმორისტული კვირეული, როდესაც ხან მესამე პოლიტიკურ ცენტრს ვეძახდი ჩემ თავს, ხან კონსულტაციებს ვაწარმოებდი. შეიძლება ჩემი ასაკისთვის შეუფერებელი იყო, მაგრამ იყო იუმორისტული კვირეული“, — განაცხადა ხუხაშვილმა.

## დავით ბაქრაძე ზუგდიდში გარემოვაჭრეებს შეხვდა



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე გუშინ ზუგდიდში მრავალპროფილიან კლინიკურ საავადმყოფო „რესპუბლიკაში“ სოციალურად დაუცველ ქალბატონთან ერთად მივიდა და უმწეოთათვის განსაზღვრული სამედიცინო დახმარების პაკეტით სარგებლობის პროცედურას დააკვირდა.

საინფორმაციო პორტალ „ლაივპრესის“ ინფორმაციით, კლინიკიდან გამოსული პარლამენტის თავმჯდომარე საავადმყოფოს ეზოში მის შესახვედრად მისულ გარემოვაჭრეებს შეხვდა, რომლებიც უკვე მეხუთე დღეა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის შენობასთან საპროტესტო აქციებს მართავენ.

გარემოვაჭრეები დავით ბაქრაძეს გარევაჭრობის საკითხთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებზე ესაუბრნენ. მათი თქმით, ადგილობრივი ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევს და გარემოვაჭრეების მოთხოვნებს არ ითვალისწინებს.

გარემოვაჭრეებმა დავით ბაქრაძეს აუხსნეს, რომ მათ ბაზრის შიგნით სთავაზობენ სამუშაო ადგილებს, რომლებიც მოუწესრიგებელია. ამასთან, ვერ გადაიხდიან გადასახადს მცირე შემოსავლის და სესხების მიზეზით. პარლამენტის თავმჯდომარემ გარემოვაჭრეებს განუცხადა, რომ იგი მათ ვერ დაპირდება გარევაჭრობის დაკანონებას, რადგან ეს საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია, თუმცა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორთან და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელთან ერთად ამ საკითხს დღეს მათთან შეხვედრისას განიხილავს და კონკრეტულ გადაწყვეტილებას საუბრის შემდეგ გააცნობენ.

დავით ბაქრაძის თქმით, გარემოვაჭრეების პრობლემა არა დროებით, არამედ სამუდამოდ უნდა მოგვარდეს და ისეთი გამოსავალი უნდა მოიძებნოს, აქციის მონაწილეები რომ დაკმაყოფილდნენ. ამასთან, კანონმდებლობა არ დაირღვეს და ბაზრის შიგნით შესვლის შემთხვევაში შეღავათებით უნდა ისარგებლონ და რამდენიმე თვის განმავლობაში გადასახადებისგან გათავისუფლდნენ.

თავის მხრივ, გარემოვაჭრეები ამბობენ, რომ შეთავაზებულ ალტერნატიულ ადგილებს მას შემდეგ დათანხმდებიან, როცა იქაურობა მოწესრიგდება და მათ ნორმალური ვაჭრობის პირობები ექნებათ, მანამდე კი გარევაჭრობის ნება დართონ.

**მედიანიუსი**

## ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო დევნილების ინტერესებს უნდა გამოხატავდეს

„სახალხო კრების“ დევნილთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო დევნილების ინტერესებს უნდა გამოხატავდეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „სახალხო კრებიდან“ აცნობეს, რამდენიმე დღის წინ დევნილთა და განსახლების სამინისტროს შენობასთან დამოუკიდებელ სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქცია გაიმართა, სადაც გააპროტესტეს დევნილების როგორც საცხოვრებელი, ასევე დევნილი სტუდენტების უმძიმესი პირობები და მოითხოვეს მინისტრთან შეხვედრა, რასაც კობა სუბელიანის მხრიდან არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია.

სახალხო წარმომადგენლობითი კრების დევნილთა კომიტეტი აცხადებს, რომ ქვეყანაში, სადაც ცხოვრობს ასიათასობით დევნილი, რომელთა სოციალური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, ქვეყანაში, სადაც დაუცველია ადამიანის უფლება მიიღოს განათლება, დევნილთა და განსახლების სამინისტრო არაფერს აკეთებს დევნილი სტუდენტებისათვის, რომელთაც არ შეუძლიათ გადაიხადონ უსაშველოდ გაზრდილი სწავლის გადასახადები. თანხები, რომლებიც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან შემოედინება, არ არის გამჭვირვალე და სავარაუდოდ არამიზნობრივად იხარჯება, რაც პოლიტიკური ნიშნით გამოყოფილი რამდენიმე სტუდენტის დაფინანსებით გამოიხატება.

მათი განცხადებით, დევნილთა სამინისტრო უნდა ემსახურებოდეს მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რასაც ის ნამდვილად თავს ვერ ართმევს, რის მაგალითსაც წარმოადგენს დევნილების იძულებით გასახლება სხვადასხვა რეგიონებში, რითაც მათი სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა უმუშევრობისა და საარსებო პირობების უქონლობის გამო.

სახალხო კრების დევნილთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ 28 ლარიანი დახმარება, წარმოადგენს საარსებო მინიმუმის თითქმის მეხუთედს და შეუძლებელია სწავლის გაზრდილი გადასახადებისა და ოჯახის რჩენა, ამიტომ სახალხო წარმომადგენლობითი კრების დევნილთა კომიტეტი უერთდება სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნებს და აცხადებს: დევნილ სტუდენტებს მოუხსნან სწავლის გადასახადები, ან უკიდურეს შემთხვევაში გაეწიოთ შეღავათები და 28 ლარიანი დახმარება გაუტოლდეს საარსებო მინიმუმს, რითაც დევნილებს დაუბრუნდებათ განათლების მიღებისა და არსებობის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები.

**ინტერპრესნიუსი**

## მინდია გულუას დევნილები უპირისპირდებიან



პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ მთავარ პოლიტიკურ მრჩეველს მინდია გულუას დევნილთა ნაწილი უპირისპირდება და უნდობლობას უცხადებს.

როგორც „ნიუსპრესთან“ საუბარში აფხაზეთიდან დევნილმა, ჟურნალისტმა ნინო შონიამ განაცხადა, ინფორმაცია იმის შესახებ რომ შეიქმნა ფონდი, სადაც მინდია გულუამ ათეულობით მილიონი გადარიცხა, არასწორია.

მისივე თქმით დევნილებს რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენის მინდია გულუასაგან რაიმე სახის დახმარება არც ფონდის შექმნის განცხადებამდე მიუღიათ.

„ამ ადამიანის მხრიდან აბსოლუტურად არსად არ გამიგია ისეთი რამ, რომ ეს კაცი გვერდით დაგვიდგა ან მოგვხედა. მინდია გულუას მოღვაწეობა უკვე ძალიან სერიოზულ ეჭვებს იწვევს, ეჭვების წარმოქმნის პროცესი თვით დევნილებშიც დაიწყო“ — აღნიშნა ნინო შონიამ.

ჟურნალისტი არ გამორიცხავს, რომ მინდია გულუას მეშვეობით ხელისუფლება რაიმე ფორმით დევნილთა ხმების დასაკუთრებას ცდილობდეს.

პარტიამ „განახლებული საქართველოსთვის“ 12 მაისს რუსთაველის პროსპექტზე გამართულ დევნილთა შეკრებაზე განცხადება გააკეთა, რომლის თანახმად იქმნება ფონდი, რომელშიც მინდია გულუა 25 მლნ აშშ დოლარს შეიტანს. Aასევე, პარტიის პრესსამსახურის მიერ 1 ივნისს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფონდი ფუნქციონირებას უახლოეს დღეებში დაიწყებს.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ნუკრი ქანთარია: ოპოზიციას სააკაშვილზე კომპრომატებს მისივე გარემოცვა აწვდის“



შორენა კოწოწაშვილი

## ინტერვიუ ქართული აკადემიის“ წევრ ნუკრი ქანთარიასთან

***— ბატონო ნუკრი, თქვენი აზრით, რამდენად დაუმძიმდა ვითარება ხელისუფლებას და იგრძნობა, რომ ხელისუფლება დამარცხებას ეგუება?***

— ჩვენ ყველას უნდა ვაჩვენოთ, რომ ერთიანი ძალით მართლაც გვაქვს უნარი, მოვახდინოთ მნიშვნელოვანი გარღვევა და ოქტომბერში ეს ხელისუფლება შევცვალოთ არჩევნების გზით. რა თქმა უნდა, ამას ხელისუფლება გრძნობს და ცდილობს, არ შეიმჩნიოს. აქამდე „ქართული ოცნება“ ამზადებდა დეკორაციებს, თუმცა, მას არ დაუწყია ძირითადი სპექტაკლი. მოკლედ, ინფრასტრუქტურას ამზადებდნენ შტაბები რეგიონებში. ჯერ გადამწყვეტი ნაბიჯები არ ყოფილა. ეს ახლა, 27 მაისს დაიწყო. ეს ხელისუფლება შიშის გამო ყველანაირად ცდილობდა ბიძინა ივანიშვილის შევიწროებას, ბანკის დაყაჩაღებიდან დაწყებული, მოგელაძის ქმედებებით დამთავრებული. კონსტიტუციაში ცვლილებები სწორედ ივანიშვილისთვის შეიტანეს. ეს ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ეს ხელისუფლება უკვე კარგადაა შერყეული. ამიტომ მაქსიმალურად შეეცდება, ძალაუფლება არ დათმოს. სარკოზიმ საფრანგეთში არჩევნები 3%-ით წააგო. რომ ვთქვათ, 3%-ის გაყალბებას არაფერი უნდოდა, მაგრამ სარკოზიმ თავის ხალხს ეს არ აკადრა და წავიდა. ჩვენ გვაიმედებს ის ფაქტი, რომ მოსახლეობა უკვე საკმაოდ გამოღვიძებულია რეგიონებში. ივანიშვილის ძალიან დიდი მოლოდინი აქვთ. ძალიან აქტიურად აკვირდებიან საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებიც. ჩიკაგოს ნატოს სამიტზე ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ ელოდებიან, როგორ ჩატარდება ეს არჩევნები. ოქტომბრის არჩევნები, ფაქტობრივად, არის ინდიკატორი იმისა, თუ როგორ გააგრძელებს ჩვენი ქვეყანა სვლას: ცივილიზაციისკენ წავა თუ ბანანის რესპუბლიკად დავრჩებით. 2012 გადამწყვეტი წელია, ამიტომ მაქსიმალურად უნდა დავუჭიროთ მხარი საზოგადოებამ ცვლილებებს. მე, პირადად, „ქართული აკადემიის“ წევრებთან ერთად ვაპირებ რეგიონებში ჩასვლასა და იქ ცხოვრებას გარკვეული პერიოდი, რათა აქტიურ კოორდინაციაში ვიყოთ ადგილობრივ მოსახლეობასთან. სამუშაო ძალიან დიდია. გარანტირებული წინასწარ არაფერია. ბრძოლა იქნება მართლაც დაუნდობელი, იმიტომ რომ ხელისუფლება არ დათმობს თავისი ნებით. მხოლოდ საზოგადოების სიმრავლე და ხალხის არჩევნებზე აქტიურად მისვლა დაათმობინებს; და მეორე, ხმების დაცვაც იქნება ასევე ძალიან მნიშვნელოვანი. ვფიქრობ, საბოლოოდ უნდა შევძლოთ ამ რეჟიმის დამარცხება. ეს შანსი უნდა გამოიყენოს ქართველმა საზოგადოებამ.

***— პრეზიდენტი ვერ აცნობიერებს, რომ მძიმე მდგომარეობაშია თავადაც და მისი გუნდიც? საკმაოდ მძიმე განცხადებები გააკეთა: რომ სოხუმი საქართველოს შემადგენლობაში არასოდეს ყოფილა, რომ დაკარგული ტერიტორიები უსარგებლო ქვების გროვა იყო და ბევრი დავითგარეჯის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ხელისუფლების ინტერესებით ხსნის.***

— დასავლეთის განცხადებები მოწმობს, რომ ძალიან ადეკვატურად აფასებენ სააკაშვილის ხელისუფლების ნაბიჯებს. ყველა ხვდება, რომ სააკაშვილი ამოვარდნილია რეალობიდან და გაუწონასწორებელი პიროვნებაა. ყველამ მოისმინა მისი განცხადება სოხუმთან მიმართებით, ვნახეთ კადრები, ძლიერი წვიმის დროს როგორ გაემგზავრა სლოვენიაში ფეხბურთის მატჩზე. იყო ძალიან მშვენიერ ხასიათზე და იკრიჭებოდა. მერე ვნახეთ ის შოპინგი, რომელიც იტალიაში ჩაატარა. ეს შემთხვევითი არ არის. სააკაშვილი რომ რყევებს განიცდის, ეს ფაქტია. ამიტომ ზოგჯერ დაუფიქრებლად და გაუაზრებლად აკეთებს განცხადებებს, ვერ აკონტროლებს, რა წამოსცდება და სოხუმზე გაკეთებული განცხადებაც ამის მაგალითია. ამერიკაშიც და ყველგან ცდილობს, ყველას დაანახვოს, რომ ის ჯერ კიდევ საჭირო კაცია. რაც შეეხება დავითგარეჯს, ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ეს ხელისუფლება ისტორიულ მემკვიდრეობაზე კი არ ზრუნავს, პირიქით, უდიერად ეპყრობა მას.

***— ხელისუფლების წარმომადგენლებმა ალიევისა და სააკაშვილის ჩიკაგოში საუბრის შემდეგ განაცხადეს, რომ ყველას შეუძლია, უპრობლემოდ ნახოს დავითგარეჯი. ეს განცხადებაც დამატებით კითხვის ნიშნებს იწვევს?***

— ჩვენ ეჭვი გვაქვს და ვთქვით კიდეც, რომ ეს შეიძლება იყო ან რაღაც გაცვლა, ან მორიგება, ან ატეხილი იყო ეს აჟიოტაჟი იმის გამო, რომ მერე ვითომ ამათ ეთქვათ, თითქოს საკითხი მოაგვარეს. მაგრამ რა მოაგვარეს? კაცი გადავა პასპორტით აზერბაიჯანში და ამ გზით ისე შეძლებს დავითგარეჯის ნახვას. ისეთ სიწმინდესთან, როგორიც ქართველებისთვის დავითგარეჯია, ასე უდიერად მოპყრობა, როგორც ხელისუფლება ეპყრობა, მას პასუხისმგებლობას ვერ ააცილებს. მათთვის, როგორც ჩანს, გარეჯიც ქვების გროვაა.

***— ზემოთ სააკაშვილის მიერ იტალიაში ჩატარებული შოპინგი ახსენეთ. შემთხვევით გავრცელდა ამის დამადასტურებელი ფოტოები?***

— დამეთანხმებით, ბევრი ადამიანი არ არის, ვისაც შეიძლება სცოდნოდა, რომ სააკაშვილი იტალიაში გეგმავდა ჩასვლას. ეს ინფორმაცია შიგნიდან არის გამოსული. არ არის გამორიცხული, ეს იყოს ვანო მერაბიშვილის უწყებიდან. საიდან და ვის უნდა სცოდნოდა სხვას. მაშინ ჩვენ ძალიან საინტერესო პროცესების განვითარებას უნდა ველოდეთ. რამდენადაც ინფორმაცია გვაქვს, შინაგანი რყევები უკვე დაწყებულია. ყველა უკვე დაფიქრებულია თავის მომავალ ბედზე. ვიმეორებ, თუ იქნება „ქართული ოცნების“ მხრიდან ძალიან ორგანიზებული კამპანია და თუ არ იქნება საბედისწერო შეცდომები, ჩვენ შემოდგომაზე ეს ხელისუფლება უნდა დავამარცხოთ. ჩემი აზრით, შიგადაშიგ რეგიონებში უნდა მოეწყოს ასეთი ხალხმრავალი შეკრებები, როცა მომწიფდება სიტუაცია. ისე უნდა მომზადდეს სიტუაცია, რომ ის ხალხიც გადმოვიდეს ოპოზიციის და კონკრეტულად კოალიციის მხარეს, რომელსაც სჭირდება გარანტიები. ასეთია მოსახლეობის დაახლოებით 30%. ამ შემთხვევაში მოხდება გარდატეხა.

***— რა ინფორმაციებს ფლობთ, შიდა რყევები ძირითადად რომელ ეშელონებში იგრძნობა? მერაბიშვილმა დამოუკიდებელი თამაში წამოიწყო?***

— პოლიტიკური გამოცდილება აჩვენებს, რომ გასაკვირია არაა, ასეთი რამ მოხდეს, მით უმეტეს — დღეს. მაჟორიტარი დეპუტატები კარგა ხანია უკვე დაფიქრებული არიან და ამ რეჟიმში განაგრძობენ თავიანთ ბედზე ფიქრს. ასევე ნაციონალური მოძრაობის ქვედა ეშელონებშიც საკმაოდ ფეხმოკიდებულია შიში და ამიტომაც არაერთხელ ითქვა კოალიციის მხრიდან, რომ არავის მიმართ არ იქნება პრეტენზიები, გარდა იმათი, ვისაც სამართალდარღვევა აქვს ჩადენილი. ყველას აქვს შანსი იმისა, რომ თუ არაფერი დაუშავებია და სისხლში არ აქვს ხელები გასვრილი, თავის ქვეყანაში გააგრძელოს ცხოვრება. არავითარი შტურმი და რევანში არ უნდა იყოს, იმიტომ რომ ეს გავლილი გვაქვს და გვეყო. თუ ხელისუფლება არჩევნებით წავა და, ამის იმედი გვაქვს, ჩვენ დავამკვიდრებთ ამ ქვეყანაში ხელისუფლების არჩევნებით წასვლა-მოსვლას. ამაზე დიდი მონაპოვარი უახლოეს მომავალში, ვფიქრობ, არ გვექნება. ასევე, დარწმუნებული ვარ, გარდა სასამართლოსი და მედიის თავისუფლებისა, სოფლის მეურნეობას აუცილებლად ეშველება. ვიცი, რომ სპეციალური ფონდიც შეიქმნება და სოლიდური თანხების ჩადებით სოფლად ვითარება გამოსწორდება. ამ გზით სოფელში ხალხი კიდევ უფრო დამაგრდება. ის, რომ ჯანდაცვის კუთხით წავა სერიოზული რეფორმა და ვითარება რამდენიმე თვეში შეიცვლება, ესეც უნდა იცოდეს ხალხმა. ყველა მოქალაქე იქნება დაზღვეული. სააკაშვილს კი ახლა გაახსენდა, ყოველი მესამე ადამიანი იქნება დაზღვეულიო. თუ „ქართული ოცნება“ კიდევ ასეთ კონკრეტულ მნიშვნელოვან წინადადებებსა და გადაწყვეტილებებს შესთავაზებს. თუ კონკრეტულად ადამიანების გასაჭირზე იქნება დაფუძნებული ეს პიარკამპანია, დარწმუნებული ვარ, ხალხი დაიჯერებს, რომ უკეთესად იცხოვრებს და კოალიციას მხარს დაუჭერს. სხვა პარტიები ამბობენ, ამას ვიზამთ, იმას ვიზამთო, მაგრამ აქ გარანტია ბიძინა ივანიშვილია, რომელიც ხელისუფლებაში ფულის მოსახვეჭად არ მოდის, პირიქით, თავის ფულს ხარჯავს და უნდა, ქვეყანა უკეთესად განვითარდეს და წინ წავიდეს. ამიტომ ეს კაცი არის ამ შემთხვევაში გარანტი იმისა, რომ ეს დაპირებები შესრულდება. ჩემთან საუბარში და სხვებთანაც ივანიშვილს ხშირად უთქვამს, მე არ მინდა, ხალხს ისეთ რამეს დავპირდე, რასაც ვერ გავაკეთებთ და, მხოლოდ იმას დავპირდები, რისი გაკეთებაც შეგვიძლიაო.

***— ხელისუფლებამ პრემიერობის კანდიდატად გიგა ბოკერია გამოკვეთა. ბოკერიასა და ხელისუფლებას აქვს იმის რესურსი, რომ ეს პოსტი რეალურად დაიკავოს?***

— ერთადერთი რესურსი მათ ჯერჯერობით აქვთ ოფიციალური სტრუქტურები და არჩევნების გაყალბების ის გამოცდილება, რაც ქვეყნისთვის საზიანოა. როცა მიდიან ოჯახებში, ემუქრებიან; როცა ეუბნებიან პატიმრების ოჯახებს, რომ ამდენი ადამიანის სია უნდა მოიტანოთ. ძალადობაა ამ შემთხვევაში ამათი ერთადერთი რესურსი. კიდევ არის ადმინისტრაციული რესურსი, დასაქმებულთა წრე, რომელიც სამსახურს ვერ ელევა და შიშობს, არ დაკარგოს და ამის გამო აძლევს ხმას ხელისუფლებას.

***— ბოკერია ვერ შეძლებს საგარეო მხარდაჭერის მოპოვებას?***

— აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ვერც საგარეო და ვერც საშინაო მხარდაჭერას ვერ მიიღებენ, იმიტომ რომ ის ხალხი, რომელიც ბოკერიასა და ამ გუნდს რაღაცად თვლიდა, უკვე სხვა ეშელონებშია და სხვა ფლანგზე გადავიდნენ.




# სააკაშვილი არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების პირობას იძლევა

ნათია ხურცილავა

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა და საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დახურულ კარს მიღმა გამართული შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებისთვის ერთობლივი პრესკონფერენცია ჩაატარეს. საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი და ამერიკის სახელმწიფო მდივანი პირისპირ შეხვედრისას შეთანხმდნენ, რომ ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნებს ამერიკელი სპეციალისტებიც დააკვირდებიან. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა შეხვედრის შემდეგ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

— ხელისუფლებას აქვს მტკიცე ნება, წელს ოქტომბერში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები მოაწყოს. ქართული საზოგადოების მხარდაჭერა დემოკრატიისადმი არის ურყევი, ეს გამოიხატა „ვარდების რევოლუციის“ დროს და დღესაც შეიგრძნობა. მე მივესალმები თქვენს თანხმობას არჩევნებზე საერთაშორისო დამკვირვებლების გამოგზავნასთან დაკავშირებით, იმისათვის, რომ ეს არჩევნები იყოს მაქსიმალურად ტრანსფარანტული და გამჭვირვალე, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

როგორც მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განცხადებები საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ და ასი ათასობით დევნილის საკუთარ სახლებში დაბრუნების უფლებების მხარდაჭერის თვალსაზრისით.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოს ამერიკის დახმარება იმაში სჭირდება, რომ რეფორმები გააგრძელოს და მის მოკავშირეებს ერთგულება დაუმტკიცოს. ამის შესახებ პრეზიდენტმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის, ჰილარი კლინტონთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

— თქვენი პირადი მხარდაჭერა ჩვენი ორივე ქვეყნის ინტერესების გამომხატველია. მინდა პირადად თქვენ და თქვენს ადმინისტრაციას მადლობა გადავუხადო იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც ჩვენს ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანების საკითხებთან მიმართებაში გამოხატავთ. ჩიკაგოს სამიტზე იყო ლაპარაკი იმაზე, რომ ეს საქართველოს მხრიდან წინ გადადგმული ნაბიჯია. როდესაც თქვენ გაფართოების პერსპექტივებზე ისაუბრეთ, ამან ყველას დაანახა, რომ საქართველო ახლოს არის მის ევროატლანტიკურ სივრცისკენ მისწრაფებასთან. უფრო ახლოა, ვიდრე მანამდე იყო და, შესაბამისად, თქვენი სიტყვები ჩიკაგოში, მალამოსავით იყო ჩემი ყურებისთვის. ჩვენ ეს ყველაფერი გვჭირდება იმისათვის, რომ გავაგრძელოთ რეფორმების განხორციელება, ვაჩვენოთ ჩვენი ერთგულება მოკავშირეებს და ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ დიდწილად თქვენი მეგობრობის დახმარებით მივაღწევთ ამ წარმატებას, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის განცხადებით, 2012 და 2013 წლის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები იქნება ერთგვარი ინდიკატორი იმ პროგრესისა, რაც საქართველომ დემოკრატიულ გზაზე განიცადა.

# ჯონდი ბაღათურია: სააკაშვილმა ხალხს ჯანდაცვა და განათლება მოჰპარა“

თეა მარხვაიძე

**ერთი შეხედვით, ყველა წინაპირობა არსებობდა იმისათვის, რომ პარლამენტის გუშინდელი სხდომა ხმაურიანი გამოსულიყო. ჰილარი კლინტონი რომ არა, ალბათ, ყველაფერი სხვანაირად დასრულდებოდა. მაგრამ გუშინ მმართველი გუნდის წევრების ყურადღება ბათუმისკენ იყო მიმართული.**

პარლამენტის სხდომა ვიცე-სპიკერ გიგი წერეთელს მიჰყავდა. სხდომა, როგორც წესი, 20 წუთის დაგვიანებით დაიწყო. დეპუტატები რაღაც მიზეზების გამო მთლად 11 საათისთვის ვერ ახერხებენ სხდომაზე მისვლას. გუშინაც ასე მოხდა.

პირველი სიტყვა ეროვნულ-დემოკრატ გურამ ჩახვაძეს მისცეს, რომელიც ცოტა ხნის წინ თურმე წყალტუბოში იმყოფებოდა, სადაც დევნილების მდგომარეობას გაეცნო. ნანახით აღშფოთებული და შეშფოთებული დარჩა. ამის გამო მან ხელისუფლებას კონსტრუქციული საყვედური უთხრა.

გაცილებით მძაფრი გამოსვლა ჰქონდა ვიცე-სპიკერ ლევან ვეფხვაძეს. ქდმ-ს ერთ-ერთმა ლიდერმა პარლამენტში მინისტრების ალლუმის მოწყობა მოითხოვა. ვეფხვაძის თქმით, უმრავლესობის დაუდევრობის გამო მინისტრები არაფერზე აგებენ პასუხს.

დეპუტატის თქმით, ნახევარი საქართველო დაისეტყვა, ამაზე კი მინისტრებს არანაირი რეაქცია არ ჰქონიათ.

– ხალხს გაუნადგურდა მოსავალი. დაეხოცა შინაური პირუტყვი. ძალიან მძიმე დღეში არიან. მათი პრობლემით არავინ ინტერესდება, იმიტომ რომ ხელისუფლებამ არც კი იცის, ასეთი რამ რომ მოხდა, – ამბობს ვეფხვაძე.

მისი მტკიცებით, საპარლამენტო უმრავლესობა მინისტრებს არანაირ პასუხს არ სთხოვს და ისინიც თავისუფლები არიან.

– უმრავლესობა და მათი კომიტეტები ნაკლებად აქტიურობენ საკუთარი მინისტრების მიმართ. მათ პასუხს არავინ სთხოვს. პარლამენტი პარლამენტს უნდა დაემსგავსოს. პოლიტიკური დებატების რეჟიმში მოვიდნენ და ჩავატაროთ მინისტრების ალლუმი, – განაცხადა ვეფხვაძემ.

ვეფხვაძეს არც სამთავრობო საათის ფორმატი მოსწონს. არ მოსწონს ის, რომ მინისტრები მოდიან და მონოლოგის რეჟიმში აკეთებენ განცხადებებს, სათქმელის დასრულების შემდეგ კი გარბიან და ოპონენტებს არ უსმენენ.

ცნობისათვის, პარლამენტში სამთავრობო საათი ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს იმართება. ფრაქციები მინისტრებს წინასწარ უგზავნიან კითხვებს. მინისტრები სწორედ ამ კითხვებს პასუხობენ მონოლოგის რეჟიმში.

ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა თავი განათლების სამინისტროში მიმდინარე პროცესების გამოც გაინერვიულა.

– ბოლო 8 წელია, განათლების სისტემაში მეათედ იწყება რეფორმა და ამის შესახებ პარლამენტი არ არის ინფორმირებული. განათლების სამინისტროსა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს შორის წარმოქმნილ პრობლემაზე პარლამენტის შესაბამის კომიტეტს არ უმსჯელია. პარლამენტის ასეთ მიდგომას წერტილი უნდა დაესვას, – განაცხადა ვეფხვაძემ.

ვეფხვაძის თქმით, ბავშვები საცდელ კურდღლებად აქციეს და მათზე ექსპერიმენტებს ატარებენ.

მისი გამოსვლა უპასუხოდ არ დაუტოვებია მმართველ გუნდს. პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი გაბაშვილმა ვეფხვაძე და ქდმ არაკომპეტენტურობაში დაადანაშაულა.

გაბაშვილის თქმით, უმრავლესობა ბოლო წლებში უკვე მიეჩვია იმას, რომ რაც განათლების სფეროში გაკეთდება, ოპონენტების მიერ თავიდან უაზრო ექსპერიმენტებად უნდა შეფასდეს, ერთი თვის შემდეგ კი ყველამ უნდა აღიაროს, რომ ნაბიჯი წარმატებული იყო.

– არ ყოფილა არაფერი, რასაც თქვენი აღშფოთება არ გამოეწვია –- დაწყებული საგამოცდო სისტემიდან, დამთავრებული ახალი სასწავლო გეგმით. ეს არ არის სფერო, სადაც წინსვლა ხმამაღალი განცხადებებითა და მხოლოდ კინკლაობისას წამოსროლილი იდეების გამო ხდება. ეს არის სფერო, რომელსაც უნდა მუშაობა, დოკუმენტების გაცნობა, საერთაშორისო გამოცდილებაზე ბევრი ინფორმაციის მიღება, ბევრ ექსპერტთან შეხვედრა, კრიტიკული ანალიზი. ამ სფეროს განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია. ბატონო ლევან, არც ერთ შემთხვევაში არ დაიჯეროთ, თუ ვინმემ გითხრათ, რომ განათლების ეპოქა მთავრდება და განათლების სტატიკური სისტემა იქმნება. შეიძლება, თქვენ ამ ტიპის ექსპერტებთან გაქვთ საქმე, რომლებიც ფიქრობენ, რომ განათლების სისტემის განვითარება შეიძლება რაღაც ეტაპზე შეწყდეს, მაგრამ ეს ასე არ არის. განათლების სისტემისათვის მთავარია ინოვაციები, რომელსაც თქვენ უაზრო ექსპერიმენტებს ეძახით. განათლების სფერო არ არის მხოლოდ საპარლამენტო დებატებისთვის, მხოლოდ ვიშვიშისთვის. ეს არის სერიოზული, დიდი სფერო, რომელშიც მოსწავლეების, აბიტურიენტების, სტუდენტების, მშობლების, მასწავლებლების, ლექტორების სახით ათობით ათასი ადამიანია ჩართული.

ამ სფეროზე ასეთი არაკომპეტენტურობით გამორჩეული გამოსვლა და კრიტიკა იმისა, რაც კარგად არ გესმით, არ შეგშვენით და არ შეგეფერებათ. უკეთესია, თუ ამ სფეროში ჩაიხედავთ, რაღაცას გაიგებთ და წაიკითხავთ. ეს კარგი იქნება თქვენთვის და, მინდა ვაღიარო, ჩვენთვისაც. გისურვებთ წარმატებას განათლების სფეროში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დაძლევის საკითხში, – მიმართა გაბაშვილმა ოპოზიციას.

საპარლამენტო უმრავლესობის განსაკუთრებული აღშფოთება ჯონდი ბაღათურიას გამოსვლამ გამოიწვია, რომელმაც ჯერ კიდევ ორშაბათს გამართულ ბიუროს სხდომაზე დააანონსა, პლენარულზე ხმაურს ავტეხო.

მას ბათუმში მოწყობილ ბორდელებზე უნდა გაეკეთებინა განცხადება. სხვათა შორის, უკვე რამდენიმე თვეა, აქტიურად მიმდინარეობს ამ თემებზე საუბარი. პოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ბათუმში თურქებს ბორდელები აქვთ მოწყობილი. ცხადია, არალეგალურად. პროსტიტუცია ჩვენთან ჯერ დაკანონებული არ არის.

ბაღათურიამ დაპირება შეასრულა, ტრეფიკინგსა და ბორდელებზე ისაუბრა, ამის პარალელურად, საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტი მოითხოვა.

როგორც მან პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, პრეზიდენტი ფრიად უწესოდ ირჯება და „თავად მოუძლვის,



როგორც მეგზური, ყოველგვარ აღვირახსნილობასა და ცოდვას“.

– პრეზიდენტისგან უტაქტო ქცევა ახალი არ არის, მაგრამ ამ ბოლო დროს ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ყველას გვახსოვს, ადრე გამოაცხადა, დავით აღმაშენებელი ვარო და დავით აღმაშენებლის სახელით თავდადებით ებრძოდა საქართველოს ეკლესიასა და სამშობლოს. მერე რაღაც პერიოდი შეწყვიტა და ვიფიქრე, სახადივით მოიხადა-მეთქი, მაგრამ, არც მეტი, არც ნაკლები, ახლა გამოაცხადა, პრომეთე ვარ, გაქსუებულ ოპოზიციას ჯანდაცვა მოვპარე და ხალხს მივუტანეო, – აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

წარმოიდგინა რა სააკაშვილი პრომეთეს ამპლუაში, ბაღათურიას სიცილი აუვარდა. ახითხითდა გიგი წერეთელიც.

– ხომ ხედავთ, ეს ისეთი არასერიოზული განცხადებაა, რომ თავადვე გეცინებათ, – დაუწყო შთაგონება წერეთელმა ბაღათურიას.

– მეცინება იმიტომ, რომ სასაცილოა. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ოღონდ თქვენ ნუ ნერვიულობთ, ბატონო გიგი, – ახლა ბაღათურიამ დამოძღვრა სხდომის წამყვანი.

როცა გაირკვა, რომ წერეთელი არ ნერვიულობდა, ბაღათურიამ თავისი გამოსვლა და ფურცლების ფრიალი გააგრძელა და ახლა თავად მან შეადარა პრეზიდენტი პრომეთეს, ოღონდ – ბოროტს.

– დიახ, პრეზიდენტმა ხალხს მოსტაცა ჯანდაცვა და პირადად მიისაკუთრა,

ერთი ნაწილი მამამისს გადააბარა, მეორე ნაწილზე კი წამლებზე ფასები 800 პროცენტით გაიზარდა, – განაცხადა დეპუტატმა.

მერე მან ბალნეოლოგიური კურორტის ისტორიაც გაიხსენა. ამ თემაზე მას და პრეზიდენტს თებერვალში შეკამათება მოუხდათ. 28 თებერვალს პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე ყოველწლიური მოხსენებით წარდგა. იმ სხდომაზე ოპოებიც გამოვიდნენ. სიტყვით გამოვიდა ბაღათურიაც. მან თქვა, რომ პრეზიდენტის მამა ბალნეოლოგიურის მეპატრონეა.

ეს პრეზიდენტმა კატეგორიულად უარყო. ამასთან, დეპუტატს ბალნეოლოგიურის ტალახში დაზელვის გარანტია მისცა, მეტი ეფექტის მოსახდენად კი უთხრა, მანდატურებსაც გაგაყოლებო.

ბაღათურიამ გუშინ პარლამენტში მიიტანა დოკუმენტები, რომლითაც მტკიცდება, რომ ბალნეოლოგიურის მფლობელი ნიკოლოზ სააკაშვილია.

– გახსოვთ, ალბათ, პრეზიდენტი რომ იტყუებოდა, ბალნეოლოგიური კურორტი მამაჩემის არ არისო. საჯარო რეესტრიდან მაქვს ამონაწერი, რომელიც ადასტურებს, რომ ეს კურორტი მამამისის საკუთრებაა. დირექტორი მამამისი არ არის, მაგრამ სააკაშვილის მამის საკუთრებაა. დირექტორი ვინმე გამახარიაა, – ნიშნისმოგებით აღნიშნა ქართული დასის ლიდერმა.

პრეზიდენტის მამის მხილების შემდეგ ბაღათურიამ პრეზიდენტის დედაც ამხილა.

– პრეზიდენტმა ახალგაზრდა თაობას განათლების სისტემა მოჰპარა და „დედამისს, კახა ბენდუქიძესა და დიმიტრი შაშკინს გადააბარა. ისინი კი ახალგაზრდებს ყვლეფენ, – ამბობს დეპუტატი.

ამის შემდეგ ბაღათურიამ აჭარაზე ისაუბრა. მისი თქმით, ბათუმი ყოველთვის ცნობილი იყო სისუფთავით, მაგრამ ახლა საერთაშორისო ტრეფიკინგის ეპიცენტრად გადაიქცა.

– თურქეთის მოქალაქეებს შუა აზიიდან ახალგაზრდები, მცირეწლოვანი ბავშვები შემოჰყავთ, ძირითადად თურქმენები, ტაჯიკები და უზბეკები. როგორც ბათუმელებმა მაცნობეს, ერთ-ერთმა ბავშვმა თავი მოიკლა და მისი ცხედარი ისე გაქრა, არავის უპოვია. მოქალაქეების არალეგალურად, ასე მასობრივად შეყვანა შეუძლებელია, თუ ამაში შინაგან საქმეთა სამინისტრო არ არის ჩართული. ხელისუფლებამ აფხაზეთი და სამაჩაბლო რუსეთს მიუგდო საჯიჯგნად, აჭარა – თურქეთს, დავით გარეჯზე გვიმტკიცებდნენ, აზერბაიჯანს ეკუთვნისო, მაგრამ მერე უკან დაიხიეს, როდესაც საზოგადოების აღშფოთება ნახეს, – აღნიშნა ქართული დასის ლიდერმა.

მან გაიხსენა ის 120-გვერდიანი კომპრომატი, რომელიც რამდენიმე თვის წინ თავად წარმოადგინა. დეპუტატი მაშინ პრეზიდენტის საქმიანობის შესასწავლად საპარლამენტო კომისიის შექმნას ითხოვდა. ნაცმოძმა ამას, რა თქმა უნდა, მხარი არ დაუჭირა.

როგორც ბაღათურია ამბობს, ეს მასალები კიდევ უფრო გაიზარდა.

– ეს არის საბრალდებო დასკვნა პრეზიდენტისთვის, დოკუმენტური მტკიცებულებები, რომ პრეზიდენტი კორუფციაშია ჩართული, მას აქვს ფარული, ე.წ. ლევი, არადეკლარირებული შემოსავლები და დაუსაბუთებული ქონება. პრეზიდენტის მამა, დედა, ძმები ვერ ასაბუთებენ თავიანთი ასტრონომიული სიმდიდრის კანონიერებასა და წარმოშობას, – აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

მან კოლეგებს აუხსნა, რომ ამის გამო უნდა დაიწყოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა.

– ამ მოთხოვნაზე ჩვენმა ფრაქციამ სრული შემადგენლობით მოაწერა ხელი. მოგიწოდებთ უმრავლესობასა და უმცირესობას, შემოუერთდეთ ხელმოწერებს. ეს იქნება სამართლიანი გადაწყვეტილება და ბილეთი ახალ საქართველოში, – განაცხადა ბაღათურიამ.

ამ სიტყვების თქმა და გიგი წერეთლის ჩაბჟირება ერთი იყო.

– ბილეთი ახალ საქართველოში, ხი, ხი, ხი.... ეს იყო თქვენი გამოსვლის გვირგვინი, ბატონო ჯონდი, – ჩაიხითხითა წერეთელმა.

ხითხითით რომ გული იჯერა, ნაციონალების გასაგონად გააკეთა განცხადება:

– შევიძინოთ, კოლეგებო, ბილეთები, ადგილები შეზღუდულია.

ბაღათურიას შემდეგ სიტყვით პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი გამოვიდა. მან კოლეგების ყურადღება ჰილარი კლინტონის ვიზიტს მიაპყრო. დარჩიაშვილი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ვიზიტს ქვეყნის წარმატებებს უკავშირებს და დარწმუნებულია, რომ ის დემოკრატიული ინსტიტუტების სიძლიერით გულწრფელად არის დაინტერესებული

– ჰილარი კლინტონმა სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში ზოგადი სხდომა უკვე გამართა. ქარტია 4 უმნიშვნელოვანეს სფეროს მოიცავს, რომლებიც ქვეყნის მშენებლობის ფუნდამენტია და ამ ოთხივე სფეროში პროგრესია. საღად მოაზროვნე ადამიანები დაგვეთანხმებიან, რომ ამ მძიმე ვითარებაში საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობას დიდი როლი აქვს. ოპოზიციაშიც კი ძნელია, ისეთი ადამიანი იპოვო, რომელიც შეერთებულ შტატებთან ურთიერთობას სუვერენიტეტის შელახვად წარმოაჩენს. თუმცა, ბატონი ჯონდის ჭრელი ფრაქციიდან ასეთი რამ არ გამიკვირდება. რომ არა ქვეყნის განვითარებაში წარმატებები, ჰილარი კლინტონი დღეს საქართველოში არ ჩამოვიდოდა. საშინაო პოლიტიკის საფუძველზე საგარეო პოლიტიკა კეთდება. საგარეო პოლიტიკა კი საშინაო პოლიტიკას უწყობს ხელს. ეს აქსიომაა. ჰილარი კლინტონის დღევანდელი ვიზიტი იმაზე მეტყველებს, რომ საშინაო პოლიტიკაში, კერძოდ, როგორც უსაფრთხოების ინსტიტუტების მშენებლობის, ასევე ეკონომიკური განვითარების, სოციალურ სფეროსა და დემოკრატიული განვითარების კუთხით წარმატებები რომ არ ყოფილიყო, ჰილარი კლინტონის ვიზიტი არ იქნებოდა და ამ განცხადებებსაც არ გააკეთებდა, – განაცხადა დარჩიაშვილმა.

მისი განცხადებით, კლინტონს საქართველოში არჩევნების ჩატარება და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება გულწრფელად აინტერესებს.

– კლინტონს სურს, საქართველოში სასამართლოს მიმართ ნდობა კიდევ უფრო გაიზარდოს. ეს ყველაფერი ითქვა და საპარლამენტო უმრავლესობაში ამის საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს, – დასძინა დარჩიაშვილმა.

კლინტონთან დაკავშირებით განმარტებების გაკეთება გუშინ გიგი წერეთელსაც მოუხდა.

– საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობას აშშ-ში ჩასვლა გაუადვილდება, – განაცხადა კლინტონმა.

მისი თქმით, აშშ დიდ ყურადღებას უთმობს ხალხთა შორის ურთიერთობას. სახელმწიფო მდივანმა კონფლიქტების მონაწილე მხარეებს შორის ნდობის აღდგენის აუცილებლობაზეც ისაუბრა.

გიგი წერეთელი ფიქრობს, რომ ჰილარი კლინტონის განცხადება სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობის აშშ-ში ჩასვლის გამარტივებასთან დაკავშირებით ხელისუფლების სტრატეგიასთან უნისონშია.

როგორც წერეთელმა ჟურნალისტებს განუცხადა, არ უნდა მოხდეს მათი იზოლაცია, უფლებების შელახვა და დისკრიმინაცია, რადგან მათ სეპარატისტული რეჟიმი მართავს და ეს ტერიტორია ოკუპირებულია.

– მე ვფიქრობ, რომ ეს განცხადება სწორედ ამ კუთხით იყო გაკეთებული. აშშ მხარს უჭერს ამ სტრატეგიას და ეს სტრატეგია გულისხმობს იმასაც, რომ ამ ადამიანებს მიეცეთ განვითარების საშუალება. სახელმწიფომ უკვე მოამზადა ე.წ. ნეიტრალური პასპორტები და მიიღო გადაწყვეტილება მათთვის თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ჩვენ მოხარული ვიქნებით, თუ ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეები იქნებიან ჩართული ძალიან ბევრ პროცესში, მათ შორის, შეეძლებათ უცხოეთში გამგზავრება. აქ არ არის საუბარი სეპარატისტებზე, არამედ აქ საუბარია მექანიზმზე, რათა არსებობდეს დამატებითი ელემენტები მათი თავისუფალი გადაადგილებისა და სამოქალაქო უფლებების განხორციელებისთვის, – დასძინა დეპუტატმა.

წერეთლის განმარტებით, კლინტონის ამ განცხადებაში მკაფიოდ იყო საუბარი რუსეთის ვალდებულებებზე, დეოკუპაციასა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაზე.

# ჰილარი კლინტონი: სეპარატისტული რეგიონების წარმომადგენლებს ამერიკაში ჩასვლა უნდა გაუადვილდეთ“

## ამერიკა დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისკენ მოგვიწოდებს

ნათია ხურცილავა

**საქართველოში სამუშაო ვიზიტით კავკასიური ტურნეს ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი იმყოფება. ჰილარი კლინტონი ბათუმში სომხეთიდან ჩამოვიდა. საქართველოში ვიზიტის დასრულების შემდეგ ამერიკის სახელმწიფო მდივანი ვიზიტს აზერბაიჯანსა და თურქეთში გააგრძელებს.**

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი მეორედ იმყოფება. ჰილარი კლინტონმა მთავარი პოლიტიკური მესიჯები ქართული პოლიტიკური სპექტრისთვის უკვე განსაზღვრა. მთავარი გზავნილი, რომელიც დიპლომატიის ფარგლებშია მოქცეული, ასეთია: დემოკრატიის კონსოლიდაცია, 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების თავისუფალ და კონკურენტულ გარემოში ჩატარება.

კლინტონი საქართველოს ლიდერებს მოუწოდებს, კონკურენტუნარიანი საარჩევნო კამპანიის ჩატარება უზრუნველყოს. ამის შესახებ ჰილარი კლინტონმა ბათუმში ამერიკის შეერთებული შტატები–საქართველოს სტრატეგიული ქარტიის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

კლინტონის განცხადებით, როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო არჩევნები მნიშვნელოვანი იქნება იმისთვის, რომ საქართველოში გაღრმავდეს დემოკრატია. ჰილარი კლინტონის განცხადებით, არჩევნები სამართლიანად უნდა ჩატარდეს და სამართლიანი უნდა იყოს არა მარტო არჩევნების დღე, არამედ არჩევნების წინა პერიოდიც. სახელმწიფო მდივნის თქმით, უფრო მეტი ქალი უნდა ჩაერთოს პოლიტიკაში. – მიუხედავად იმისა, რომ „ვარდების რევოლუციით“ ისტორია შექმენით, უფრო რთული სამუშაოს გაწევა მოგიწევთ მომავალში. ჩვეულებები და პრაქტიკა უნდა ჩამოაყალიბოთ, რომელიც დემოკრატიას დროთა განმავლობაში შეინარჩუნებს. ეს იმას ნიშნავს, რომ არა მხოლოდ წარმატებული არჩევნები იყოს, არამედ არჩევნების მერეც გააძლიეროთ დემოკრატიის მნიშვნელოვანი საფუძვლები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შრომის უფლებებს, სასამართლო რეფორმასა და დამოუკიდებლობას, მედიის დამოუკიდებლობას და წვდომას, – განაცხადა ჰილარი კლინტონმა.

სახელმწიფო მდივნის განცხადებით, საქართველომ დემოკრატიის გაძლიერების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ და ეს ყველამ დააფასა. თუმცა, მისი თქმით, ახლა საქართველოზეა დამოკიდებული, რომ დემოკრატიული ღირებულების კონსოლიდაცია მოხდეს. ჰილარი კლინტონი მიესალმა უწყებათაშორისი ოპერატიული ჯგუფების შექმნას და აღნიშნა, რომ ეს კარგი ნაბიჯია საჩივრების განხილვისთვის.

– ჩვენ სტრატეგიული პარტნიორობის კომისია იმისთვის ჩამოვაყალიბეთ, რომ ამერიკა–საქართველოს პარტნიორობა შემდეგ დონეზე აგვეყვანა. ჩვენ გვინდოდა მეტი შედეგები გვქონოდა ჩვენი ერთობლივი სამუშაოსთვის და მეტი სარგებელი მოგვეტანა ჩვენი მოქალაქეებისთვის, – განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა.

ჰილარი კლინტონმა ისაუბრა სეპარატისტულ რეგიონებზეც. საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობას ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასვლა გაუადვილდება. ამის შესახებ განაცხადა ქართულ-ამერიკული სტრატეგიული ქარტიის ფარგლებში გამართულ პლენალურ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა.

სახელმწიფო მდივანის თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები დიდ ყურადღებას უთმობს ხალხთაშორის ურთიერთობას. სახელმწიფო მდივანმა ისაუბრა კონფლიქტების მონაწილე მხარეებს შორის ნდობის აღდგენის აუცილებლობაზე.

– ეს სიტუაციის ტრანსფორმირებაში დაგვეხმარება, – აღნიშნა კლინტონმა.



ჰილარი კლინტონმა ისაუბრა იმაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აგრძელებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას. მისი თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები მოუწოდებს რუსეთს, შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება.

– ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს, რომ შეასრულოს თავისი ვალდებულება 2008 წელს აღებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ამაში შედის ძალების გაყვანა კონფლიქტის ზონიდან და ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება, – ამბობს ჰილარი კლინტონი.

ჰილარი კლინტონი მიესალმა უწყებათაშორისი ოპერატიული ჯგუფების შექმნას და აღნიშნა, რომ ეს კარგი ნაბიჯია საჩივრების განხილვისთვის.

საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ სავიზო რეჟიმის კიდევ უფრო გამარტივებაზე ისაუბრა თავის ამერიკელ კოლეგასთან.

– კონკრეტულ შედეგებზე საუბარი ჯერ ადრეა. მთავარია, რომ სრული ურთიერთგაგებით მიმდინარეობს შეხვედრები. ყურადღება მინდა გავამახვილო იმ გზავნილებზე, რაც მოსკოვის მიმართ იყო გაჟღერებული. მას ყოველთვის ჰქონდა ლექსიკონში ოკუპაცია და მოწოდება, რომ კრემლმა ვალდებულებები შეასრულოს, – განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

პრემიერ–მინისტრმა ღია დემოკრატიაზე ისაუბრა.

– ჩვენ დღეს ღია დემოკრატია და თანამედროვე დემოკრატიული ინსტიტუტების მქონე ქვეყანა ვართ, – ეს განცხადება ნიკა გილაურმა ბათუმის პორტში, სასაზღვრო პოლიციისთვის საპატრულო კატარღების გადაცემის ცერემონიალზე გააკეთა, რომელსაც ამერიკის სახელმწიფო მდივანი, ჰილარი კლინტონიც ესწრებოდა. გილაურმა ამერიკული მხარის დახმარებით მოდერნიზებული საპატრულო კატარღა საქართველოს ტრანსფორმაციას შეადარა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოს განვითარებისა და მოდერნიზაციის ამ რთულ პროცესში ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერას განსაკუთრებული როლი აქვს. პრემიერმა ამერიკის თანადგომა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს გამოყო, როდესაც ამერიკული სანაპირო დაცვის გემი შემოვიდა შავი ზღვის აკვატორიაში. ამერიკის სახელმწიფო მდივანის სამუშაო ვიზიტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ოპოზიციის ლიდერებთან შეხვედრა იყო.

შეხვედრას არ დასწრებია კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი. მიზეზებზე პარტიის თავმჯდომარემ მანანა კობახიძემ ისაუბრა.

– შეხვედრა იყო პარტიის თავმჯდომარეებთან, თუ იქნებოდა შეხვედრა ხელისუფლებასა და ოპოზიციის ლიდერებთან სააკაშვილი – ივანიშვილის ფორმატში, ბიძინა ივანიშვილი აუცილებლად მიიღებდა მონაწილეობას. რადგან არსებული სამართლებრივი რეჟიმით ის პარტიის თავმჯდომარე არ არის, ხელისუფლებამ თავის დროზე მოქალაქეობის შეწყვეტით ამის საშუალება არ მისცა, ამ შეხვედრაზე ვერ მიიღო მონაწილეობა ივანიშვილმა. თუმცა, წინასაარჩევნო კამპანიის პირობებში ამერიკამ პირისპირ შეხვედრისგან თავი შეიკავა, რადგან ეს შეხვედრა დამატებით აქცენტებს გამოიწვევდა, – განაცხადა მანანა კობახიძემ. სახელმწიფო მდივანი ოპოზიციის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე დაინტერესდა, რატომ არ სარგებლობს ბიძინა ივანიშვილი საკონსტიტუციო ცვლილების შედეგად მინიჭებული უფლებებით. „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, მანანა კობახიძემ აღნიშნა, რომ ჰილარი კლინტონს ბიძინა ივანიშვილის უარის მოტივაცია განუმარტეს.

– ვთქვით, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის კონსტიტუციის ერთ ადამიანზე მორგება მიუღებელია. განვუმარტეთ ასევე, რომ მას მოქალაქეობის საკითხი გასაჩივრებული აქვს, თუმცა სასამართლო მის განხილვას თვეების განმავლობაში აჭიანურებს. მთავარი მიზეზი კი, რატომაც ბიძინა ივანიშვილი ამ ცვლილებით არ სარგებლობს, არის ის, რომ ხელისუფლება მას მოქალაქეობას არ ანიჭებს და პრობლემას სამართლებრივად არ ჭრის. არ შეიძლება, ქვეყნის ფუნდამენტური კანონი იცვლებოდეს ერთი ადამიანისთვის და მიღებული იყოს ისეთი ნორმები, რომლებიც დისკრიმინაციულია თუნდაც ორმაგი მოქალაქეობის მქონე ადამიანებისთვის, – განაცხადა კობახიძემ. „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ვარაუდობს, რომ სახელმწიფო მდივანს გასაგებად აუხსნეს ივანიშვილის სამომავლო გეგმებიც.

– ვთქვით, რომ არჩევნების შემდეგ, როდესაც „ქართული ოცნება“ მოვა პარლამენტში, თუ ბიძინა ივანიშვილი არ იქნება პარლამენტის წევრი, ის აუცილებლად იქნება პრემიერ-მინისტრი. მისი მიზანი არის სწორედ ის, რომ იყოს პრემიერ-მინისტრი და არა – ჩვეულებრივი დეპუტატი, – აღნიშნა მანანა კობახიძემ. ჰილარი კლინტონის შეხვედრა ოპოზიციის ლიდერებთან ბათუმის „შერატონში“ დაგეგმილზე მეტხანს, დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ დავით უსუფაშვილი, დავით გამყრელიძე, გიორგი თარგამაძე, მანანა კობახიძე და თეა წულუკიანი.

შეხვედრიდან გამოსული ოპოზიციის ლიდერები აღნიშნავდნენ, რომ სახელმწიფო მდივანი კარგად იყო ინფორმირებული ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით, რაც, მათი თქმით, ამერიკის საელჩოსა და ელჩის ჯონ ბასის დამსახურებაა.

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი დავით გამყრელიძე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს თანაბარი საარჩევნო გარემოს აუცილებლობასა და ნატო-ს პერსპექტივებზე ესაუბრა. როგორც „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა ჟურნალისტებს ჰილარი კლინტონთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა, კლინტონთან შეხვედრაზე შეაჯამა ჩიკაგოს სამიტის შედეგები და აღნიშნა, რომ საქართველოს სჭირდება კონკრეტული სამოქმედო გეგმა ნატო-სთან დასაახლოებლად.

– აუცილებელია, მოიხსნას ბუნდოვანება ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივასთან დაკავშირებით. ვისაუბრე, ასევე, სავაჭრო ხელშეკრულების პერსპექტივებზეც, თუმცა ძირითადი თემა იყო საარჩევნო გარემო და თანაბარი პირობები ყველა მონაწილისთვის არჩევნებზე, – განაცხადა გამყრელიძემ.

მისივე განმარტებით, ჰილარი კლინტონმა აქცენტი გააკეთა მომავალი პარლამენტის მრავალპარტიულობის აუცილებლობაზეც.

– მნიშვნელოვანია, ამომრჩეველმა გააკეთოს თავისუფალი არჩევანი, ამ არჩევნების შედეგად დავამთავროთ ქვეყანაში ერთპარტიული მმართველობა და დავამყაროთ მრავალპარტიული სისტემა. ეს ეხება თანაბრად როგორც მმართველ პარტიას, ისე „ქართულ ოცნებას“, რომლის ლიდერიც აცხადებს, რომ კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვება სურს. ასევე ვისაუბრეთ თუ რა არის გასაკეთებელი, რომ მედია თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი ყველა პოლიტიკური ძალისთვის, რომ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება აღარ მოხდეს ხელისუფლების მხრიდან. კლინტონი მზად არის, რომ მან და ამერიკის ადმინისტრაციამ კონკრეტული წინადადებებითა და რეკომენდაციებით მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს, მთავრობას, რომ უზრუნველყონ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება. ამავე დროს მან ხაზი გაუსვა, რომ არჩევანი ქართველმა ხალხმა უნდა გააკეთოს. ქართველი ხალხის არჩევანს უნდა დაემორჩილოს ყველა. ეს არის მათი პოზიცია, – აღნიშნავს დავით გამყრელიძე.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი დავით უსუფაშვილი მოხარულია, რომ ჰილარი კლინტონი საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ კარგად იყო ინფორმირებული.

უსუფაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ჰილარი კლინტონმა შესავალ სიტყვაშივე აღნიშნა, რომ საქართველოში მედიის თავისუფლება კვლავ პრობლემად რჩება და პრობლემებია სასამართლო სისტემაშიც.

– მან შესავალ სიტყვაშივე თქვა, რომ მისთვის ცნობილია ყველა პრობლემა, რაც ჩვენ გვაღელვებს. თქვა, რომ ეს ყველაფერი უნდა მოგვარდეს და ამ ქვეყანაში უნდა ჩატარდეს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები. ჰილარი კლინტონი ინფორმირებულია პოლიტიკური ოპონენტების დევნის ფაქტთან დაკავშირებით და მან აღნიშნა, რომ საელჩო ამ საკითხში აქტიურად არის ჩართული. სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ არჩევნებისთვის მეტი საერთაშორისო დამკვირვებელი ჩამოვა. კლინტონმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ ეხმარება ქართველ ხალხს და უნდა, რომ საკუთარი ხელისუფლების თაობაზე ქართველმა ხალხმა თავისუფალი არჩევანი გააკეთოს და ეს მომავალშიც მათ პრიორიტეტად დარჩება, მკაფიოდ ითქვა, მომავალ არჩევნებში შეერთებული შტატები მხარს უჭერს ქართველი ხალხის თავისუფალ არჩევანს. ამით მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ ხელისუფლებას არ ექნება შეერთებული შტატების მხარდაჭერა. ეს მხარდაჭერა არც ოპოზიციას ექნება და არც ვითხოვდით, ეს ექნება ქართველ ხალხს, რაც ჩვენთვის სრულიად მისაღები ფორმულაა. ასევე ვისაუბრეთ საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე. – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

დავით უსუფაშვილმა ასევე განაცხადა, რომ კლინტონის პოზიცია საკონსტიტუციო ცვლილებებზე მკაფიო იყო.

– მან მაგალითებიც მოიყვანა, როდესაც სენატორი მაკკეინი პრეზიდენტობაზე იყრიდა კენჭს, მაშინაც დადგა ეს საკითხი, ჰქონდა თუ არა უფლება, მართალია ამერიკის მოქალაქე იყო, მაგრამ ის პანამაშია დაბადებული და საკითხი დადებითად გადაწყდა, რადგან შეერთებული შტატების ტერიტორიაზეა დაბადებული. მან ბრძანა, მსოფლიო პრაქტიკა, რაც მისთვის ცნობილია, არის ის, რომ არჩევნებში მონაწილეობა მოქალაქეობას უკავშირდება, – განაცხადა უსუფაშვილმა.

გიორგი თარგამაძე დიალოგის მიმდინარეობისას ჰილარი კლინტონის აქტიურობითა და დაინტერესებით კმაყოფილია. როგორც „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერმა ჟურნალისტებს აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა, კლინტონი საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმირებული იყო. თუმცა თარგამაძე დარწმუნებულია, რომ ამ ინფორმაციის სოლიდური ნაწილი ხელისუფლებას ეკუთვნოდა.

# მაჭავარიანი კენჭს სამგორში იყრის

## ნაციონალებმა მაჟორიტარობის კანდიდატების დასახელება დაიწყეს

თეა მარხვაიძე

არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე პოლიტიკურმა პარტიებმა მაჟორიტარობის კანდიდატების გამომზეურება დაიწყეს. როგორც ნაციონალები გვპირდებიან, აგვისტოში სრულად შეარჩევენ მაჟორიტარებს.

ახმეტაში კენჭს ისევ პეტრე ცისკარიშვილი იყრის. მისი კონკურენტი სავარაუდოდ ზურაბ ზვიადაური იქნება. მას ამ რაიონში ქართული ოცნება წარადგენს. ხონის მაჟორიტარად კენჭი აკაკი ბობოხიძემ უნდა იყაროს. ტყიბულში ძალების მოსინჯვას პავლე კუბლაშვილი შეეცდება. დუშეთის სამაჟორიტაროდ ნუგზარ წიკლაური ჰყავთ გამეტებული.

დაუზუსტებელი ინფორმაციით ონში კენჭს ოლიმპიური ჩემპიონი დათო გობეჯიშვილი იყრის. ამბროლაურში კი – პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი დავით ტყეშელაშვილი.

ამ ინფორმაციას მმართველ გუნდში არც უარყოფენ და არც ადასტურებენ. ამბობენ, რომ მათ საარჩევნო სიაში და მაჟორიტარებში ბევრ საინტერესო სახეს ვიხილავთ.

ამბობენ, რომ გორში შესაძლოა კენჭი თვით ვანო მერაბიშვილმა იყა-

გაგრძელება მე-5 გვერდზე



# „კონტროლის პალატა სიკეთის კეთების საწინააღმდეგო მექანიზმია“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ადვოკატ ზაქარია ქუცნაშვილთან

***— ბატონო ზაქარია, რა მდგომარეობაა დღეს ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით?***

— ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით უკვე მრავალი წელია ჩვენთან პრობლემები მატულობს. როდესაც მე მეგონა, რომ 2003-2004 წლებში მედიის თავისუფლება მიღწეული იყო და ჩვენ გვყავდა ძლიერი, თავისუფალი ჟურნალისტური კორპუსი, აღმოჩნდა, რომ ძლიერი კორპუსიდან დაგვრჩა მხოლოდ და მხოლოდ თავისუფლებაშეზღუდული ან თავისუფლებისთვის მებრძოლი ჟურნალისტთა გუნდი. მრავალი კუთხით არის სიტუაცია გაუარესებული. სამართლიანი და დროული ინფორმაციის მიღების კუთხით გვაქვს მდგომარეობის გაუარესება. შრომითი უფლებების დაცულობის კუთხით გვაქვს მდგომარეობის გაუარესება. სოციალური უფლებების კუთხით, ვერ ვიტყოდი რომ გვაქვს გაუარესება, თუმცა არა გვაქვს გაუმჯობესება. მომხმარებლების უფლებების დაცვის კუთხით ისევ კოლექტიური გარიგებებით ვცხოვრობთ და არა ინდივიდუალური ხელშეკრულებებით. არც ერთ მომხმარებელს არა აქვს, ეს თბილწყალკანალის მომხმარებელი იქნება თუ გაზის მომხმარებელი, არავის არ აქვს ინდივიდუალური ხელშეკრულება გაფორმებული. ასევე არ შემიძლია არ ვთქვა, რომ პედაგოგების უფლებების დაცვის კუთხით გვაქვს გაუარესებული მდგომარეობა და რომელი სფერო დარჩა, სადაც პროფესიული თუ სხვა ნიშნით ადამიანის უფლებები განიცდიან კრიზისს. მასწავლებლებს რაც შეეხებათ, ჩვენ გვაქვს სავალალო ინფორმაციები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

***— სავალალოში რა იგულისხმეთ?***

— თუ როგორ დევნიან მასწავლებლებს იმის გამო, რომ აქვთ სხვა შეხედულება. უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია, სულ ახლახან გორის მე-9 სკოლის დირექტორი გაათავისუფლეს თანამდებობიდან იმის გამო,



რომ ჩვენი კოალიციის წევრი იყო. პედაგოგების კუთხით პრობლემები გვქონდა ჭიათურაშიც, სადაც გაგვითავისუფლეს პედაგოგი იმის გამო, რომ იყო ქართული ოცნების წევრი. ალბათ, სუბიექტივში არ ჩამომართმევს საზოგადოება, დედაჩემი გაათავისუფლეს სკოლის პედაგოგობიდან იმის გამო, რომ დედაჩემი იყო და ეს უსამართლობა მანამდე მოხდა, სანამ ივანიშვილი გამოჩნდებოდა პოლიტიკაში. მას შემდეგ, რაც პოლიტიკური კონკურენციის დონემ აიწია ქვეყანაში და გამოჩნდა არა თუ ალტერნატივა, არამედ ძირითადი ძალა, რომელსაც აქვს პრეტენზია ხელისუფლების მოპოვებაზე, არჩევნებში გამარჯვების გზით, ეგრევე გაიზარდა ზეწოლა ხელისუფლების მხრიდან. იმიტომ, რომ მას არ აქვს ისეთი ბერკეტები, ისეთი ინსტრუმენტები თავის მოქმედებების არსენალში, როგორიც არის დარწმუნება, ახსნა, არგუმენტი, მორალი და სამართლიანობა. ის ეფუძნება მხოლოდ ძალადობას, თავში ჩარტყმას, დაპატიმრებას დევნას და განთავისუფლებას. ამას წინათ მკითხეს, თუ შეგიძლიათ დარღვევების ტიპოლოგია გამოავლინოთო, ძალიან მარტივია საქართველოში დარღვევების ტიპოლოგია. ეს არის, ვთქვათ, პოლიტიკური ნიშნის და პოზიციის გამო ადამიანების შრომითი უფლებების შელახვა და ეს სამსახურიდან გათავისუფლებაში გამოიხატება. ასევე ოფისების მესაკუთრეების დაშინება, მძღოლების დაშინება, რომ მათ არ მოახდინონ ოპოზიციური აქტივისტების გადაყვანა. ასევე ადამიანების ცემა. ქარდავას და მთივშვილის მაგალითს მოვიყვან. მაგალითი უამრავია და ამის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს.

***— რაც შეეხება კონტროლის პალატას და მის პოლიტიკას ქართულ ოცნებასთან მიმართებაში, როგორც ადვოკატი, როგორია თქვენი შეფასებები ამასთან დაკავშირებით?***

— ამ კუთხით, შეიძლება ითქვას, რომ კონტროლის პალატა გამოსულია პარლამენტის მიერ მიღებული დრაკონული კანონის ფარგლებიდან და ის ამ საშინელი კანონის ფარგლებსაც კი სცდება. კონტროლის პალატამ ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩაგვაყენა. ნაცვლად იმისა, რომ დაინტერესებული იყოს ამომრჩევლის მოსყიდვის აკრძალვით. დაინტერესებულია პარტიების დაფინანსების აკრძალვით, რა დაფინანსებაც პოლიტიკურმა პარტიებმა თავისუფლად შეიძლება გამოიყენონ თავისი კანონიერი მიზნების მიღწევისთვის. აი, ამ კანონის მიღების მიზანი იყო საზოგადოების დაცვა მოსყიდვისგან. სინამდვილეში ეს კანონი იქცა არა საზოგადოების დაცვის მექანიზმად, არამედ ამას იყენებენ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების აკრძალვის მექანიზმად. უკვე რამდენიმე საზოგადოებრივი მოძრაობა აღმოჩნდა ასევე დაყადაღებული და გადასახადდაკისრებული, იმის გამო, რომ კონტროლის პალატამ მიიჩნია, რომ ის აკეთებდა უკანონო საქმიანობას. არადა, სამსახურიდან დათხოვილი ადამიანისთვის შემწეობის გაწევა და კომპენსაციის მიცემა, ეს სიკეთის კეთებაა და არა მოსყიდვა. ნუ გაათავისუფლებ ადამიანს სამსახურიდან, ნუ დევნი მას პოლიტიკური შეხედულებების გამო და არავისზე არ იქნება ეს კომპენსაცია გასაცემი. ადამიანი მშიერი რომ არ დარჩეს, მას დახმარებას რომ გაუწევ, ეს მისი მოსყიდვა კი არა, ნაწილობრივ სამართლიანობის აღდგენაა. დღეს კონტროლის პალატა იქცა სიკეთის კეთების აკრძალვის მექანიზმად.

***— სამაგიეროდ, თვითონ ხომ იძლევიან უამრავ დაპირებას. უფასო ინტერნეტი, გაიაფებული ავიაცია...***

— ეს ყველაფერი არის, რომ იტყვიან, მოკლე მიზნებისთვის გამიზნული ქმედება. პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ასეთივე ბინძური ტყუილი იკადრეს, როცა გონიოს ციხის მიმდებარე ტერიტორიის მესაკუთრეებს დაურიგეს მიწის ნაკვეთები კერძო საკუთრებაში და შემდეგ ხუთასამდე პირს უკან ჩამოართვეს. როცა ანაკლიის მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებს დაურიგეს ეს მიწები და შემდეგ ისევ ჩამოართვეს. ეს ხდება არჩევნების წინ. გახსოვთ, პროგრამა რომ ჰქონდათ — რაც ჩემია, ჩემია. ხალხს ულიარეს საკუთრებად მიწის ნაკვეთები და დამთავრდა თუ არა არჩევნები, ჩამოართვეს. საზოგადოება აღარ ტყუვდება რამდენიმეთვიანი დაპირებებით.

***— რა რაოდენობის ზარალი მოგაყენათ კონტროლის პალატამ ჯარიმების სახით?***

— ჯარიმების სახით საკმაოდ დიდი რაოდენობის თანხა დაგროვდა უკვე. ათ მილიონს აცდა ჯარიმების სახით დაკისრებული თანხის ოდენობა. თუმცა, ბევრ მათგანზე მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, რომელიც ჯერ არ დასრულებულა. მიუხედავად იმისა, რომ მათივე კანონების თანახმად ვართ მართლები, პროცესს არ გვაგებინებენ. თუმცა დრონი მეფობენ და არა მეფენიო, ხომ იცით.

# მაჭავარიანი კენჭს სამგორში იყრის

დასაწყისი მე-4 გვერდზე

როს. იყო ვარაუდი, რომ შს მინისტრი მმართველი გუნდის საარჩევნო სიას ჩაუდგებოდა სათავეში. ეს ინფორმაცია ნაციონალებმა კატეგორიულად უარყვეს.

ოფიციალურად არც იმას ადასტურებენ, რომ თბილისში მაჟორიტარების კანდიდატების ვინაობა უკვე ცნობილია. არადა ამ თემაზე გუშინ პარლამენტში ძალიან ბევრს საუბრობდნენ.

ამ დროისათვის მიღებული გადაწყვეტილებით, მთაწმინდაზე კენჭი უნდა იყაროს დეპუტატმა არჩილ გეგენავამ. ის ამჯერადაც მთაწმინდის მაჟორიტარია.

საბურთალოზე კენჭი ჯანდაცვის ყოფილმა მინისტრმა ანდრია ურუშაძემ უნდა იყაროს, კრწანისში — რაიონის გამგებელმა დავით საყვარელიძემ, ისანში — იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი ვაშაძემ, სამგორში — ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა. ეს უკანასკნელი ერთხელ უკვე იყო სამგორის მაჟორიტარი.

დიდუბეში კენჭს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ გიორგი ბარამიძეს ატრევინებენ. ჩუღურეთში კენჭი ამავე რაიონის ამჟამინდელმა მაჟორიტარმა დეპუტატმა ანდრო ალავიძემ უნდა იყაროს, გლდანში — საკრებულოს წევრმა ნიკოლოზ ხაჩირიშვილმა, ნაძალადევში — დეპუტატმა მერაბ სამადაშვილმა და ვაკეში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ გიორგი კარბელაშვილმა.

არადა ამბობდნენ გლდანში კენჭი მიხეილ სააკაშვილმა უნდა იყაროსო. გლდანის მაჟორიტარი დღეისათვის გიორგი ასანიძე გახლავთ. არის ვერსია, რომ ის კენჭს საჩხერეში იყრის. თუმცა საეჭვოა ივანიშვილის მშობლიურ რაიონში მან გამარჯვება მოიპოვოს. თავად ივანიშვილი აქ კენჭს არ იყრის. თუმცა ადგილობრივები მისი ხათრით, მისი პარტიის ნებისმიერ წარმომადგენელს მისცემენ ხმას.

# რატომ გაჩნდა დავითგარეჯის გარშემო პრობლემები

შორენა გონგლაძე

### ინტერვიუ პოლიტოლოგ გულბაათ რცხილაძესთან

აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა, რომელთაც დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილი დაიკავეს, ქართველი საზოგადოების მძაფრი პროტესტის შემდეგ მონასტრის ტერიტორია დატოვეს, სიტუაცია შედარებით დამშვიდდა, მართლმადიდებელ ბერებსა და მორწმუნეებს, ისევე, როგორც ტურისტებს, კვლავ შეუძლიათ, მშვიდად გადაადგილდნენ მონასტრის ტერიტორიაზე. ნიშნავს თუ არა ეს ყველაფერი იმას, რომ პრობლემა ამოწურულია, რამდენადაა იმის საფრთხე, რომ მსგავსი რამ გამეორდეს და კიდევ არაერთხელ. ამ და სხვა საკითხებზე „ახალმა თაობამ“ კომენტარი პოლიტოლოგ გულბაათ რცხილაძეს სთხოვა.

***— ბატონო გულბაათ, როგორ შეაფასებთ აღნიშნულ ფაქტს, რეალურად რასთან გვაქვს საქმე?***

— ქართველ საზოგადოებრიობას არ ესმის, რა საქმე აქვთ აზერბაიჯანელებს მართლმადიდებლურ სიწმინდესთან, რომელიც ქართული ისტორიის, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ნაწილია, რატომ წარმოიშობა ხოლმე დავითგარეჯში საქართველოს მოქალაქეების გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემა, დროდადრო რატომ ჩნდებიან იქ აზერბაიჯანელი მესაზღვრეები და უკეტავენ მათ გზას. ქართველი საზოგადოება ასევე გაოცებულია იმით, თუ საკუთარი სახელმწიფო რა მიზეზით არ ალკვეთს მსგავს სიტუაციებს და რატომ არის აუცილებელი საზოგადოებრივი აღშფოთების ტალღა იმისათვის, რათა იგი „გაინძრეს“ და ქვეყნის ინტერესები დაიცვას, ნაცვლად მოპირისპირე მხარისთვის დახმარებისა, როგორც ეს თავისი აწ უკვე განთქმული განცხადებით გააკეთა თავის დროზე პოლიტიკაში შემთხვევით მოხვედრილმა, ამჟამად საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კალანდაძემ. თუმცა, ეს სხვა პრობლემაა, სუფთა შიდაპოლიტიკური, ქართული ხასიათისა, რომელსაც, პრინციპში, არ გააჩნია ცალსახა ახსნა (გარდა საქართველოს ხელისუფლების ქმედებების პირდაპირ ღალატად შეფასებისა). რაც შეეხება პრობლემისადმი აზერბაიჯანული მხარის მიდგომას, იგი საკმაოდ იოლად ასახსნელია. სამწუხაროდ, ამაზე საქართველოში არავინ საუბრობს.

აზერბაიჯანელები დარწმუნებული არიან და, არცთუ უსაფუძვლოდ, რომ, საბჭოთა პერიოდის აზერბაიჯანის სსრ-სა და საქართველოს სსრ-ს შორის არსებული საზღვრების თანახმად, სამონასტრო კომპლექსის ნაწილი (კერძოდ, ბერთუბანი), ფორმალურად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ქართულმა მხარემ ამის შესახებ კარგა ხანია უწყის. პირადად მე შესაძლებლობა მქონდა, გავცნობოდი 1997 წლის ერთ დოკუმენტს, კერძოდ, მაშინდელი საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელ ვალერი ჩხეიძის წერილს პრეზიდენტ შევარდნაძისადმი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ბერთუბანი აზერბაიჯანულ ტერიტორიაზე მდებარეობს, რაც აბრკოლებს აზერბაიჯანულ მხარესთან თანხმობის მიღწევას სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის თაობაზე. მაგრამ, „დასავლური განათლების“ მქონე კალანდაძისგან განსხვავებით, არც შევარდნაძე, არც ჩხეიძე ამის შესახებ სახალხოდ არ ლაპარაკობდნენ, ანუ არ უთმობდნენ ინიციატივას აზერბაიჯანელ პარტნიორებს, რომლებიც ამ შემთხვევაში ჩვენს ოპონენტებად გვევლინებიან. დიპლომატიის ეს ელემენტარული წესი მათ იცოდნენ, თუმცაღა ვერ შეძლეს პრობლემის მოგვარება (ბუნებრივია, ჩემი ეს განცხადება ვერ იქნება აზერბაიჯანული მხარის მიერ თავის სასარგებლოდ გამოყენებული, ვინაიდან მე არ ვარ ოფიციალური პირი, ხოლო ჩემ მიერ ნახსენები 15 წლის წინანდელი დოკუმენტი მეხსიერებით მოვიხმე და მისი ასლი არ წარმომიდგენია).



***— რამ გამოიწვია ამ საკითხის გამწვავება, რატომ წამოიწია ამ თემამ დღეს?***

— აზერბაიჯანში ალიევი-უფროსისა და საქართველოში შევარდნაძის მმართველობის დროს პრობლემა არ მწვავდებოდა. მან თავის შეხსენება ბოლო ათწლეულის მანძილზე დაიწყო, როდესაც დავითგარეჯში პერიოდულად აზერბაიჯანის სახელმწიფოს მესაზღვრეებმა იწყეს გამოჩენა. ბოლო გამწვავება, უბრალოდ, ყველაზე მასშტაბური და რეზონანსული იყო ყველა სხვა ანალოგიურ ინციდენტს შორის.

აზერბაიჯანული მხარე შემთხვევით როდის აგზავნის თავის მესაზღვრეებს დავითგარეჯში და თან ამას მხოლოდ იმიტომ არ აკეთებს, რომ მონასტრის ტერიტორიის ნაწილი, აზერბაიჯანელების მიერ „კეშიშდაღად“ წოდებული, ყოფილი აზერბაიჯანის სსრ ანუ დღევანდელი აზერბაიჯანის შემადგენლობაშია. საქმე ისაა, რომ, აზერბაიჯანის თანამედროვე ნაციონალური კონცეფციის თანახმად, აზერბაიჯანელი ხალხი მოიაზრება ქრისტიანული ალბანური კულტურის მემკვიდრედ, რომელიც მოგვიანებით წარმოშობილი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ყვაოდა ამიერკავკასიაში თურქ-სელჯუკთა გამოჩენისა და ალბანეთის ისლამიზაციის მომენტამდე. დღევანდელ აზერბაიჯანულ პოლიტიკურ ელიტას აღიზიანებს ის ფაქტი, რომ დავითგარეჯი ბოლო დროს იქცა მორწმუნეთათვის აქტიური მოლოცვის ადგილად და განსაკუთრებით საქართველოში ჩამომავალი ტურისტების ერთ-ერთ მთავარ დასათვალიერებელ ობიექტად, რომელთაც ქართველი გიდები „უმალავენ“ მონასტრის „ალბანურ წარსულს“. სწორედ ამიტომ აზერბაიჯანელი მესაზღვრეები დროდადრო ჩნდებიან იქ და განწყობას უფუჭებენ მონასტრის დამთვალიერებლებს, ასევე ბერებს. გარდა ამისა, აზერბაიჯანის მიერ სამონასტრო კომპლექსზე საკუთარი უფლებების ხაზგასმა სომხებთან დავაში პოლიტიკური ინსტრუმენტის დატვირთვასაც ატარებს. ცნობილია, რომ აზერბაიჯანელებისა და სომხების ურთიერთობა შორია პარტნიორობისგან. ქრისტიანული ალბანეთი უნდა იყოს დღევანდელი აზერბაიჯანის ისტორიული უფლებების დასაბუთება მთიან ყარაბაღსა და სომხეთთან მოსაზღვრე ზოგიერთ სხვა ტერიტორიაზე, სადაც არის ძველი ქრისტიანული ტაძრები, სომხური ან ალბანური (საკითხის არსი ამაშია) წარმოშობის.

მაგრამ დავითგარეჯის გადაქცევა სასაზღვრო კამათის საგნად აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის არ უქადის რეალურ მოგებას არც ერთ მხარეს. აზერბაიჯანელების ასეთი ქმედებები ქართველი საზოგადოებრიობის მხრიდან ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდება, ხოლო საქართველოში რეჟიმის შეცვლის შემდეგ — ქართული სახელმწიფოს მხრიდანაც. სამწუხაროდ, აზერბაიჯანი არ თანხმდება ქართული მხარის მიერ არაერთხელ შეთავაზებულ ტერიტორიულ გაცვლას — ეს გასაგებიცაა, აზერბაიჯანს ხომ უბრალოდ ტერიტორია არ აინტერესებს, არამედ სწორედ — ისტორიული ძეგლი. ეს აზერბაიჯანის უფლებაა. მაგრამ საქართველომ აქცენტი უნდა გააკეთოს იმაზე, რომ ტერიტორია ტერიტორიად, მაგრამ დავითგარეჯი უკვე მრავალი საუკუნის მანძილზე ეკუთვნის ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას. შესაბამისად, მონასტერს ჰყავს მესაკუთრე, თუნდაც აზერბაიჯანელთა თვალში „უცხოელი“. საკუთრებაში კი შეიარაღებული მესაზღვრეებით არ იჭრებიან. ეს დაახლოებით იგივეა, ქართველი პოლიციელები რომ შევიდნენ თბილისის ან მარნეულის მთავარ მეჩეთში იმის საფუძველზე, რომ „ეს ქართული ტერიტორიაა“. მეორე მხრივ, ქართველებმა არ უნდა დავუშვათ ანტიაზერბაიჯანული ისტერიკის გაღვივება და ჩავწვდეთ პრობლემის არსს, პარალელურად მივუთითოთ ჩვენს მეზობლებს ამგვარი ქმედებების უპერსპექტივობაზე და არ შევიდეთ მათთან ისტორიული ხასიათის გაუთავებელ პოლემიკაში. დავითგარეჯი ტერიტორიულად შეიძლება ორ სხვადასხვა სახელმწიფოს ეკუთვნოდეს, მაგრამ იგი რჩება ერთ მთლიანობად, როგორც მონასტერი. ქართველების ბრალი არ არის, თუკი ძველმა ალბანელებმა ისლამიზაცია განიცადეს, ხოლო ისინი ქრისტიანობის ერთგულნი დარჩნენ. მთავარია, გარანტირებული იყოს მონასტერში ქართველი ბერებისა და სტუმრების თავისუფალი გადაადგილება, ხოლო აზერბაიჯანელებს თუ სურთ, დაე, მოიყვანონ თავიანთი ტურისტები აზერბაიჯანელი გიდებისა და მათი ახსნა-განმარტებების თანხლებით. ოფიციალურმა ბაქომ საზღვრის დარღვევად არ უნდა აღიქვას მონასტრის იმ ნაწილის მონახულება, რომელიც აზერბაიჯანულ მხარეს მდებარეობს. მთავარია, შენარჩუნებულ იქნეს ორ ხალხსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთგაგების სულისკვეთება.

# ჯუმბერ თავართქილაძე: აჭარაში შეიძლება სერიოზული პრობლემები შეიქმნას"

გულიკო ბალაძე

საქართველოს ხელისუფლება და პირადად მიხეილ სააკაშვილი მუდმივად აცხადებენ, რომ თურქეთი ჩვენი უპირველესი მეგობარია. ხალხის პარტიის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე ჯუმბერ თავართქილაძე კი აცხადებს, რომ თურქეთი ჩვენი პირველი მეგობარი ვერ იქნება სამი გარემოების გამო: პირველი – თურქეთი უკვე არაერთხელ იხსენიებს ბათუმს საკუთარ ტერიტორიად, მეორე – თურქეთს მართლა აქვს საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებული და ანექსირებული და მესამე – თურქეთი თავის ინვესტიციას მიზანმიმართულად მხოლოდ ბათუმში დებს და არა მთლიანად საქართველოში.

მისი თქმით, ის ინფორმაცია, რომელიც გააჟღერა ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ თურქეთის სკოლებში გაყალბებული ისტორიის სწავლების შესახებ და ეხება ბათუმის კუთვნილებას, სწორია.

– ამაზე მე დიდი ხანია ვსაუბრობ. ეს ფაქტი შევიტყვე ჩემი ახლობლების მეშვეობით, რომლებიც თურქეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდნენ. ბოლო სამი წელია, რაც სკოლის სასწავლო პროგრამით მე-11 კლასელებისთვის განკუთვნილ ისტორიაში ისწავლება „თურქეთის ტერიტორიების დამპყრობლები". სხვა ქვეყნების მიერ დაპყრობილ თურქეთის ტერიტორიებში შეტანილია ბათუმიც. ისტორიის სახელმძღვანელოში წერია, რომ ბათუმი არის საქართველოს მიერ ანექსირებული. ამის თაობაზე არაერთხელ განვაცხადე.

აღნიშნული ინფორმაცია ჯუმბერ თავართქილაძეს ზემო აჭარიდან თურქეთში სასწავლებლად მყოფმა ახალგაზრდებმა მიაწოდეს.

– ეს წიგნი არ მქონდა ნანახი. ამიტომ დავინტერესდი და თურქეთის სკოლების ისტორიის სახელმძღვანელო პირადად ვნახე ე.წ. სკაიპის საშუალებით. გაოგნებული დავრჩი. ამიტომ ამის თაობაზე ჩემს პრესკონფერენციებზე არაერთხელ განვაცხადე. ასევე ვამბობდი, რომ თურქეთის მხრიდან ნელ-ნელა ხდებოდა ბათუმის ეკონომიკური ანექსია. ახლა კი სრულიად გამყარდა ჩემი ვარაუდები. ეს წიგნი შალვა ხაჭაპურიძეს თურქეთში არსებული საქართველოს საკონსულოს ერთ-ერთმა თანამშრომელმა მოაწოდა.

***– ბატონო ჯუმბერ, თურქმა მინისტრმა აღნიშნული ინფორმაცია უარყო.***

– არც ერთი ქვეყნის პრემიერი ამას არ აღიარებს, როდესაც შენი ქვეყნის ხელისუფლება გაიძახის, თურქეთი არის ჩვენი პირველი მეგობარიო. თურქეთი ჩვენი პირველი მეგობარი ვერ იქნება სამი გარემოების გამო. პირველი – თურქეთი უკვე მერამდენედ აჭარას საკუთარ ტერიტორიად მოიხსენიებს.

***– ამ დროს თურქეთს, პირიქით, ჩვენი ძირძველი ქართული ტერიტორიები აქვს ანექსირებული, სადაც ოდითგანვე ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენ ქართველები.***

– მეტსაც გეტყვით – თურქეთი მიზანმიმართულად მოქმედებს. ამის დასტურია ერთი ფაქტი. თურქეთში ყოველწლიურად ტარდება მუსიკალური ფესტივალი. ერთი წლის წინ, მათ აჭარა და საქართველო ცალ-ცალკე მიიწვიეს. შემდეგ ამაზე თურქეთის მხარემ ბოდიში მოიხადა და მას შეცდომა დაარქვა, მაგრამ ეს არ იყო შეცდომა. ეს მიზანმიმართულად გაკეთდა. ისინი ნიადაგს იმზადებენ და საზოგადოებრივი აზრი აინტერესებთ. თურქეთის პრემიერი ყალბი ისტორიის სწავლებას, რა თქმა უნდა, არ დაადასტურებდა, რადგან ის არის სახელმწიფოს მეთაური, დიპლომატი, მაგრამ რატომღაც ჩვენმა ჟურნალისტებმა შეკითხვა დაუსვეს მოუმზადებლად. ჯობდა, ის წიგნი გამოერთმიათ შალვა ხაჭაპურიძისთვის და ეჩვენებინათ პრემიერისთვის. ეს იქნებოდა არგუმენტი და ნიშანი იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება ველარასოდეს იტყოდა, თურქეთი ჩვენი პირველი მეგობარიაო. თურქეთი ვერ არის ჩვენი პირველი მეგობარი, რამდენჯერაც უნდა თქვას ეს ჩვენმა ხელისუფლებამ.

***– თურქეთის სახელმწიფო არა მხოლოდ ისტორიის სახელმძღვანელოში წერს ჩვენი მხრიდან ბათუმის ვითომდა ანექსიის შესახებ, არამედ რუკებზეც აღნიშნავს. თუ არ ვცდები, თვე-ნახევრის წინ მურმან დუმბაძემ განაცხადა, რომ მას უნახავს რუკა, სადაც თურქებს რუკაზე აჭარა თავისად აქვთ შემოხაზული.***

– ასეთი რუკა ბათუმში ჩემს კარადაში ინახება. მე ეს რუკა ჩვენმა ერთ-ერთმა მინისტრმა მომაწოდა. მან არა მარტო ეს რუკა მომაწოდა, არამედ ბევრი სხვაც, რის თქმასაც ახლა არ ვაპირებ. თურქეთი ჩვენი პირველი მეგობარი იმიტომაც ვერ იქნება, რომ მას მართლა აქვს ჩვენი ტერიტორიები ანექსირებული. მიმაჩნია, რომ საქართველოში პატრიოტულმა გრძნობამ უნდა გაიღვიძოს და უნდა შეიქმნას არასამთავრობო ორგანიზაცია, საქველმოქმედო ფონდი. დღეს, როცა რეკლამას უკეთებენ კომპიუტერის შემსწავლელ რაღაც გაუგებარ ინიციატივას, უკეთესი იქნება, შეიქმნას მობილური ჯგუფი ქართული ისტორიისა და ძველი ქართული რუკების გავრცელებისთვის თურქეთის რესპუბლიკაში, რათა ჩვენს იქ მცხოვრებ ქართველებს გავუღვივოთ პატრიოტიზმი, რომ თუ ვინმეს მივიწყებული აქვს თურქეთის საზღვრებში დარჩენილი ჩვენი ტერიტორიები და მისი ისტორია, გაიხსენოს.

***– იქ არის საჭირო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომ ვასწავლოთ ქართული წერა-კითხვა და საქართველოს ისტორია.***

– დიახ. იქ არის საჭირო საქართველოს ისტორიისა და საქართველოს ტერიტორიული რუკების გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობა. ვფიქრობ, საქართველოში გამოჩნდებიან ახალგაზრდები, რომლებიც ამას გააკეთებენ და მათ იქაურ თანატოლებთან ერთად საქართველოს ისტორიისა და საქართველოს ტერიტორიული რუკების გამავრცელებელი საზოგადოება შეიქმნება. ეს იქნება ძალიან დიდი ეროვნული საქმე. იმედი მაქვს, ამას ჩვენი მომავალი თაობა ჩაუფიქრდება და გააკეთებს.

თურქეთი ჩვენი მეგობარი ქვეყანა ვერ იქნება, რადგან არსად მინახავს თურქეთის ინვესტიცია, გარდა ბათუმისა. თითქოსდა თბილისში რაღაცას აკეთებს, მაგრამ ეს უმნიშვნელოა. თურქეთი ღიად, პირდაპირ, პირველ ეტაპზე ახორციელებს აჭარის ეკონომიკურ ანექსიას. ამით ისინი მომავლისთვის ემზადებიან. ეს არის თურქეთის სახელმწიფოს პოლიტიკა.

***– რატომ გაქვთ პრეტენზია თურქეთის სახელმწიფოსთან, როცა ამის ნებასა და საშუალებას საქართველოს ხელისუფლება აძლევს?***

– პრეტენზია არ მაქვს თურქეთის რესპუბლიკასთან. პრეტენზია მაქვს ჩვენს მთავრობასთან. აქ არაფერ შუაშია თურქეთის რესპუბლიკა. ის თავისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება თურქეთის წისქვილზე ასხამს წყალს და მათი ინტერესებით მოქმედებს.



***– რატომ უნდა მოქმედებდეს საქართველოს ხელისუფლება თურქეთის ინტერესების შესაბამისად?***

– საქართველოს მოსახლეობა შეთანხმებულია ერთ რაღაცაზე, რომ დღევანდელი ხელისუფლება არის ანტიქართული, ნაციონალები არიან ანტიქართველები. არაქართველები კი არა, ანტიქართველები. თუ ჩვენს ისტორიას გადავხედავთ, გარეშე მტერი საქართველოს ვერასოდეს ვერაფერს ვერ აკლებდა, შინაური მტრები აქუცმაცებდნენ და ხლეჩდნენ ჩვენს ქვეყანას. ძალიან რთული ამოსაცნობია, ჩვენი ხელისუფლების თავში რა ტრიალებს. მაგრამ, თუ ვერ აცნობიერებენ, ვეტყვი: ჩემო ძვირფასებო, თქვენისთანა ხელისუფლება საქართველოში ბევრი მოსულა და წასულა, საქართველოს ისტორიას კი ყველასთვის თავისი სახელი დაურქმევია. ნუ გააკეთებთ ისეთ საქმეს, რომ მოღალატის სახელი დაგარქვან.

***– საშიშროებას რაში ხედავთ?***

– არავინ იფიქროს, რომ ინვესტიციების წინააღმდეგი ვარ. დღეს აჭარის მთელ ტერიტორიაზე თუ რამე კეთდება, იმის 85% კეთდება თურქების მიერ. მეპატრონეებიც თურქები არიან.

***– თურქეთში მცხოვრები ქართველები ხომ არ არიან? შეიძლება, როგორც ქართველებს, მოქალაქეობაც აქვთ და უფლებაც, რომ რაიმე გააკეთონ.***

– ჩვენდა სამწუხაროდ, თურქეთის პასპორტში ეროვნება არავის უწერია, მაგრამ, ჩემ ირგვლივ, რაც მე გამიგონია და ვისაც შევხვედრივარ, არც ერთს ვიზუალურად არ ეტყობა, ეთნიკურად ქართველები თუ არიან. ამიტომ მომავლისთვის დიდ საშიშროებას ვხედავ. პირველი – ვაიინვესტორები ძალიან დიდ კითხვის ნიშანს ბადებენ.

***– ანუ რეალურად ინვესტორები არ არიან და მათი მიზანი აჭარაში დემოგრაფიული სურათის შეცვლაა?***

– დიახ. ეს არის ჩემი სუბიექტური აზრი. ბედნიერი ვიქნები, თუ მართალი არ აღმოჩნდება, მაგრამ, ვფიქრობ, შეგნებულად თურქეთის სახელმწიფო ფულს აძლევს ყველა ადამიანს, რომ ჩამოვიდნენ და აჭარაში დააბანდონ, დაიმკვიდრონ ადგილი. ეს ქმნის საშიშროებას. დღეს საქართველოში საქართველოს მოქალაქე არ არის ისე დაცული, როგორც თურქეთის მოქალაქე. ჯერ კიდევ 4-5 თვის წინ ბათუმში 18 ათასი თურქი იყო.

***– ისინი ბათუმში ჩაწერილი არიან?***

– რა თქმა უნდა, ჩაწერილი არიან. დღეს, ბიძინა ივანიშვილის გარდა, ყველას ანიჭებენ საქართველოს მოქალაქეობას. თუ ჯერ არ აქვთ მიღებული მოქალაქეობა, გარკვეული პერიოდის შემდეგ საქართველოს კონსტიტუციით მათ ეკუთვნით მოქალაქეობა. არ ვსაუბრობ იმაზე, დღესხვალ და 2-3 წლის შემდეგ რა დაემართება საქართველოს, ვსაუბრობ იმაზე, 10 წლის შემდეგ რა შეიძლება დაემართოს ჩვენს ქვეყანას. ის ადამიანები ავტომატურად გახდებიან საქართველოს მოქალაქეები, დემოგრაფიული მდგომარეობა შეიცვლება, თურქეთს აღარ დასჭირდება ომი და საზღვრის ჩოლოქში გადმოტანა, როდესაც აქ მისი სახელმწიფოს ინტერესების გამტარებელი ხელისუფლება ეყოლება, მით უმეტეს, ავტონომიაა. ბუნებრივია, დემოგრაფია შეიცვლება. ბუნებრივია, იმ ხალხს გაუჩნდება ამბიცია, თუ ავტონომიაა, უნდა იყოს ავტონომია. ავტონომია ნიშნავს თვითმმართველობას. თუ დემოგრაფია შეიცვლება, რეალურად მოითხოვს ის ხალხი ფართო უფლებებს.

***– ანუ შეიძლება, სეპარატიზმის საფრთხე გაჩნდეს?***

– რა თქმა უნდა. როგორც კი ავტონომია მათი ღირებულებებით ამოქმედდება, თურქეთი აჭარაში უკვე გაატარებს თავის პოლიტიკას.

***– თურქული ღირებულებებით ამოქმედდება?***

– რა თქმა უნდა, ამის საშიშროება არის. ეს არ არის 2-3-5 წლის საშიშროება, მაგრამ შემდგომში ამის გამო პრობლემები საქართველოს აუცილებლად შეექმნება.

***– თურქეთში ეროვნულ უმცირესობებს არც პოლიტიკური ავტონომია აქვთ, არც კულტურული და თავიანთ მშობლიურ ენაზე სწავლაც ეკრძალებათ, მაშინ როდესაც ევროსტრუქტურები ჩვენთან მოსახლე დიასპორებს ეროვნულ უმცირესობებს ეძახიან და მათი უფლებების დაცვას მოითხოვენ, თურქეთში მცხოვრებ არაერთ ეროვნულ უმცირესობას არანაირი უფლება არა აქვს, მაგრამ არც არავინ იცავს მათ.***

– როდესაც თურქეთის ინტერესებს დაემუქრა გარკვეული საფრთხე, თურქეთის პრემიერმა განაცხადა, სულ არ მჭირდება თქვენი ევროსაბჭოო, ანუ იმ კაცმა თქვა, მე ვარ ამ ქვეყნის პრემიერი და თურქეთის ხალხის ინტერესებს გავატარებ და არა ევროკავშირისასო. მან თქვა, რომ ევროკავშირი არ სჭირდება, შემდეგ ევროკავშირს ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა რომ არ მოეთხოვა.

# ალერგიის დროს თვითმკურნალობა დაუშვებელია

ნინო ღვედაშვილი

ალერგიული სიმპტომების გამოვლენა გაზაფხულზე მცენარეების ყვავილობის პერიოდში მატულობს. საქართველოში ალერგიული „სეზონი" გაზაფხულზე იწყება და გვიან შემოდგომამდე გრძელდება. ალერგიას იწვევს ხემცენარეების ყვავილობა, რასაც მარცვლეულები და ბალახოვნები მოსდევენ. ასე რომ, ალერგიული ფონი შეიძლება ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდეს.

ალერგოლოგ ქეთევან მაჭავარიანის თქმით, ალერგიის სიმპტომებად თვალების ქავილი, ცრემლდენა, ცემინება, ცხვირის გაჭედვა ითვლება. მცენარით განპირობებულ ალერგიულ სურდოს სხვაგვარად თივის ცხელებასაც უწოდებენ. ამ სიმპტომების გამწვავებამ შეიძლება ბრონქოსპაზმი გამოიწვიოს. გართულების შემთხვევაში ადამიანს სუნთქვის გაძნელება, ჰაერის უკმარისობა, სულხუთვა, მსტვინავი სუნთქვა, ხველება ახასიათებს. ალერგოლოგის თქმით, ასეთი შემთხვევები იშვიათია და მხოლოდ ალერგიისადმი უყურადღებობა იწვევს.

გაზაფხულზე ალერგიას ძირითადად მცენარეების ყვავილების მტვერი იწვევს. ზაფხულში კი ამას ემატება მწერების ნაკბენით ალერგია. ძირითადად საუბარია სიფრიფანფრთიანებზე, მათ შორის ფუტკარსა და კრაზანაზე. „ამ ალერგიისთვის დამახასიათებელია ჭინჭრისმაგვარი გამონაყარი, ქავილი და შეშუპება", – ამბობს ქეთევან მაჭავარიანი. იმის მიხედვით, თუ როგორი სიძლიერისაა მომატებული მგრძნობელობა მწერების შხამის მიმართ, შეიძლება იყოს მსუბუქი და მძიმე გამოვლინებები. ეპიდემიოლოგის თქმით, პაციენტი კრიტიკულ მდგომარეობამდეც შეიძლება მივიდეს. მწერის ნაკბენს სწრაფი ტიპის ალერგიული რეაქცია აქვს. ამან შეიძლება შეშუპება გამოიწვიოს, რასაც სუნთქვის გაძნელება ახლავს. პირველადი დახმარებისთვის უნდა დაედოს ლახტი, შემდეგ კი დაუყოვნებლივ ექიმს მიმართონ. „ლახტის დადებით შხამის შეწოვა თავიდან უნდა ავიცილოთ, ოღონდ ისე, რომ სისხლის კვება არ მოიშალოს."

მზეც ფიზიკური ალერგიის ერთ-ერთი გამომწვევი წყაროა. როდესაც მისი გამოსხივება მაღალია, ალერგიულ ადამიანს ჭინჭრის ნასუსხის ტიპის გამონაყარი უჩნდება. მზის სხივების მიმართ ალერგია შუახნის ადამიანებშიც მატულობს. ამ პერიოდისთვის მათი ორგანიზმი დასუსტებულია. მედიკამენტების მიღების ფონზე ულტრაიისფერი სხივების მიმართ ალერგიული რეაქციები ვითარდება. ექიმის თქმით, მზისგან თავდასაცავად არაერთი პრეპარატი არსებობს. ასეთია დამცავი კრემები და თხელი გრძელი სამოსი.

ალერგიაზე მკურნალობის რამდენიმე გზა არსებობს. უპირველესია, თუ ადამიანი შეძლებს იმ ალერგენებისადმი თავის არიდებას, რომლებიც მისთვის ალერგიის გამომწვევია.

„ასევე პრეპარატები არსებობს, რომელთაც ნაკლები ძილიანობის ეფექტი აქვთ. თუ ესეც არ არის საკმარისი, ემატება სხვა რიგის პრეპარატები - თვალის წვეთები, ცხვირში შესაფრქვევი სამკურნალო საშუალებები", – ამბობს ქეთევან მაჭავარიანი.

ეპიდემიოლოგის რჩევით, თუ ადამიანმა იცის, რა პერიოდში ეწყება ალერგია, თავდასაცავად მკურნალობა ცოტა ხნით ადრე შეუძლია დაიწყოს. სხვა შემთხვევაში, როგორც კი ალერგიის პირველი სიმპტომები გამოუვლინდება, პრეპარატები მაშინვე უნდა მიიღოს. „ამის გარდა, მკურნალობის კიდევ რამდენიმე მეთოდი არსებობს - პროფილაქტიკური, იგივე პრევენციული. ამ გზით მკურნალობა გვიან შემოდგომით იწყება. ეს არის კონკრეტულად იმ ალერგენებით მკურნალობა, რის მიმართაც პაციენტი ალერგიულია. ამისთვის სამკურნალო ნაკრები არსებობს. პაციენტს იმ ალერგენს უკეთებენ, რომელიც სეზონზე ალერგიული სიმპტომების გამოვლენას იწვევს. ამ პროცედურის შემდეგ პაციენტს ისეთი სიძლიერის სიმპტომები აღარ გამოუვლინდება ან საერთოდ ალერგია აღარ შეაწუხებს.

ეპიდემიოლოგი ქეთევან მაჭავარიანი რეკომენდაციას იძლევა, რომ თუ ადამიანს ალერგია აწუხებს, აუცილებლად სპეციალისტს მიმართოს და თვითმკურნალობა არ დაიწყოს.

# როგორ უნდა ჩატარდეს გამოცდები

შორენა გონგლაძე

განათლების სისტემის რეფორმის „წარმატებებზე" არაერთხელ თქმულა და დაწერილა, თუმცა, ეს თემა ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა.

გამოცდების ეროვნული ცენტრის მოსწავლეთა საერთაშორისო შეფასების, პისა-ს ყოფილი ეროვნული მენეჯერი, ნათია მჟავანაძე „ნეტგაზეთთან" საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევების მიმართ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოლიტიკაზე საუბრობს. გამოცემა ინტერესდება საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევებით, რომელიც საქართველოში წლების განმავლობაში ტარდებოდა და რომელმაც მოსწავლეთა დაბალი შეფასებები აჩვენა. ბოლო კვლევის (პისა მიზნად ისახავს, შეაფასოს 15 წლის მოზარდების მიერ სკოლაში შეძენილი ცოდნა და უნარები) შედეგების გამოქვეყნების შემდეგ კი განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა განაცხადა, რომ ის არ ენდობა საერთაშორისო კვლევების მეთოდოლოგიას და დროა, ქვეყანა შიდა შეფასებებზე გადავიდეს. როგორი იყო გამოცდების ეროვნული ცენტრის პოზიცია დიმიტრი შაშკინის ამ განცხადების შემდეგ. პისა-ს ყოფილი ეროვნული მენეჯერი, ნათია მჟავანაძე აღნიშნავს:

– შაშკინის განცხადების შესახებ, რომ ქვეყანა საერთაშორისო კვლევებზე უარს ამბობს, ჩვენც ინტერნეტით გავიგეთ. 30 დეკემბერს მინისტრმა საერთაშორისო კვლევების გაუქმების შესახებ სამარცხვინო განცხადება გააკეთა, სამარცხვინო არგუმენტებით.

ძალიან რთული გადაწყვეტილება იყო ჩვენთვის, არ გაგვეხადა ჩვენი პოზიცია საჯარო. ვეცადეთ, შიგნიდან მოგვეგვარებინა პრობლემა, რომ ინტერესთა კონფლიქტი არ შექმნილიყო. მინისტრსაც არაერთხელ ვესაუბრეთ, მათ შორის – მაია მიმინოშვილიც. ვცდილობდით, აგვეხსნა ამ კვლევების მნიშვნელობა და დაგვერწმუნებინა ის, რომ საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევების გარეშე საქართველო გლობალური კონტექსტიდან ამოვარდებოდა.

საერთაშორისო კვლევები არის ძალიან კარგი საზომი იმისა, რომ შევედაროთ სხვა ქვეყნებს და მხოლოდ შიდა შეფასებებზე დაყრდნობით არ ვისაუბროთ რაიმე შედეგზე.

შაშკინის მაშინდელი არგუმენტი, რომ ქართულისა და ინგლისურის გრამატიკა არ უნდა შევადაროთ ერთმანეთს, პროფესიონალებისთვის შეურაცხმყოფელი იყო, ამასთან – არაკვალიფიციური. წაკითხულის გააზრება, რომელსაც ეს კვლევა ითვალისწინებდა, არ ნიშნავს გრამატიკის ნორმების ცოდნას. პირიქით, ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, გამსწორებლებს კატეგორიულად ეკრძალებათ გრამატიკული შეცდომების გასწორება მოსწავლეთა ნაშრომებში.

# პაატა გულიაშვილი თელავის თეატრის მმართველია

ეკა ირემაშვილი



რუსთაველის თეატრის მსახიობი პაატა გულიაშვილი თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მმართველად დანიშნეს. პაატა გულიაშვილი წარმოშობით თელავიდან არის. ის მსახიობ ავთანდილ გულიაშვილის შვილია, ამიტომაც პაატას ამ თეატრში მოღვაწეობა სიმბოლურია.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია განმარტებული, თელავის თეატრის ახალი მმართველი პაატა გულიაშვილი პირობას დებს, რომ უახლოეს დღეებში სპექტაკლებზე მუშაობა დაიწყება და თეატრი აქტიურ ცხოვრებას დაუბრუნდება.

– კახეთის გუბერნატორისგან იყო შემოთავაზება, რომ ამ თანამდებობაზე მე დავნიშნულიყავი. რიგი საკითხები გავიარეთ და ავიღე ეს პასუხისმგებლობა ჩემს თავზე. რაც ზუსტად ვიცი ის არის, რომ თეატრი ასამუშავებელია და უახლოეს 5 დღეში აუცილებლად დაიწყება რეპეტიციები. პირველი, რაც თეატრს სჭირდება, სპექტაკლები და რეპეტიციებია, – ამბობს პაატა გულიაშვილი.

პაატა გულიაშვილი კახეთის ვიცე-გუბერნატორმა გიორგი სიბაშვილმა წარუდგინა.

– რუსთაველის თეატრის მსახიობი ვარ და „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემაშიც ვმუშაობ, მაგრამ ამის მიუხედავად, შევეცდები, კვირაში ოთხი დღე თელავში ვიყო. არ ვაპირებ დედაქალაქთან და რუსთაველის თეატრთან ურთიერთობის გაწყვეტას, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ძებნას არავინ არ დამიწყებს, ამის პირობას ვიძლევი. თელავის თეატრში, პირველი, რასაც გავაკეთებ, ახალ წარმოდგენებზე მუშაობას დავიწყებ და უახლოეს ორ კვირაში, თელაველებს სპექტაკლებზე მისვლის საშუალება ექნებათ, – განაცხადა თეატრის ახალმა მმართველმა.

თელავის თეატრის დასი ახალი მმართველის დანიშვნას დადებითად აფასებს და იმედს გამოთქვამენ, რომ ახალი მმართველი თეატრში არსებულ პრობლემებს გადაჭრის.

დუტა სხირტლაძე თელავის თეატრს ორი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა და მთელი ეს პერიოდი კონფლიქტი თეატრის მმართველსა და დასს შორის არ დასრულებულა. როგორც თეატრის მსახიობები აცხადებენ, დუტამ თელავის თეატრი მოსპო, გაანადგურა და ჩააბანძა. ამჟამად თეატრი სრულიად პარალიზებულია, არსებობს გაზის, დენის, წყლის, ტელეფონის, ინტერნეტის უქონლობის პრობლემა და, რაც მთავარია, დავალიანება – 20 ათასი ლარი, რომელიც დუტამ ბანკიდან სესხის სახით აიღო, რომ თეატრის თანამშრომლებისთვის არსებული სახელფასო დავალიანება გაესტუმრებინა. ბანკიდან აღებული სესხის პროცენტებს თეატრი ამჟამად სახელფასო სუფსიდიიდან იხდის.

– ჩვენი თეატრი ჩაბანძებული და ჩამპალია. მოკლა თეატრი, წიხლით გადაუარა ზედ. თეატრი აღარ არსებობს, – აცხადებს თელავის თეატრის მსახიობი ელდარ თავდიდიშვილი.

თეატრში არსებულ დავალიანებასთან დაკავშირებით, ახალი მმართველი პაატა გულიაშვილი ამბობს, რომ ეს საკითხი მას არ ეხება, თუმცა ეცდება, რომ დავალიანება დაფაროს.

თელავის თეატრის დასის წევრებსა და დუტა სხირტლაძეს შორის დაპირისპირება ერთი წლის წინ დაიწყო. 2011 წლის 22 მარტს, თეატრის დასის შეკრებაზე, თეატრის მმართველის დუტა სხირტლაძის გინების შემდეგ, მსახიობი ავთანდილ გულიაშვილი, რომელიც ავად იყო, დარბაზში გარდაიცვალა, თეატრის რეჟისორი გოგი ჩაკვეტაძე და მსახიობი ვანო იანტბელიძე კი ავად გახდნენ. გოგი ჩაკვეტაძეს სამედიცინო დახმარება თელავის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში აღმოუჩინეს. დუტა სხირტლაძე მასთან დაპირისპირების გამო თეატრის მთავარ რეჟისორს გოგი ჩაკვეტაძეს გათავისუფლებითაც დაემუქრა, თუმცა მოგვიანებით გადაიფიქრა და ჩაკვეტაძის გათავისუფლების შესახებ გაკეთებული განცხადება ემოციურობით ახსნა.

მსახიობებმა თეატრის მმართველი დუტა სხირტლაძე ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვაშიც არაერთხელ დაადანაშაულეს და მის გათავისუფლებას ითხოვდნენ. ათზე მეტმა თანამშრომელმა კი დუტა სხირტლაძის წინააღმდეგ სარჩელით სასამართლოს მიმართა. მოსარჩელეები თეატრის მმართველისთვის ხელფასის გადახდის დაკისრებას ითხოვდნენ. სასამართლომ რამდენიმე სარჩელი დააკმაყოფილა. მთლიანობაში თელავის თეატრის თანამშრომლების მიერ დუტა სხირტლაძის წინააღმდეგ თელავის რაიონულ სასამართლოში სახელფასო დავალიანების დაფარვის მოთხოვნით ერთი წლის განმავლობაში ოთხი სარჩელი შევიდა. აქედან ორ საქმეზე მოსამართლემ დუტას დავალიანების სრულად დაფარვა დააკისრა, ერთი საქმე მოსარჩელეების პროცესზე დაგვიანების გამო განუხილველი დატოვა, კიდევ ერთი საქმე კი ჯერ არ დასრულებულა.

დუტას თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნით, თეატრის მსახიობებმა და ტექნიკური სამსახურის თანამშრომლებმა აქციებიც დაგეგმეს. ლოზუნგი, რომლითაც მსახიობებმა საპროტესტო აქციების დაწყება გადაწყვიტეს, თელავის თეატრის ყოფილ სცენარისტ ბაადურ ბალარჯიშვილს ეკუთვნის, რომელიც ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. დუტას კარიკატურა კი, რომლის თავდაყირა გაკვრაც თეატრის შესასვლელში დაგეგმეს, ბესიკ დუღაშვილს ეკუთვნის.

– ერთადერთი გამოსავალი საპროტესტო აქციებია, იქნებ როგორმე თეატრის გადარჩენა შევძლოთ, ვაპირებთ, რომ თეატრის შესასვლელში დავსხდეთ და ვიდრე მაგას აქედან არ მოაშორებენ, პროტესტი არ შევწყვიტოთ, – აცხადებდნენ თეატრის მსახიობები.

5 აპრილს, თელავში ვიზიტით მყოფმა კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ თელავის თეატრის თანამშრომლებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ ერთ თვეში თელავის თეატრში ყველაფერი მოგვარდებოდა და მართლაც 14 მაისით დათარიღებული კულტურის მინისტრის ბრძანების თანახმად, დუტა სხირტლაძე ნიკოლოზ რურუამ თანამდებობიდან გაათავისუფლა. როგორც ამბობენ, დუტამ განცხადება თელავის თეატრიდან წასვლის თაობაზე თავად დაწერა – ნიკოლოზ რურუას ბრძანებაში თეატრის მმართველის თანამდებობიდან დუტა სხირტლაძის გათავისუფლების საფუძვლად მისი პირადი განცხადებაა მითითებული.

# კავკასიის ჯაზფესტივალს თბილისი მასპინძლობს

ეკა ირემაშვილი

თბილისში კავკასიის ჯაზფესტივალი გაიმართება, რომელიც წელს უკვე მესამედ ჩატარდება. გოეთეს ინსტიტუტში გამართულ პრესკონფერენციაზე ცნობილი გახდა, რომ წლევანდელ საერთაშორისო ახალგაზრდულ ჯაზ-ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ავსტრიის მუსიკოსები. ფესტივალი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით 6-დან 9 ივნისის ჩათვლით გაიმართება.

– თბილისი რიგით მესამე კავკასიის ჯაზფესტივალს უმასპინძლებს, სადაც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ავსტრიის მუსიკოსები. ფესტივალი გაიხსნება 6 ივნისს გოეთეს ინსტიტუტის ფოტოგამოფენით „გერმანული ჯაზი“, რომელიც გერმანელ ჯაზმენებს აერთიანებს. იმავე დღეს გაიმართება პატარა ჯაზკონცერტი. ფესტივალი 9 ივნისამდე გაგრძელდება და ყოველდღე იქნება კონცერტები,,– აღნიშნა ფესტივალის ორგანიზატორმა ელენე მეჩითოვამ.

„კავკაზ ჯაზი“ არაკომერციული ჯაზფესტივალია. ის სხვა მსგავს პროექტებს შორის გამორჩეული და უნიკალურია იმით, რომ ეს ფესტივალი საგანმანათლებლო ხასიათს ატარებს. ფესტივლის მიზანია ხელი შეუწყოს ამ ჟანრის განვითარებას ამიერკავკასიაში. ასევე, ის მიზნად ისახავს ჯაზის პოპულარიზაციასა და ახალგაზრდა შემსრულებლების აღმოჩენას. ფესტივლის ფარგლებში ხელი შეეწყობა მუსიკოს-შემსრულებლების კულტურულ დიალოგსა და მათ მეგობრულ დაახლოებას, რაც ხელს შეუწყობს შემსრულებლების შემდგომ თანამშრომლობას. პროექტს აქვს ამბიცია, ეს მუსიკალური მიმდინარეობა აღიქმებოდეს კავკასიაში მშვიდობის, თავისუფლებისა და ტოლერანტობის სიმბოლოდ. წელს ფესტივალი ოთხ სხვადასხვა ადგილას ჩატარდება – გოეთეს ინსტიტუტში, კონსერვატორიაში, დედა ენის ბაღსა და მაგთი კლუბში.

ფესტვიალში მონაწილეობას მიიღებს ევროპული ტურნედან დაბრუნებული თი ბლუზ მობიც, რომელიც დაუკრავს ბლუზის, ჯაზის, როკის და ფანქის სინთეზს. ფესტივალს სწორედ ეს ქართული ჯგუფი დახურავს. პროექტში ჩართული არიან დამწყები მუსიკოსებიც. ჯაზფესტივალში მონაწილეები მსმენელისთვის ერთსაათიან კონცერტებს გამართავს, სულ კი 10 მუსიკალური ჯგუფი იქნება წარმოდგენილი.

– ბევრი ახალი სახელია, გამოცდილი მუსიკოსებიც გამოვლენ და დამწყებებიც. კონსერვატორიაში კონცერტი იქნება, დინი ვირსალაძე დაუკრავს, მეც გამოვალ გია რაქვიაშვილთან და გიორგი სამსონაძესთან ერთად, იქნება ასევე ავსტრიული ტრიო და მთლინაობაში მსმენელს დიდი სიამოვნება ელოდება, – განაცხადა მაია ბარათაშვილმა.

ფესტივალი 6 ივნისს გოეთეს ინსტიტუტში გაიხსნება დოკუმენტური ფოტოგამოფენით „გერმანული ჯაზი“, რომელსაც დაასრულებს მარიკო ებრაელიძის და „ფინგერსის“ კონცერტი. ფესტივალს მეორე დღეს კონსერვატორიის დიდი დარბაზი უმასპინძლებს. დაუკრავს დინი ვირსალაძის ბენდი, შარაკი სომხეთიდან, მაია ბარათაშვილი, ჰელმუტ კაპლანის ტრიო ავსტრიიდან და ანლიმითედ და პაპუნა შარიქაძე საქართველოდან. 8 ივნისს მაგთი კლუბში ჰელმუტ კაპლანის ტრიო და ჯაზერი ერთობლივ კონცერტს ჩაატარებენ, ხოლო ფესტივალის დახურვის დღეს, 9 ივნისს, დედაენის ბაღში ჯაზ თინსი (საქართველო), დავით ბარნაბიშვილის ბენდი, შარაკი და თი ბლუზ მობი ერთობლივ კონცერტს ჩაატარებენ. ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ყველა კონცერტზე დასწრება თავისუფალია.

## №6 ქალთა კონსულტაციის შრომითი კოლექტივის განცხადება

შპს ქალთა კონსულტაცია №6 საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებით 2003 წლის 17 მარტს გარდაცვლილი გულნარა კოლესნიკოვას (კოლექტივის ყოფილი წევრის) მემკვიდრეებს მიმართავს, გამოცხადდნენ ქ.თბილისში ხიზანიშვილის №93 (ყოფილი ვეკუას ქ. №17) მდებარე შრომითი კოლექტივის მისამართზე თბილისის საოლქო, სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო სასამართლოს 22 მაისი 2001 წლის გადაწყვეტილებით განჩინება №2ბ-259-2001 –ით მიკუთვნებული წილის საჯარო რეესტრში დარეგისტრირებასთან დაკავშირებით. ასევე გთხოვთ წარმოადგინოთ კანონით გათვალისწინებული გულნარა კოლესნიკოვას მემკვიდრეების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საქონტაქტო პირის ტელეფონი 591162681

## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

- ქალბატონებო! აგლაძის №67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გარჩევა, საბან-ლეიბების განახლება-აღდგენის მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი, შემოგთავაზებთ ქსოვილების არჩევანს. ტელ: 235-15-96.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.
- იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.
- სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.
- ვიგირავებ ვაკეში 2 ან 3 ოთახიან კარგად მოწყობილ ბინას. ტელ:. 298-95-47
- შევიძენ ვაკეში 2 ან 3 ოთახიან გარემონტებულ ბინას 100 000-ის ფარგლებში. ტელ:. 294-53-20
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯპტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`

# სიკვდილის ჯგუფი

**ამ სახელით არის მონათლული ბ ჯგუფი, რომელშიც ჰოლანდიის, გერმანიის, პორტუგალიისა და დანიის ნაკრებებმა მოიყარეს თავი. ახლა გვინდა, ყველა მათგანი წარგიდგინოთ.**

## ჰოლანდია

**ადგილი ფიფას რეიტინგში: 4**

ჰოლანდიის ფეხბურთის ასოციაცია დაარსდა 1889 წელს. ფიფას წევრია 1904 წლიდან, უეფასი – 1954 წლიდან. ნაკრების ფერებია ნარინჯისფერი და შავი, მეტსახელები – ნარინჯისფერები.

პირველი მატჩი 1905 წლის 30 აპრილს ჩაატარეს ბელგიასთან და 4:1 მოიგეს. ყველაზე დიდი ანგარიშით მოგება 2011 წლის 2 სექტემბერს სან-მარინოს ნაკრებთან აქვთ – 11:0, ყველაზე დიდი მარცხი 1907 წლის 21 დეკემბერს ინგლისთან განიცადეს – 2:12.

ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი ედვინ ვან დერ საარს (130), ფრანკ დე ბურსა (112) და ჯოვანი ვან ბრონხოსტი (106) აქვთ ჩატარებული, ხოლო ბომბარდირები პატრიკ კლუივერტი (40), დენის ბერგკამპი (37), ფას ვილკსი და რუდ ვან ნისტელროოი (35-35) არიან.

მიუხედავად იმისა, რომ ნარინჯისფერები გარკვეული პერიოდის მანძილზე მსოფლიო ფეხბურთში ტონის მიმცემებად ითვლებოდნენ და გარკვეული წარმატებებიც აქვთ, მაინც უიღბლო ნაკრებად ითვლება. სამჯერ აქვთ წაგებული მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი და მხოლოდ მე-2 ადგილს დასჯერდნენ (1974, 1978, 2010), ერთხელაც მე-4 ადგილი დაიკავეს (1998). მხოლოდ ერთხელ მოიგეს ევროპირველობა (1988), მე-3 და მე-4 ადგილები 4-ჯერ დაიკავეს (1976, 1992, 2000, 2004). ოლიმპიურ თამაშებზე კი 3-ჯერ აქვთ მოპოვებული ბრინჯაოს მედლები (1908, 1912, 1920).

***პროგნოზი***

ნარინჯისფერები ტურნირის ფავორიტებად ითვლებიან და მათგან მაღალი შედეგი მოულოდნელი სულაც არ იქნება. თუმცა, ჰოლანდიელებს ყოველთვის ახასიათებთ ამოუცნობი „ჩავარდნა“.

გუნდის ლიდერად რობინ ვან პერსი მიიჩნევა, თუმცა, არც სხვა ფეხბურთელების დავიწყება შეიძლება, რომლებიც სხვადასხვა წამყვან ევროპულ კლუბში ამინდს ქმნიან. ერთადერთი მინუსი, რომელიც ნარინჯისფერებს ახასიათებთ, დაცვის ხაზია.

### შედეგები ევროპის ჩემპიონატზე

1976
ნახევარფინალი
ჩეხეთი-ჰოლანდია 3:1(დდ)
მე-3 ადგილისთვის
იუგოსლავია-ჰოლანდია 2:3(დდ)
სულ: 2 მატჩი, 1 მოგება, 1 წაგება, ბურთები 4:5, მე-3 ადგილი

1980
ჯგუფური ეტაპი
ჰოლანდია-საბერძნეთი 1:0; გფრ-ჰოლანდია 3:2; ჩეხეთი-ჰოლანდია 1:1
სულ: 3 მატჩი 1 მოგება, 1 ფრე, 1 წაგება, ბურთები 4:4

1988
ჯგუფური ეტაპი
ჰოლანდია-სსრკ 0:1; ინგლისი-ჰოლანდია 1:3; ირლანდია-ჰოლანდია 0:1;
ნახევარფინალი
გფრ-ჰოლანდია 1:2
ფინალი
ჰოლანდია-სსრკ 2:0
სულ: 5 მატჩი, 4 მოგება, 1 წაგება, ბურთები 8:3, 1 ადგილი

1992
ჯგუფური ეტაპი
ჰოლანდია-შოტლანდია 1:0; სნგ-ჰოლანდია 0:0; გერმანია-ჰოლანდია 1:3
ნახევარფინალი
ჰოლანდია-დანია 2:2(4:5პ)
სულ: 4 მატჩი, 2 მოგება, 2 ფრე, ბურთები 6:3

1996
ჯგუფური ეტაპი
ჰოლანდია-შოტლანდია 0:0; ჰოლანდია-შვეიცარია 2:0; ჰოლანდია-ინგლისი 1:4
მეოთხედფინალი
ჰოლანდია-საფრანგეთი 0:0(4:5პ)
სულ: 4 მატჩი, 1 მოგება, 2 ფრე, 1 წაგება, ბურთები 3:4

2000
ჯგუფური ეტაპი
ჰოლანდია-ჩეხეთი 1:0; ჰოლანდია-დანია 3:0; ჰოლანდია-საფრანგეთი 3:2
მეოთხედფინალი
ჰოლანდია-იუგოსლავია 6:1
ნახევარფინალი
ჰოლანდია-იტალია 0:0(1:3პ)
სულ: 5 მატჩი, 4 მოგება, 1 ფრე, ბურთები 13:3

2004
გერმანია-ჰოლანდია 1:1; ჰოლანდია-ჩეხეთი 2:3; ჰოლანდია-ლატვია 3:0
მეოთხედფინალი
შვედეთი-ჰოლანდია 0:0(4:5პ)
ნახევარფინალი
პორტუგალია-ჰოლანდია 2:1

2008
ჯგუფური ეტაპი
ჰოლანდია – იტალია 3:0
ჰოლანდია – საფრანგეთი 4:1
ჰოლანდია – რუმინეთი 2:0
1/4-ფინალი
ჰოლანდია – რუსეთი 1:3
სულ: 4 მატჩი, 3 მოგება, 1 მარცხი. ბურთები: 10:4

### გზა ევროპის 2012 წლის ჩემპიონატამდე

სან მარინო-ჰოლანდია 0:5; ჰოლანდია-ფინეთი 2:1; მოლდოვა-ჰოლანდია 0:1; ჰოლანდია-შვედეთი 4:1; უნგრეთი-ჰოლანდია 0:4; ჰოლანდია-უნგრეთი 5:3; ჰოლანდია-სან-მარინო 11:0; ფინეთი-ჰოლანდია 0:2; ჰოლანდია-მოლდოვა 1:0; შვედეთი-ჰოლანდია 3:2

### კალენდარი 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე

9 ივნისი: ჰოლანდია-დანია; 13 ივნისი: ჰოლანდია-გერმანია; 17 ივნისი: პორტუგალია-ჰოლანდია.

***შემადგენლობა:***

მეკარეები: 1.მარტენ სტეკელენბურგი (რომა, იტალია); 12.მიკაელ ვორმი (სუონსი, ინგლისი); 22.ტიმ კრიული (ნიუკასლი, ინგლისი);

მცველები: 2.გრეგორი ვან დერ ვილი (აიაქსი); 3.ჯონ ჰეიტინგა (ევერტონი, ინგლისი); 4.იორის მატეისენი (მალაგა, ესპანეთი); 5.ვილფრედ ბოუმა (პსვ); 13.რონ ვლაარი (ფეინოორდი); 15.იეტრო ვილემსი (პსვ); 21.ჰალიდ ბულარუზი (შტუტგარტი, გერმანია)

ნახევარმცველები: 6.მარკ ვან ბომელი (მილანი, იტალია); 8.ნაიჯელ დე იონგი (სიტი, ინგლისი); 10.უესლი სნეიდერი (ინტერი, იტალია); 11.არიენ რობენი (ბაიერნი, გერმანია); 14.სტინ სხაარსი (სპორტინგი, პორტუგალია); 17.კევინ სტროტმანი (პსვ); 20.იბრაჰიმ აფელაი (ბარსელონა, ესპანეთი); 23.რაფაელ ვან დერ ვარტი (ტოტენჰემი, ინგლისი);

თავდამსხმელები: 7.დირკ კუიტი (ლივერპული, ინგლისი); 9.კლას იან ჰუნტელარი (შალკე, გერმანია); 16.რობინ ვან პერსი (არსენალი, ინგლისი); 18.ლუკ დე იონგი (ტვენტე); 19.ლუსიანო ნარსინგი (ჰერენვენი).

მთავარი მწვრთნელი: ბერტ ვან მარვეიკი

## პორტუგალია

**ადგილი ფიფას რეიტინგში: 5**

პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1914 წელს. ფიფას წევრია 1923 წლიდან, უეფასი – 1954 წლიდან.

ნაკრების ფერებია წითელი და თეთრი. მეტსახელები – რჩეული გუნდი, ნავიგატორები

პირველი მატჩი 1921 წლის 18 დეკემბერს გამართა ესპანეთთან და 1:3 დამარცხდა. ყველაზე დიდი ანგარიშით მოგება 1999 წლის 9 ივნისს ლიხტენშტეინთან აქვთ – 8:0, ხოლო ყველაზე დიდი ანგარიშით მარცხი – 1947 წლის 25 მაისს, ინგლისთან (0:10).

ყველაზე მეტი მატჩი ლუიშ ფიგუს (127), ფერნანდუ კოუტუსა (110) და რუი კოშტას აქვთ ჩატარებული, ხოლო ყველაზე მეტი გოლი პედრო პაულეტას (47), ეუსებიოს (41), კრიშტიანუ რონალდუსა და ლუიშ ფიგუს (32-32) გაუტანიათ.

მიღწევები მწირია – მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-3 ადგილი (1966) და მე-2 ევროპის ჩემპიონატზე (2004).

***პროგნოზი***

მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიელებს კარგი რეიტინგი აქვთ და მსოფლიოს კლასიფიკაციის ხუთეულში შედიან, ჯგუფიდან გასვლის შედარებით მცირე შანსი აქვთ, ვიდრე ჰოლანდიასა და გერმანიას. თუმცა, კრიშტიანუ რონალდუსა და კომპანიისგან გამორიცხული არაფერია.

ასეა თუ ისე, ამ ეტაპზე პორტუგალიელთა მთავარი მიზანი ამ მართლაც ურთულესი ჯგუფიდან გასვლაა, შემდეგ კი ყველაფერი შესაძლებელია – თვით ჩემპიონობაც კი.

### შედეგები ევროპის ჩემპიონატზე

1984
ჯგუფური ეტაპი
გფრ-პორტუგალია 0:0; პორტუგალია-ესპანეთი 1:1; პორტუგალია-რუმინეთი 1:0
ნახევარფინალი
საფრანგეთი-პორტუგალია 3:2(დდ)
სულ: 4 მატჩი, 1 მოგება, 2 ფრე, 1 წაგება, ბურთები 4:4

1996
ჯგუფური ეტაპი
დანია-პორტუგალია 1:1; პორტუგალია-თურქეთი 1:0; ხორვატია-პორტუგალია 0:3
მეოთხედფინალი
ჩეხეთი-პორტუგალია 1:0
სულ: 4 მატჩი, 2 მოგება, 1 ფრე, 1 წაგება, ბურთები 5:2

2000
ჯგუფური ეტაპი
პორტუგალია-ინგლისი 3:2; რუმინეთი-პორტუგალია 0:1; პორტუგალია-გერმანია 3:0
მეოთხედფინალი
პორტუგალია-თურქეთი 2:0
ნახევარფინალი
პორტუგალია-საფრანგეთი 1:2(დდ)
სულ: 5 მატჩი, 4 მოგება, 1 წაგება, ბურთები 10:4

2004
ჯგუფური ეტაპი
პორტუგალია-საბერძნეთი 1:2; რუსეთი-პორტუგალია 0:2; ესპანეთი-პორტუგალია 0:1
მეოთხედფინალი
პორტუგალია-ინგლისი 2:2(6:5პ)
ნახევარფინალი
პორტუგალია-ჰოლანდია 2:1
ფინალი
პორტუგალია-საბერძნეთი 0:1
სულ: 6 მატჩი, 3 მოგება, 1 ფრე, 2 წაგება, ბურთები 8:6, მე-2 ადგილი

2008
ჯგუფური ეტაპი
პორტუგალია-თურქეთი 2:0; ჩეხეთი-პორტუგალია 1:3; შვეიცარია-პორტუგალია 2:0
მეოთხედფინალი
პორტუგალია-გერმანია 2:3
სულ: 4 მატჩი, 2მოგება, 2 მარცხი. ბურთები: 7:6



### გზა ევროპის 2012 წლის ჩემპიონატამდე

პორტუგალია-კვიპროსი 4:4; ნორვეგია-პორტუგალია 1:0; პორტუგალია-დანია 3:1; ისლანდია-პორტუგალია 1:3; პორტუგალია-ნორვეგია 1:0; კვიპროსი-პორტუგალია 0:4; პორტუგალია-ისლანდია 5:3; დანია-პორტუგალია 2:1; ბოსნია-პორტუგალია 0:0; პორტუგალია-ბოსნია 6:2.

### კალენდარი 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე

9 ივნისი: გერმანია-პორტუგალია; 13 ივნისი: დანია-პორტუგალია; 17 ივნისი: პორტუგალია-ჰოლანდია;

***შემადგენლობა***

მეკარეები: 1.ედუარდუ (ბენფიკა); 12.რუი პატრისიუ (სპორტინგი); 22.ბეტუ (კლუჟი, რუმინეთი);

მცველები: 2.ბრუნუ ალვეში (ზენიტი, რუსეთი); 3.პეპე (რეალი, ესპანეთი); 5.ფაბიუ კოენტრაუ (რეალი, ესპანეთი); 13.რიკარდუ კოშტა (ვალენსია, ესპანეთი); 14.როლანდუ (პორტუ); 19.მიგელ ლოპესი (ბრაგა); 21.ჟოაუ პერეირა (სპორტინგი);

ნახევარმცველები 4.მიგელ ველოზუ (ჯენოა, იტალია); 6.კუშტოდიუ (ბრაგა); 7.კრიშტიანუ რონალდუ (რეალი, ესპანეთი); 8.ჟოაუ მოუტინიუ (პორტუ); 10.რიკარდუ კვარეჟმა (ბეშიქთაში, თურქეთი); 15.რუბენ მიქაელი (სარაგოსა, ესპანეთი); 17.ლუიშ ნანი (მანჩესტერი, ინგლისი); 20.უგო ვიანა (ბრაგა);

თავდამსხმელები: 9.უგო ალმეიდა (ბეშიქთაში, თურქეთი); 11.ნელსონ ოლივეირა (ბენფიკა); 18.სილვესტრ ვარელა (პორტუ); 20.ელდერ პოშტიგა (სარაგოსა, ესპანეთი).

მთავარი მწვრთნელი პაულუ ბენტუ

## გერმანია

**ადგილი ფიფას რეიტინგში: 2**

გერმანიის ფეხბურთის ასოციაცია დაარსებულია 1900 წელს. ფიფას წევრია 1904 წლიდან, უეფასი – 1954 წლიდან

ნაკრების ფერებია თეთრი და მწვანე

პირველი მატჩი 1908 წლის 5 აპრილს შვეიცარიასთან (3:5) გამართა. ყველაზე დიდი მოგება 1912 წლის 1 ივლისს რუსეთთან (16:0) აქვთ, ხოლო ყველაზე დიდი მარცხი 1909 წლის 13 მარტს ინგლისის მოყვარულთა ნაკრებთან (0:9).

ყველაზე მეტი მატჩი ნაკრებში ლოთარ მათეუსს (150), მიროსლავ კლოზესა (115) და იურგენ კლინსმანს (108) უთამაშიათ. ბომბარდირები კი გერდ მიულერი (68), მიროსლავ კლოზე (63) და იურგენ კლინსმანი (47) არიან.

მიღწევები მართლაც სატრაბახო აქვთ

მსოფლიოს 3-გზის ჩემპიონი (1954, 1974, 1990); მე-2 ადგილი (1966, 1982, 1986, 2002); მე-3 ადგილი (1934, 1970, 2006, 2010);

ევროპის 3-გზის ჩემპიონი (1972, 1980, 1996); მე-2 ადგილი (1976, 1992, 2008);

კონფედერაციის თასზე მე-3 ადგილი (2005); ოლიმპიურ თამაშებზე ასევე მე-3 ადგილი (1988).

***პროგნოზი***

როდესაც საუბარია გერმანიის ნაკრებზე, პროგნოზის გაკეთება თითქმის ადვილია. როგორი ნაკრებიც არ უნდა ჰყავდეთ გერმანელებს, ყველგან ფავორიტად მიიჩნევიან.

წელს კი ერთ-ერთი გამორჩეული ნაკრები ჰყავთ და, თუ რამემ ხელი არ შეუშალა, ფინალამდე იოლად უნდა მივიდნენ.

### შედეგები ევროპის ჩემპიონატზე

1972
ნახევარფინალი
ბელგია-გფრ 1:2
ფინალი
გფრ-საბჭოთა კავშირი 3:0
სულ: 2 თამაში, 2 მოგება, ბურთები 5:1, ჩემპიონი

1976
ნახევარფინალი
იუგოსლავია-გფრ 2:4 (დდ)
ფინალი
ჩეხოსლოვაკია-გფრ 2:2 (5:3პ)
სულ: 2 თამაში, 1 მოგება, 1 ფრე, ბურთები 6:4, მე-2 ადგილი

1980
ჯგუფური ეტაპი
ჩეხოსლოვაკია-გფრ 0:1; გფრ-ჰოლანდია 3:2; საბერძნეთი-გფრ 0:0;
ფინალი
ბელგია-გფრ 1:2
სულ: 4 თამაში, 3 მოგება, 1 ფრე, ბურთები 6:3, ჩემპიონი

1984
ჯგუფური ეტაპი
გფრ-პორტუგალია 0:0; გფრ-რუმინეთი 2:1; გფრ-ესპანეთი 0:1
სულ: 3 თამაში, 2 ფრე, 1 წაგება, ბურთები 2:2

1988
ჯგუფური ეტაპი
გფრ-იტალია 1:1; გფრ-დანია 2:0; გფრ-ესპანეთი 2:0
ნახევარფინალი
გფრ-ჰოლანდია 1:2
სულ: 4 თამაში, 2 მოგება, 1 ფრე, 1 წაგება, ბურთები 6:3, მე-3 ადგილი

1992
ჯგუფური ეტაპი
დსთ-გერმანია 1:1; შოტლანდია-გერმანია 0:2; ჰოლანდია-გერმანია 3:1
ნახევარფინალი
შვედეთი-გერმანია 2:3
ფინალი
გერმანია-დანია 0:2
სულ: 5 თამაში, 2 მოგება, 1 ფრე, 2 წაგება, ბურთები 7:8, მე-2 ადგილი

1996
ჯგუფური ეტაპი
გერმანია-ჩეხეთი 2:0; რუსეთი-გერმანია 0:3; იტალია-გერმანია 0:0
მეოთხედფინალი
გერმანია-ხორვატია 2:1
ნახევარფინალი
გერმანია-ინგლისი 1:1 (6:5პ)
ფინალი
ჩეხეთი-გერმანია 1:2 (დდ)
სულ: 6 თამაში, 4 მოგება, 2 ფრე, ბურთები 10:3, ჩემპიონი

2000
ჯგუფური ეტაპი
გერმანია-რუმინეთი 1:1; ინგლისი-გერმანია 1:0; პორტუგალია-გერმანია 3:0
სულ: 3 თამაში, 1 ფრე, 2 წაგება, ბურთები 1:5

2004
ჯგუფური ეტაპი
გერმანია-ჰოლანდია 1:1; ლატვია-გერმანია 0:0; გერმანია-ჩეხეთი 1:2
სულ: 3 თამაში, 2 ფრე, 1 წაგება, ბურთები 2:3

2008
ჯგუფური ეტაპი
გერმანია-პოლონეთი 2:0; ხორვატია-გერმანია 2:1; ავსტრია-გერმანია 0:1
მეოთხედფინალი
პორტუგალია-გერმანია 2:3
ნახევარფინალი
გერმანია-თურქეთი 3:2
ფინალი
გერმანია-ესპანეთი 0:1
სულ: 6 თამაში, 4 მოგება, 2 წაგება, ბურთები 10:7, მე-2 ადგილი

### გზა ევროპის 2012 წლის ჩემპიონატამდე

ბელგია-გერმანია 0:1; გერმანია-აზერბაიჯანი 6:1; გერმანია-თურქეთი 3:0; ყაზახეთი-გერმანია 0:3; გერმანია-ყაზახეთი 4:0; ავსტრია-გერმანია 1:2; აზერბაიჯანი-გერმანია 1:3; გერმანია-ავსტრია 6:2; თურქეთი-გერმანია 1:3; გერმანია-ბელგია 3:1

სულ: 10 თამაში, 10 მოგება, ბურთები 34:7, 30 ქულა, პირველი ადგილი

კალენდარი 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე

9 ივნისი: გერმანია-პორტუგალია; 13 ივნისი: ჰოლანდია-გერმანია; 17 ივნისი: დანია-გერმანია

***შემადგენლობა:***

მეკარეები: 1.მანუელ ნოიერი (ბაიერნი), 12.ტიმ ვიზე (ვერდერი), 22.რონ-რობერტ ცილერი (ჰანოვერი);

მცველები: 3.მარსელ შმელცერი (დორტმუნდი); 4.ბენედიქტ ჰიოვედესი (შალკე); 5.მატს ჰუმელსი (დორტმუნდი); 14.ჰოლგერ ბადშტურბერი (ბაიერნი); 16.ფილიპ ლამი (ბაიერნი); 17.პერ მერტეზაკერი (არსენალი, ინგლისი); 20.ჯერომ ბოატენგი (ბაიერნი);

ნახევარმცველები: 2.ილქაი გიუნდოგანი (დორტმუნდი); 6.სამი ჰედირა (რეალი, ესპანეთი); 7.ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი); 8.მესუტ ოზილი (რეალი, ესპანეთი); 13.ტომას მიულერი (ბაიერნი); 15.ლარს ბენდერი (ლევერკუზენი); 18.ტონი კროოსი (ბაიერნი); 19.მარიო გიოტცე (დორტმუნდი); 21.მარკო რიოსი (გლადბახი);

თავდამსხმელები: 9.ანდრე შიურლე (ლევერკუზენი); 10.ლუკაშ პოდოლსკი (კიოლნი); 11.მიროსლავ კლოზე (ლაციო, იტალია); 23.მარიო გომესი (ბაიერნი)

მთავარი მწვრთნელი: იოახიმ ლიოვი

## დანია

**ადგილი ფიფას რეიტინგში: 10**

დანიის ფეხბურთის ასოციაცია დაარსებულია 1889 წელს. ფიფას წევრია 1904 წლიდან, უეფასი – 1954 წლიდან.

ნაკრების ფერებია წითელი და თეთრი. მეტსახელები – თეთრ-წითლები, ოლსენის თერთმეტი მეგობარი, დანიური დინამიტი.

პირველი მატჩი 1908 წლის 19 ოქტომბერს საფრანგეთთან (9:0) გამართა, ყველაზე დიდი მოგება 1908 წლის 22 ოქტომბერს იმავე საფრანგეთთან (17:1) აქვთ, ხოლო ყველაზე დიდი მარცხი – 1937 წლის 16 მაისს, გერმანიასთან (0:8).

ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი პეტერ შმეიხელს (129), იონ-დალ ტომასონსა (112) და ტომას ჰელვეგს (108) აქვთ ჩატარებული. ყველაზე მეტი გოლი კი პოლ ნილსენი, იონ-დალ ტომასონი (52-52), პრებენ ლარსენსა (38), მიქაელ ლაუდრუპს (37) გაუტანიათ.

მიღწევები მწირი: ევროპის ჩემპიონი 1992 წელს და კონფედერაციის თასის ჩემპიონი 1995 წელს. ოლიმპიური თამაშებზე მე-2 ადგილი (1908, 1912, 1960) და მე-3 ადგილი (1948).

***პროგნოზი***

ძალიან ძნელია, ამ გუნდს ამ ჩემპიონატზე რაიმე პროგნოზი გავუკეთოთ. დანიელები ურთულეს ჯგუფში მოხვდნენ და, თუ რომელიმე მატჩი მოიგეს, სკანდინაველებისთვის მართლაც დიდი მიღწევა იქნება.

### შედეგები ევროპის ჩემპიონატზე

1964
ნახევარფინალი
დანია-სსრკ 0:3
მე-3 ადგილისთვის
დანია-უნგრეთი 1:3 (დდ)
სულ: 2 მატჩი, 2 მარცხი, ბურთები 1:6

1984
ჯგუფური ეტაპი
საფრანგეთი-დანია 1:0; დანია-იუგოსლავია 5:0; დანია-ბელგია 3:2
ნახევარფინალი
დანია-ესპანეთი 1:1 (4:5პ)
სულ: 4 მატჩი, 2 მოგება, 1 ფრე, 1 წაგება, ბურთები 9:4

1988
ჯგუფური ეტაპი
დანია-ესპანეთი 2:3; დანია-გფრ 0:2; დანია-იტალია 0:2
სულ: 3 მატჩი, 3 წაგება, ბურთები 2:7

1992
ჯგუფური ეტაპი
დანია-ინგლისი 0:0; შვედეთი-დანია 1:0; საფრანგეთი-დანია 1:2
ნახევარფინალი
ჰოლანდია-დანია 2:2 (4:5პ)

**გაგრძელება მე-10 გვერდზე**

# ნიკოლოზ ცისკარიძე უფასოდ იცეკვებს

ეკა ირემაშვილი

10 წლიანი პაუზის შემდეგ, დიდი თეატრის ცნობილი ბალერონი ნიკოლოზ ცისკარიძე თბილისს ეწვია და მონაწილეობას მიიღებს მარის ლიეპას დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილ გალა-კონცერტში, რომელშიც კლასიკური ბალეტის თანამედროვე ვარსკვლავები არიან გაერთიანებული.

7 ივნისს, თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში, თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით გაიმართება XX საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიო საბალეტო ხელოვნების მეგა-ვარსკვლავის, ლეგენდარული მოცეკვავის, პედაგოგის, მსახიობისა და ქორეოგრაფის მარის ლიეპას დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი გალა-კონცერტი. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ დიდი თეატრის პრიმა-ბალერინა, მოდელი და მსახიობი ილზე ლიეპა, რუსეთის სახალხო არტისტი, საერთაშორისო თეატრალური პრემიების ლაურეატი და ჩვენი თანამემამულე, დიდი თეატრის პრემიერი, ცნობილი მოცეკვავე და ტელეწამყვანი, მსოფლიო საბალეტო ხელოვნების ვარსკვლავი ნიკოლოზ ცისკარიძე, რომელიც უკვე 15 წელია არ გამოჩენილა ქართულ საბალეტო სცენაზე.

გალა-კონცერტში ილზე ლიეპასა და ნიკოლოზ ცისკარიძესთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ფრანგი მოცეკვავე და ქორეოგრაფი პატრიკ დე ბანა, მორის ბეჟარის საბალეტო დასის ბეჟარტ ბალეტისა და კომპანია ნაციონალ დე დანზას სოლისტი. თბილისელ მაყურებლებს ასევე საშუალება მიეცემა საკონცერტო დარბაზის სცენაზე იხილონ დიდი თეატრის პრიმა-ბალერინები მარიანა რიჟკინა და ელენა ანდრიენკო, მარინის თეატრის (სანკტ-პეტერბურგი) სოლისტები ანდრეი ბატალოვი და ილია კუზნეცოვი, მოსკოვის სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრის პრემიერი გიორგი სმილევსკი, პერმის ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი ნატალია დომრაჩევა.

როგორც მუსიკისა და დრამის თეატრში გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე ნიკოლოზ ცისკარიძემ განაცხადა, ის გალა კონცერტზე ილზე ლიეპასთან და მარიანა რიჟკინასთან ერთად იცეკვებს.

– მოხარული ვარ, რომ ისევ ჩამოვედი საქართველოში. აქაურობა ჩემს ბავშვობასთან არის დაკავშირებული. 7 ივნისს თბილისის საკონცერტო დარბაზში დაგეგმილია მარის ლიეპას საიუბილეო გალაკონცერტი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მივიღო. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ასეთი პიროვნების – მარის ლიეპას იუბილეში და თანაც საქველმოქმედო ღონისძიებაში ჩავერთვები, – განაცხადა ნიკოლოზ ცისკარიძემ.

საიუბილეო ღონისძიება საქველმოქმედოა. შემოსული თანხა ლეიკემიით და აუტიზმით დაავადებული ბავშვების მკურნალობას მოხმარდება. პროექტის ფარგლებში გაერთიანდა ექსპოზიციის გახსნა თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრის ფოიეში, რომელიც მოიცავს ბალერონის პირად ფოტოარქივში დაცულ ექსპონატებს, ფურშეტი და დოკუმენტური ფილმის ჩვენება ასევე მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრის ბაღში და გალა-კონცერტი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. სპეციალურად ამ მნიშვნელოვანი თარიღისთვის ჩამოისხა ღვინო „მარის ლიეპა 75“.

ლეიკემიითა და აუტიზმით დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად საქველმოქმედო ფონდი „მომავალი შენია“ დათო ოქიტაშვილმა დააარსა. უკვე რამდენიმე თვეა, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად საქველმოქმედო კონცერტები ტარდება. მარის ლიეპას საიუბილეო კონცერტი ამ პროექტის ნაწილია. მისი ავტორია ნინო ლაპიაშვილი, სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი კი ლეგენდარული ბალერონის შვილი ანდრის ლიეპა.

**ანდრის ლიეპა:**

– ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ნინომ მომიწვია თავის 30 წლიანი მოღვაწეობის გალა-კონცერტზე. როცა იყო მსოფლიოს საბალეტო ვარსკვლავთა საღამო ფილარმონიაში, ასოციაცია გამიჩნდა იმ პერიოდის, როცა მე და ნინო ჩამოვდიოდით და ვცეკვავდით ამ უზარმაზარ დარბაზში. ვხედავდი, როგორ რეაგირებდა მაყურებელი ბალეტზე, ვიცი, რომ თქვენთან საბალეტო მაყურებლის დიდი ტრადიციაა. დარწმუნებული ვარ, ვახტანგ ჭაბუკიანის ქვეყანაში ხალხი დადის თეატრში და იღებს დიდ სიამოვნებას საინტერესო სპექტაკლების ყურებით. ამ საღამოზე ყოფნისას მომივიდა აზრი, რაღაც გაგვეკეთებინა, ეს წელი მამაჩემის საიუბილეო წელია. მე და ნინოს 3 წელი გვასწავლიდა მამაჩემი და უნიკალურ დუეტად ვართ მიჩნეული, ჩვენ გრან პრიც ავიღეთ ამერიკაში საუკეთესო წყვილისთვის. ასეთი პრიზი არავის აუღია, ყველა სოლო ცეკვისთვის იღებს მას. მეორე ასეთი წყვილი არ არსებობს. მთელი ჩემი შემოქმედება საქართველოსთან არის დაკავშირებული. მამაჩემი ჩამოდიოდა აქ, უყვარდა თბილისი, ატარებდა გასტროლებს და თბილისელი მაყურებლისთვის ცეკვავდა. თბილისთან ჩვენი ოჯახის შემოქმედების დიდი ნაწილია დაკავშირებული. მამას წელს შეუსრულდებოდა 75 წელი. ის ძალიან ახალგაზრდა, 52 წლის იყო, როცა გარდაიცვალა. მისი წასვლის შემდეგ, დავაარსეთ მისი სახელობის ფონდი, რომელიც აქტიურად მუშაობს ქორეოგრაფიასა და ქველმოქმედებაში. ბევრი საქველმოქმედო საღამო გვაქვს ჩატარებული. როცა დათო ოქიტაშვილმა დამპატიჟა ვალერი მელაძის საღამოზე, სიამოვნებით ჩამოვედი, ვმეგობრობ ვალერი მელაძესთან, ყველა მსახიობი საქართველოდან, რომლებიც მოსკოვში ცხოვრობენ, ჩემი მეგობრები არიან. ნინო ანანიაშვილმა უდიდესი სამუშაოები ჩაატარა, რაც საბალეტო დასის ხელმძღვანელი გახდა. დასი იდეალურ მდგომარეობაშია, ისინი გასტროლებზეც აქტიურად დადიან, მათი თეატრი რემონტზეა და როცა გაიხსნება, იმედი მაქვს ერთობლივ სპექტაკლსაც დავდგამთ. 7 ივნისს კი შეგვიძლია ჩავატაროთ საქველმოქმედო კონცერტი, რომელიც ერთი თვის წინ ვალერი მელაძემ ფილარმონიაში ჩაატარა. მინდა ამ საღამომ სიხარული მიანიჭოს თბილისელ მაყურებელს, რომელსაც ძალიან უყვარს ბალეტი, იცის და ესმის. დავეხმაროთ იმ ბავშვებს, ვისაც ლეიკემია და აუტიზმი აწუხებს. მინდა ჩვენს მაგალითს სხვებმაც მიბაძონ და გაიგონ, რომ თუ ამქვეყნად სიკეთე არ ვაკეთეთ, ჩვენი ხსნა არ იქნება და სასიკეთოდ არაფერი შეიცვლება. მინდა ეს საღამო იყოს მამაჩემის შემოქმედების ერთგვარი პატივისცემა. ჩვენ ვაჩვენებთ კადრებს მისი შემოქმედებიდან, რომელიც დარჩენილია. სამწუხაროდ, ძალიან ცოტა დოკუმენტური მასალები გვაქვს, მაგრამ 10 წუთიანი ფილმი საკმაოდ დატვირთულია მისი შემოქმედების ამსახველი მნიშვნელოვანი მომენტებით. მინდა ეს კონცერტი მამაჩემის საანგარიშო ღონისძიება იყოს, ის უნიკალური პიროვნება იყო და მისაბაძი უნდა იყოს ახალგაზრდა ბალერონებისთვის. გვაქვს ბევრი სიურპრიზი, რომელსაც წინასწარ ვერ ვიტყვით, რადგან გვინდა, სიურპრიზებად დარჩნენ. პროგრამა ძალიან საინტერესოა. მგონია, რომ ნინო ლაპიაშვილთან ერთად ვამზადებთ საინტერესო და ლამაზ საღამოს, რომელიც მაყურებელს დადებითი ემოციებით დატვირთავს. ყველას მადლობა, ვინც გულგრილი არ დარჩა ამ საღამოს მიმართ. ბოლო პერიოდში მესამედ ჩამოვედი თბილისში და უზომოდ კმაყოფილი ვარ, რომ აქ ვიმყოფები. ვინც იყო თბილისში, მიხვდება, რომ თქვენი ქალაქი ლამაზდება და ვითარდება, ვინც არ ყოფილა, ის აღმოაჩენს ულამაზეს ქალაქს. მიყვარს თქვენი მაყურებელი, მათ კარგი გემოვნება აქვთ და იციან ნამდვილი ხელოვნების ფასი. ყველას დიდი მადლობა. მეც საქველმოქმედო ფონდი მაქვს და ვიცი, რა რთულია იპოვო ადამიანები, ვისთვისაც ბავშვების ტკივილი სულ ერთი არ არის. იმედი მაქვს, რომ ნინო ლაპიაშვილთან და დათო ოქიტაშვილთან მეგობრობას გავაგრძელებ. ყველა პოლიტიკური პრობლემის მიუხედავად, ჩვენი ურთიერთობა არასოდეს გაწყდება. იმის მაგივრად, რომ პოლიტიკოსებმა სხვადასხვა პრობლემები გაანეიტრალონ, პირიქით მოქმედებენ. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ საქართველოსთან კავშირს არ გავწყვეტთ და კიდევ არაერთ საინტერესო და ლამაზ საღამოებს გაჩუქებთ.

**ნიკოლოზ ცისკარიძე:**

– ჩამოვედი, რომ ვიცეკვო მარის ლიეპასადმი მიძღვნილ საიუბილეო კონცერტზე. ათი წელია თბილისში არ ვყოფილვარ, დიდი სიამოვნებით დავთანხმდი ამ წინადადებას, ვიცეკვებ ილზე ლიეპასთან და მარიანა ლიჟკინასთან ერთად. საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობაზე უარს არასოდეს ვიტყვი. დიდი მადლობა ყველას, ვინც ღირსად ჩამთვალა ასეთი დიდი პიროვნების საიუბილეო კონცერტში მონაწილეობისთვის.

**დათო ოქიტაშვილი:**

– ეს არის საკონცერტო ღონისძიებების სერია, პირველი იყო ვალერი მელაძე. ანდრეს ლიეპამ კი რამდენიმე ღონისძიება დაგეგმა და თითოეული მათგანი უმნიშვნელოვანესი და უნიკალურია. პირველ რიგში დიდი მადლობა ნინო ანანიაშვილს, რომ არა ნინო და ჩვენი საბალეტო დასი, მართლა ვერ მოვახერხებდით ამ ღონისძიების გამართვას. მარის ლიეპა – ეს ყველაზე ნათელი და კაშკაშა ვარსკვლავია საბალეტო ხელოვნებაში. უფროსი ასაკის მაყურებელს ის სცენაზეც ემახსოვრება, რადგან ლიეპა გასტროლებს საქართველოში ხშირად მართავდა. ეს კონცერტი არის ერთ-ერთი სერია ჩვენი საქველმოქმედო ღონისძიებებისა, რომელიც აუტიზმითა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს ეხმარება.

**ნინო ლაპიაშვილი:**

– ნიკოლოზ ცისკარიძე ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავია საბალეტო ხელოვნებისა და მიხარია, რომ ამდენი ხნის პაუზის შემდეგ ჩამოვიდა ჩვენს ქალაქში და ემზადება 7 ივნისის კონცერტისთვის, რომელიც გაიმართება დიდ საკონცერტო დარბაზში და ლეიკემიითა და აუტიზმით დაავადებულ ბავშვებს მდგომარეობის შემსუბუქებაში დაეხმარება.

– რატომ გადაწყვიტეთ, მარის ლიეპას 75 წლის იუბილე თბილისში აღგენიშნათ?

– რა რანგის და რა დონის მოცეკვავე იყო მარის ლეპა, ამაზე არც არის საერთოდ საუბარი საჭირო. ბალეტომანების კატეგორიაში გავდივარ და მერწმუნეთ, თითებზე ჩამოსათვლელია ის ხალხი, ვინც იმსახურებს დიდი გენიალური მოცეკვავის წოდებას, ამ შემთხვევაში მარის ლიეპა ერთ-ერთი მათგანია. მე პირადად მომსწრე ვიყავი მისი შემოქმედების, მას პირადად ვიცნობდი და ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო მისი იუბილეს საქართველოში გადახდა. ის გასტროლზე ჩამოდიოდა საქართველოში, აქ ცეკვავდა და მაყურებელს დღემდე ახსოვს. ამიტომაც მისი საიუბილეო დღეები აქ უნდა ჩატარებულიყო. არაფერი გამოვიდოდა, რომ არ ყოფილიყვნენ ჩემი მეგობრები. ერთია, რომ გაქვს იდეა და მეორეა, როცა ყველაფერს განახორციელებ. დათო ოქიტაშვილი აღმოჩნდა ის ადამიანი, ვისაც ბალეტთან დაკავშირებით ეჟვანი შევაბი. ცოტა რთულია ამ სახის ღონისძიებების ჩატარება. საბალეტო პროექტები არ არის მასობრივი ღონისძიება და მარტივი გასაკეთებელი, ეს საკმაოდ რთულია და ნამდვილი ფუფუნებაა. ბალეტი ელიტარული ხელოვნების ნიმუშია. კარგია, რომ საწყისი ნაბიჯები იდგმება. თბილისში არის ნინო ანანიაშვილი, რომელიც ანრის ლიეპას პარტნიორი იყო და ამანაც გაამარტივა ამ პროექტის განხორციელება.

***– რამდენად ძვირია ეს პროექტი?***

– ერთ-ერთი უძვირესი პროექტია. მერიის გარეშე ამ იუბილეს ვერანაირად ვერ აღვნიშნავდით. მოგეხსენებათ, საბალეტო სცენა ცალკე საკითხია. ეს არ არის ის სცენა, რომელიც ჩვეულებრივია და სადაც ცეკვის ანსამბლები ცეკვავენ. ეს არის განსაკუთრებული სცენა. ნინო ანანიაშვილმა ყველაფერი გააკეთა, რომ ჩვენ ეს სცენა გვქონოდა. ნინომ იზრუნა იმაზე, რომ მოცეკვავეებს ჰქონდეთ უნიკალური იატაკი, არავინ წაიქცევა და არავინ ფეხს არ მოიტეხს.

***– როგორია ამ ვარსკვლავების ჰონორარი?***

– ეს არის საქველმოქმედო კონცერტი. ყველა მოცეკვავე ჩამოდის უსასყიდლოდ. მათი ჰონორარები არის საკმაოდ სოლიდური, ასეთი ხალხის თავმოყრა ჰონორარის გარეშე, არ არის ადვილი. მათ უკვე გაწერილი აქვთ თავისი საგასტროლო გრაფიკი, მაგრამ მოინდომეს და ჩვენთან ერთად იქნებიან. მთელი შემოსავალი გადაირიცხება აუტიზმითა და ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დახმარების ფონდში, რომელიც საქართველოს პატრიარქმა დააარსა. გამოფენა გავხსენით, რომელიც ბალერონის პირადი არქივია და უნიკალურია. 365 ფოტოა წარმოდგენილი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სიტუაციაში, პროფესიონალი ფოტოგრაფების მიერ გადაღებული. ეს არის ოქროს ხანა საბჭოთა კავშირის საბალეტო ისტორიაში. მთელი თეატრი მუშაობს ამ ღონისძიებაზე, მიუხედავად იმისა, რომ პრემიერაა, თეატრი ბლოკირებულია. თან მოვახდინეთ დეგუსტაცია ღვინისა „მარის ლიეპა 75“. გარდა ამისა, არსებობს სპეციალური ფილმი, რომელიც მარის ლიეპას შემოქმედებას აერთიანებს, ვისაც არ ჰყავს მარის ლიეპა სცენაზე ნანახი, ამ ფილმით მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა. ამ ფილმში ყველა ვარსკვლავია გაერთიანებული, თან მის ტრაგიკულ ისტორიაზეც არის საუბარი, რომელიც ამ უგვირგვინო მეფემ გაიარა.

***– საბოლოოდ გაირკვა, ვინ მიიღებს მონაწილეობას?***

– ჩამომსვლელთა სია სულ იცვლებოდა, მხოლოდ სამი გამოკვეთილი ფიგურა გვყავდა, ანრის ლიეპა, ილზე ლიეპა და ნიკოლოზ ცისკარიძე. ვინც ჩამოვა, ყველას საქციელი გმირობაა, რადგან ახლა თეატრალური სეზონია, ყველა თავის თეატრშია დაკავებული, ვინც მოწყდება თავის საქმეს და თბილისს ესტუმრება, ეს ნამდვილად მისასალმებელია.



ნიკოლოზ ცისკარიძე

## სიკვდილის ჯგუფი

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ფინალი
დანია-გერმანია 2:0
სულ: 5 მატჩი, 3 მოგება, 1 ფრე, 1 მარცხი. ბურთები: 6:4

1996
ჯგუფური ეტაპი
დანია-პორტუგალია 1:1; დანია-ხორვატია 0:3; დანია-თურქეთი 3:0
სულ: 3 მატჩი, 1 მოგება, 1 ფრე, 1 წაგება, ბურთები 4:4

2000
ჯგუფური ეტაპი
დანია-საფრანგეთი 0:3; დანია-ჰოლანდია 0:3; დანია ჩეხეთი 0:2
სულ: 3 მატჩი, 3 წაგება, ბურთები 0:8

2004
ჯგუფური ეტაპი
დანია-იტალია 0:0; დანია-ბულგარეთი 2:0; დანია-შვედეთი 2:2
მეოთხედფინალი
ჩეხეთი-დანია 3:0
სულ 4 მატჩი, 1 მოგება, 2 ფრე, 1 წაგება, ბურთები 4:5

### გზა ევროპის 2012 წლის ჩემპიონატამდე

დანია-ისლანდია 1:0; პორტუგალია-დანია 3:1; დანია-კვიპროსი 2:0; ნორვეგია-დანია 1:1; ისლანდია-დანია 0:2; დანია-ნორვეგია 2:0; კვიპროსი-დანია 1:4; დანია-პორტუგალია 2:1

### კალენდარი 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე

9 ივნისი: ჰოლანდია-დანია; 13 ივნისი: დანია-პორტუგალია; 17 ივნისი: დანია-გერმანია

*შემადგენლობა*

მეკარეები: 1. სტეფან ანდერსენი (ევიანი, საფრანგეთი); 16. ანდერს ლინდეგაარდი (მანჩესტერი, ინგლისი); 22. კასპერ შმეიხელი (ლესტერი, ინგლისი);

მცველები: 3. სიმონ კიაერი (რომა, იტალია); 4. დანიელ აგერი (ლივერპული, ინგლისი); 5. სიმონ პოულსენი (ალკმაარი, ჰოლანდია); 6. ლარს იაკობსენი (კოპენჰაგენი); 12. ანდრეას ბიელანდი (ნორდსიალანდი); 13. იორეს ოკორე (ნორდსიალანდი); 18. დანიელ ვასი (ევიანი, საფრანგეთი)

ნახევარმცველები: 2.კრისტიან პოულსენი (ევიანი, საფრანგეთი); 7.უილიამ კვისტი (შტუტგარტი, გერმანია); 8.კრისტიან ერიქსენი (აიაქსი, ჰოლანდია); 9.მიქაელ კრონ-დელი (ბრონდბიუ); 14.ლასე შენე (აიაქსი, ჰოლანდია); 15.მიქაელ სილბერბაუერი (იანგ ბოიზი, შვეიცარია); 19.იაკობ პოულსენი (მიდტიულანდი); 20.ტომას კალენბერგი (ევიანი, საფრანგეთი); 21.ნიკი ზიმლინგი (ბრიუგე, ბელგია)

თავდამსხმელები: 10.დენის რომედალი (ბრონდბიუ); 11.ნიკლას ბენდტნერი (სანდერლენდი, ინგლისი); 17. ნიკლას პედერსენი (გრონინგენი, ჰოლანდია); 23.ტობიას მიკელსენი (ნორდსიელანდი)

მთავარი მწვრთნელი: მორტენ ოლსენი

## კროსვორდი



**შვეულად**: 1. ფასიანი ქაღალდების კურსის დაწევა ბირჟაზე; 2. ოჩამჩირეს ძველებური სახელწოდება; 3. საერთაშორისო ხელშეკრულების შესავალი ნაწილი; 4. ჩეხური ნაგაზი; 5. მხარე ავსტრიაში; 9. მუშაობის, ენერგიის საზომი ერთეული ფიზიკაში; 10. ჯარის რჩეული ნაწილი; 14. ცხოველის გარეგნული შესახედაობა, აგებულება; 15. გემის ავარიის შედეგად მიყენებული ზარალის შემფასებელი ოფიციალური ექსპერტი; 16. შავი და თეთრი შრეებისგან შემდგარი მინერალი, აქატის ნაირსახეობა; 19. შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 20. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 21. ბაყაყის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად**: 6. სითხის გამოსახდელი ხელსაწყო; 7. პირველი ქართველი მფრინავი; 8. ბელგიური ავიაკომპანია; 11. მონასტრის მსახური; 12. არწივის ძველი ქართული სახელწოდება; 13. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. თამაშ-გამოცანა; 18. კიდული რკინიგზა; 22. ოქროს ჩამოსასხმელი ყალიბი; 23. ეკლესია, მონასტერი; 24. ავყია, ჩხუბის, დუელის ამტეხი ადამიანი; 25. ეროვნული სამლოცველო.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## ბოლო ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მსგეფსი; 2. იამოტო; 3. ჩატურანგა; 4. ფელბსი; 5. რელიქვია; 7. არვე; 11. დუბლინი; 13. კამვოლი; 15. ღალღა; 16. ტემზა; 18. ვისკი; 19. ბრასი.

**თარაზულად:** 6. სეზარი; 8. ვახშამი; 9. გოლეული; 10. ფაზენდა; 12. გოთუა; 14. ლიძავა; 17. გემოვნება; 20. შეიკერი; 21. აღლუმი; 22. კრისტი; 23. ფარინგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კარიერი; 2. ოფიცერი; 3. ლივერპული; 4. ბლუზი; 5. ორჰელი; 9. გიგი; 10. ასპექტი; 14. ინტენდანტი; 15. კოკოშკოვი; 16. ალუპკა; 19. ძლიშავი; 20. ანდები; 21. ალეგრი.

**თარაზულად:** 6. რატიფიკაცია; 7. მეტეორი; 8. კიბუცი; 11. ქიაზმი; 12. კრისი; 13. ჰუდზონი; 17. გემბანი; 18. პოლიგლოტი; 22. კნეთელი; 23. კალანდა; 24. კვესტურა; 25. ბირთვები.

## ირლანდიაში ევროკავშირის საბიუჯეტო პაქტთან დაკავშირებით რეფერენდუმი ჩატარდა



ირლანდიაში ჩატარდა რეფერენდუმი საბიუჯეტო პაქტის მიღების თაობაზე, რომელსაც ბრუსელში 2 მარტს მოეწერა ხელი 27-დან 25 ქვეყნის მეთაურის მიერ. გერმანიისა და საფრანგეთის ინიციატივით შემუშავებული დოკუმენტი შეიქმნა იმისთვის, რომ ევროზონაში და მთლიანად ევროკავშირში, ახალი და საიმედო საფუძველი ჩაეყაროს საფინანსო და საბანკო ბაზარს, რათა მომავალში თავიდან იქნას აცილებული ამჟამინდელი სავალო კრიზისის განმეორება. ირლანდია არის ევროკავშირის ერთადერთი წევრი ქვეყანა, რომელმაც ეს პაქტი საყოველთაო სახალხო რეფერენდუმზე გამოიტანა.

რეფერენდუმამდე რამოდენიმე დღით ადრე ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, ენდი კენიმ სატელევიზიო ეთერის მეშვეობით მიმართა მოქალაქეებს და მოუწოდა მათ პაქტის მხარდაჭერისკენ იმდენად, რამდენადაც ეს პაქტი „საშუალებას იძლევა განხორციელდეს ეკონომიკური და საბიუჯეტო კონტროლი ევროზონის ქვეყნებში“. – ეს პაქტი მოგვიტანს სტაბილურობას, რომელიც აუცილებელია ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის. არჩევნების დადებითი შედეგი დაამტკიცებს, რომ ჩვენი ქვეყანა აკეთებს ყველაფერს ეკონომიკის აღსადგენად, – განაცხადა მან.

მინისტრთა კაბინეტის მეთაურმა აღიარა, რომ კოალიციური მთავრობის მიერ მიღებული ზოგიერთი ზომა საკმაოდ მტკივნეული იყო ბევრი ადამიანისთვის, და დაამატა, რომ გაღებულმა მსხვერპლმა უკვე გაამართლა. მან მოქალაქეებს დარწმუნებთი განუცხადა, რომ „ირლანდიის საერთაშორისო რეპუტაცია აღდგენის გზაზეა, სახელმწიფო ფინანსები კონტროლზეა აყვანილი, ხოლო უმუშევრობის დონე, მიუხედავად იმისა, რომ კვლავ რჩება მაღალ მაჩვენებელზე, შედარებით დასტაბილურდა“.

რეფერენდუმის წინ შინაგან საქმეთა და ვაჭრობის მინისტრმა, ეიმონ გილმორმა ამ შეთანხმებას „გარანტია“ უწოდა და ირლანდიელ ამომრჩეველს ახალი წესების მხარდაჭერისკენ მოუწოდა, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა შესაძლოა ისეთივე კრიზისში აღმოჩნდეს, როგორშიც საბერძნეთი.

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელი ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღდგენის გზაზე. შეთანხმება ხელს შეუწყობს ევროს გამყარებას და უცხოელი ინვესტორების მოზიდვას, რომლებიც თავის მხრივ სამუშაო ადგილებს შექმნიან. შეთანხმება ასევე გახდება იმის გარანტია, რომ ჩვენი ქვეყანა შეძლებს გამოიყენოს ევროპული სტაბილიზაციის მექანიზმები, თუკი დაგვჭირდება მომავალში, – აღნიშნა პოლიტიკოსმა.

ევროკავშირის საბიუჯეტო პაქტის წინააღმდეგ აქტიურ კამპანიას სათავეში პარტია „სინ ფეინის“ ლიდერი, ჯერი ადამსი ჩაუდგა. მან მოქალაქეებს ნაციონალური ინტერესების დაცვისკენ მიუწოდა. „ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობამ გადადო შეთანხმების რატიფიკაცია, „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკა არ მუშაობს და არც რეფერენდუმის შემდეგ ამუშავდება. ახლა, თუ თქვენ არ მოგწონთ მთავრობის ქმედებები, შეგიძლიათ დაითხოვოთ ან ხელახლა აირჩიოთ, მაგრამ თქვენ ვერ გააკეთებთ იგივეს ფრანკფურტისა და ბერლინის ბიუროკრატებთან მიმართებაში, რომლებიც თქვენ არ აგირჩევიათ“.

## ნატომ ავღანეთიდან სამხედრო ტექნიკის გაყვანაზე შეთანხმებას მიაღწია

ნატომ ყაზახეთთან, უზბეკეთთან და ყირგიზეთთან გააფორმა შეთანხმება ავღანეთიდან სამხედრო ტექნიკის გაყვანისას ამ სახელმწიფოების ტერიტორიების გამოსაყენებლად. ამის შესახებ განცხადება ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფოგ რასმუსენმა გააკეთა.

ცენტრალური აზიის ქვეყნებთან შეთანხმების მიღწევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმის გამო, რომ ნახევარი წლის წინ ისლამაბადმა პაკისტანის ტერიტორიდან ნატოს სამხედრო ტექნიკის ტრანზიტი დაბლოკა. ბოლო დროს აშშ-სა და პაკისტანს შორის ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატების მიერ გახშირებული ავიადარტყმების გამო.

შეგახსენებთ, რომ ავღანეთში დისლოცირებული საერთაშორისო ძალების უკანასკნელი კონტინგენტი ავღანეთიდან 2014 წლის ბოლომდე უნდა გამოვიდეს. ნატოს გეგმის მიხედვით, ალიანსის ძალები ავღანეთის არმიას სრულ პასუხისმგებლობა 2014 წლის ბოლოსთვის გადასცემენ.

## დასავლეთ საზღვარზე ხუთი აზერბაიჯანელი სამხედროა მოკლული

გუშინ, დილის 6:30 საათზე, აზერბაიჯანის სოფელ აშაგთან სომეხ დივერსიულ ჯგუფთან შეტაკება მოხდა, რის შედეგადაც აზერბაიჯანის ოთხი სამხედრო გარდაიცვალა. ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურის ცნობით, კიდევ ერთი სამხედრო, ერთ-ერთ სიმაღლეზე, სომხების მხრიდან გახსნილ ცეცხლს ემსხვერპლა. დაძაბული ვითარებაა დასავლეთ საზღვრის სხვა ნაწილებზეც, სადაც ინტენსიური სროლები მიმდინარეობს. შეგახსენებთ, გუშინ სომხური მხარე იუწყებოდა, რომ ამ მიდამოებში ქვეყნის 3 სამხედრო მოკლეს და 5 დაჭრეს.

კერძოდ, მთიანი ყარაბაღის რეგიონში აზერბაიჯანის მხარემ, სოფელ ჩინართან სომხეთის პოზიციები დაცხრილა .

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

შვილი ნინო ელერდაშვილი, სიძე პეტრე პისკუნოვი, შვილიშვილი დიმიტრი ქუთათელაძე, რძალი ია კლდიაშვილი, შვილთაშვილი ნინო ქუთათელაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მედეა გიორგის ასული ქუთათელაძე**

პანაშვიდი: 5, 6 ივნისს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 7 ივნისს, 15 საათზე.
მისამართი: ქ.თბილისი, კოსტავას I გასავალი №24 (ლაგუნა-ვერესთან, ასასვლელი „წყალკანალთან“).

**ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტქლქტ7 რდბჰბს უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8**

## ალ ქაიდას“ მეორე პირი მოკლეს

ამერიკელი მაღალჩინოსნის განცხადებით, პაკისტანში განხორციელებული საჰაერო იერიშის სამიზნე „ალ ქაიდას“ მეორე პირი აბუ იახია ალ-ლიბი იყო. თუმცა მისი თქმით, ჯერ უცნობია, მოკლულია თუ არა ლიბი ჩრდილოეთ ვაზირისტანში განხორციელებული იერიშის შედეგად.

ადრე ცნობილი გახდა, რომ ლიბი 2009 წელს პაკისტანში მსგავსი საჰაერო იერიშის შედეგად მოკლეს. თუმცა, მოგვიანებით დაადგინეს რომ მოკლული ნომერ მეორე ტერორისტი არ იყო. პაკისტანის ხელისუფლების განცხადებით, ორშაბათს განხორციელებული საჰაერო იერიშის შედეგად სულ 15 ადამიანია გარდაცვლილი.

როგორც მოსალოდნელი იყო ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაგმო ამერიკის სამხედრო ოპერაცია და მას „უკანონო“ უწოდა. უპილოტო თვითმფრინავიდან თავდასხმა ჩრდილოეთ ვაზირისტანის ქალაქ მირ-ალიზე განხორციელდა, რომელიც შეაიარაღებული მებრძოლების თავშესაფრად მიიჩნევა.

ამერიკის მიერ პაკისტანის ტერიტორიაზე განხორცელებულ საჰერო იერიშებს, ისლამაბადი სასტიკად ეწინააღმდეგება და მას ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევად მიიჩნევს. ბოლო ორი კვირის განმავლობაში ამერიკამ ქვეყნის ტერიტორიაზე რვა იერიში განახორციელა.



ამერიკელი მაღალჩინოსნის თქმით, თუ ლიბის სიკვდილი დადასტურდა ეს „ალ ქაიდასათვის“ სერიოზული დარტყმა იქნება.

ალ-ქაიდა არ არის ერთიანი სტრუქტურის მქონე ორგანიზაცია. ის უფრო ნაკრებია საერთაშორისო მასშტაბით მოქმედი ისლამისტური ტერორისტული ჯგუფებისა, რომელთაც ნაწილობრივ საერთო მიზნები ამოძრავებენ. ეს ჯგუფები დეცეტრალიზირებული ქსელის სტრუქტრის მქონეები არიან და ერთმანეთთან უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ მეთაურთა პირადი კონტაქტებით არიან დაკავშირებულნი. ჯგუფებს არ გააჩნიათ იერარქიული მმართველობა. მათ აღიარებულ ბელადად ოსამა ბინ ლადენი ითვლებოდა.

## ჩერქეზული კულტურის დღეები დასრულდა

*ეკა ირემაშვილი*

ანაკლიაში ჩერქეზული კულტურის დღეები დასრულდა. ორი დღის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებები მრავალფეროვანი პროგრამით იყო წარმოდგენილი. ზღვისპირა ქალაქში სხვადასხვა ღონისძიება გაიმართა. ანაკლიის ცენტრში მემორიალიც გაიხსნა, რომელიც რუსეთის იმპერიის მიერ ჩერქეზი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნას ეძღვნება. მემორიალის ავტორია ყაბარდო-ბალყარელი ხელოვანი ჰუსენ კოჩესოკოვი. მათი ხსოვნის პატივსაცემად ზღვაზე გემებით გასულებმა წყალში წითელი ვარდები გაუშვეს. ზღვაში სიმღერით სწორედ იმ ადგილზე გავიდნენ, საიდანაც ჩერქეზული ოჯახები იძულებით ემიგრაციაში გაჰყავდათ.



სპეციალურად მოწყობილ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ჩერქეზთა გენოციდის დამადასტურებელი საიდუმლო დოკუმენტები და წერილები. ჩერქეზული დღეების ფარგლებში გაიმართა სამეცნიერო კონფერენციაც თემაზე „ჩერქეზთა გენოციდის აღიარების შედეგები“. ღონისძიების ფარგლებში, სასტუმრო „ოქროს საწმისში“ რამდენიმე გამოფენა მოეწყო, სადაც ჩერქეზი ხალხის კულტურა იყო წარმოდგენილი. ჩერქეზული დღეები ანაკლიაში გრანდიოზული კონცერტით დასრულდა, რომელსაც განმუხურის ამფითეატრმა უმასპინძლა. მასში მინაწილეობა ქართულმა და ჩერქეზულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა მიიღეს. ჩერქეზული დღეები დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით ყოველწლიურად იმართება.

ჩერქეზული კულტურის დღეების ჩატარებამდე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში „ჩერქეზული კულტურის ცენტრი“ დაფუძნდა, რომელიც სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარების პარალელურად, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებს აფორმებს საქართველოში მოქმედ სხვადასხვა ორგანიზაციებთან. „ჩერქეზული კულტურის ცენტრმა“ კულტურის სამინისტროში ღონისძიება დაგეგმა, რომელიც მიეძღვნა ამერიკელ პოლიტოლოგსა და საზოგადო მოღვაწეს პოლ ჰენზის.

– პოლ ჰენზის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ჩერქეზული პრობლემატიკის შესწავლას, ამიტომაც ჩნდება სურვილი, მას მიეძღვნას სპეციალური ღონისძიება, რომელიც ამავდროულად ემთხვევა მისი გარდაცვალების დღეს, – განაცხადა ღონისძიების კურატორმა მარიამ ბეჟიტაშვილმა.

ღონისძიებაში ჩაერთნენ სტუმარი ამერიკის შეერთებული შტატებიდან „საერთაშორისო ჩერქეზული კონსილიუმის“ თავმჯდომარე იად იალარი, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენლობა, ადგილობრივი ქართულ-ამერიკული სკოლებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობა, თბილისისა და სოხუმის უნივერსიტეტის პროფესურა, საგანგებოდ მოწვეული სტუმრები და კავკასიის საკითხებით დაინტერესებული საზოგადოება.

ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრში „ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან ურთიერთობის საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის“ პროექტის პრეზენტაციაც შედგა. მოხსენება დოკუმენტის შესახებ საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ნუგზარ წიკლაურმა და კომიტეტის სპეციალისტმა გიორგი საბედაშვილმა წარმოადგინეს.

– სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩერქეზული კულტურის ცენტრმაც, ამიტომ მისი ფართო განხილვა პარლამენტის კომიტეტის გაერთიანებული სხდომის შემდეგ სწორედ ჩერქეზული კულტურის ცენტრში მოხდა, – განმარტა ნუგზარ წიკლაურმა.

პრეზენტაციას საგანგებოდ მიწვეული სტუმრები, სტუდენტები და კავკასიის საკითხებით დაინტერესებული საზოგადოება ესწრებოდა.

ჩერქეზული კულტურის ცენტრში ხსოვნის საღამო გაიმართა, რომელიც მიეძღვნა ჩერქეზეთის თავისუფლებისთვის მებრძოლ გმირს თეოფილ ლაპინსკის. ღონისძიება ჩერქეზული კულტურის ცენტრის დირექტორთან ერთად გახსნა პოლონეთის რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში ურშულა დოროშევსკამ. ხსოვნის საღამოში მონაწილეობას იღებდნენ საგანგებოდ მიწვეული ქართველი და ჩერქეზი სტუმრები, ვარშავის უნივერსიტეტის წარმომადგენლები, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან მიწვეული პროფესორები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები.

– ხსოვნის საღამოსთვის შერჩეული თარიღი, ამავდროულად, ზუსტად დაემთხვა თეოფილ ლაპინსკის გარდაცვალების ზუსტ დღეს. მსგავსი საღამოები ჩერქეზული კულტურის ცენტრში მომავალშიც მრავლად ჩატარდება, – განაცხადა მარიამ ბეჟიტაშვილმა.

ჩერქეზული კულტურის ცენტრმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმა. მემორანდუმს ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის დირექტორმა პროფესორი მერაბ ჩუხუამ და საქართველოს შსს არქივის დირექტორმა პროფესორმა დავით აფრასიძემ მოაწერეს ხელი. ღონისძიებაზე მხარეებმა კულტურული თანამშრომლობისა და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების პერსპექტივები და თემატური თანამშრომლობის კონკრეტულ ღონისძიებები გაახმოვანეს.

– ერთობლივი მუშაობა ქართულ-ჩერქეზული საზოგადოებრივი და კულტურული ურთიერთობების შესწავლაში და ამ მიმართულებით საარქივო მასალების ერთობლივ დამუშავებაში, საერთო პროექტების შექმნასა და პრაქტიკულ განხორციელებაში, კონფერენციების, სემინარებისა და პრეზენტაციების მოწყობაში გამოიხატება, – განაცხადა შსს არქივის დირექტორმა პროფესორმა დავით აფრასიძემ.

ჩერქეზული კულტურის ცენტრმა მემორანდუმი გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრთანაც გააფორმა.

– მემორანდუმი ითვალისწინებს მხარეებს შორის თანამშრომლობას განათლების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მეცნიერების სფეროებში. შეთანხმების მიზანია აქტიური ურთიერთანამშრომლობით კავკასიური კულტურის და პრობლემატიკის საერთაშორისო არენაზე გატანა, ასევე კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობა, – განაცხადა ჩერქეზთა კულტურის ცენტრის ხელმძღვანელმა მერაბ ჩუხუამ.

ღონისძიება გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტრულ-საგანმანათლებლო ცენტრის მცირე დარბაზში გაიმართა. მას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ლექტორ-მასწავლებლები, საჯარო სკოლების ხელმძღვანელები, პედაგოგები და მოსწავლეები.

– აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში განხორციელდება კულტურული და სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროექტები, რაც ხელს შეუწყობს მსოფლიოში კავკასიური კულტურის პოპულარიზაციას და კავკასიის ხალხთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობების განვითარებას. შეხვედრის ბოლოს ჩერქეზთა ცენტრის ხელმძღვანელმა მერაბ ჩუხუამ წაიკითხა ლექციას კავკასიის ხალხების პრობლემატიკის საერთაშორისო არენაზე გატანის შესახებ, – აღნიშნა გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელმა თამაზ ბურჭულაძემ.

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი
6 ივნისი**

**07.30** ჩვენი დილა **09.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.45** ცხოვრება მშვენიერია **13.50** ვაშინგტონი დღეს **14.30** ევრო-2012. **15.00** სერ. **"დეტექტივი" 17.00** ეკონომ მენიუ **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"ტაქსისტი" 21.00** სერ. **"დეტექტივი" 22.00** ევროპული არჩევანი **00.00** მხ. ფილმი **"ჯიბის ფული"** (12) **02.15** მხ. ფილმი **"მედგარი გული"** (12) (ა. ჯოლი) **04.10** მხ. ფილმი **"პლანეტა: დედამიწის უკანასკნელი დღეები"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 13.45, 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია (პირდაპირი) **16.00** დოკ. ფილმი **16.45** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 20.00** მხ. ფილმი **"ტუტანჰამონის წყევლა" 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"ფრენკი და ჯონი"** (15) (ა. პაჩინო)

**07.30** იმედის დილა **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.30, 05.15, 07.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი" 12.30** დღის შოუ **14.40** რომ გადახვალ, გააჩერე (გან.) **15.20** მან სან კანის ჩემპიონთა (გან.) **17.40** სერ. **"მეწამული ცა" 18.40** სერ. **"შურისძიების სახელით" 21.00** სერ. **"მემკვიდრეები" 22.00** იუმორინა **00.00** რემონტი **01.00** მხ. ფილმი **"საქორწინო წვეულება"** (12) (მ. დუგლასი) **03.10** მხ. ფილმი **"ბუჩ კესიდი და სანდენს კიდი"** (U) (პ. ნიუმენი) **06.30** სერ. **"შურისძიების საფასური"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული" 11.00** სერ. **"კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** თქვენი შოუ **17.00** სერ. **"ტერეზა" 18.45** სერ. **"მგზნებარე გული" 19.50** სერ. **"ველური ყვავილი" 22.00** იღბლიანი ბორბალი **23.00** რა? სად? როდის? **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"მარია ემილია" 09.45, 12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ. ფილმი **12.15** სერ. **"მისი სულის მუსიკა" 13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ველური მთვარე" 18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ვნებათა მიწა" 21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე" 22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"სკოლის მეგობრები" 10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. **"საგა" 12.50, 19.35** სერ. **"ბარონესა კარინი" 13.50** დოკ. ფილმი "ისინი" **15.15** სერ. **"სკოლის მეგობრები" 16.00** დოკ. ფილმი **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** სცენა **23.40** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება 08.30** განთიადი **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.20** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ. ფილმი "წერილი ნაძვებს". **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.05** ამინდი **12.15** მხ. ფილმი მხ. ფილმი **"ხევისბერი გოჩა" 13.40** კონცერტი. **15.05, 18.53, 22.55** ერთი ნივთის ისტორია. **15.10** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **16.45** მხ. ფილმი **"ცისკარა" 18.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას. **18.20** აქტუალური თემა. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.20** მხ. ფილმი **"სერენადა" 19.45** დოკ. ფ. "რასელისტები" (იეღოვას მოწმეები). **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.05** ერთსულოვნების სალონი **22.20** ამაღლება. **22.35, 23.15** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **23.00** საღამოს ლოცვა **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** მხ. ფილმი **"რიგითი რაიანის გადასარჩენად"** 2 ნაწ.

**ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

6 ivnisi


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6219
ევრო —2,0582
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5626
რუსული რუბლი — 0,0549

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21–25, ღამით — 10–14
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18–21, ღამით — 8–10
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19–23, ღამით — 7–9

## ამინდის პროგნოზი 6 ივნისისთვის





8 მაისიდან გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“ მეოთხე ტომი მასონები




გამოსულია:
პირველი ტომი ტირანები



მეორე ტომი 100 გამოჩენილი მხედართმთავარი



მესამე ტომი კანიბალიზმის ისტორია




გამოსაცემად მზადდება:
- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები - იდუმალი საძმო
- მაფიის ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




28 მაისიდან ახალ თაობასთან“ ერთად
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი
მეორე ტომი
ფასი 6 ლარი


## .დაკფვ უფბსღფყბცობყცს= არ აჩქარდეთ

fcnhjghjuyjpb ^ ბღყბცბცსღბც

**ვერძი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **კურო** — ყველა საქმე დღეს არ წამოიწყოთ, ვერ მოასწრებთ. **ტყუპები** — შეხვედრაზე არ დაიგვიანოთ, ოპონენტები აქტიურობენ. **კირჩხიბი** — ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** — ფული გაქვთ, ამდენს არ ელოდით. **ქალწული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ, **სასწორი** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **ღრიანკალი** — იმიჯის შეცვლა სწორედ რომ დროულია, იფიქრეთ ამაზე. **მშვილდოსანი** — ნუ შეეცდებით საქმის გარკვევას, არ არის საჭირო. **თხის რქა** — უფრო მეტად იზრუნეთ ჯანმრთელობაზე, არ გადაიღალოთ. **მერწყული** — საღამო მშვენიერი იქნება, დაჯილდოვდებით. **თევზები** — ცხოვრება გეცვლებათ და ეს მოგწონთ.

უბცეჰღტ,ს ,ტლყბტჰ ლქტც=

## hჰxცღxჰლბ ფ

**შვეულად**: 1. სამართალდამცავი ადმინისტრაციული ორგანო; 2. მდინარე ტოკიოში; 3. შემინული აივანი; 4. თოფით სასროლი ყველაზე წვრილი კალიბრის ნაყოფი; 5. რაიმეს ნაირსახეობა, სახეცვლილება; 7. სამრეწველო რაიონი გერმანიაში; 11. კუთხე საქართველოში; 13. ქართველი პრიმა-ბალერინა; 15. განსაზღვრული ვადითა და პირობით გაცემული თანხა; 16. მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 18. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 19. რაიმე ელემენტების პერიოდული, თანაბარზომიერი მონაცვლეობა.

**თარაზულად**: 6. ლითონზე შესრულებული გრავიურა; 8. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 9. ამერიკელი მეცნიერი, რომელსაც ორჯერ მიენიჭა ნობელის პრემია ქიმიის დარგში; 10. თავხედური გულახდილობა; 12. ფასიანი ქაღალდების საყიდ და გასაყიდ ფასებს შორის სხვაობა; 14. დაბალი, საამო ხმით მღერა; 17. ერთკუზიანი აქლემი; 20. უძველესი ქართული ხალხური თამაში, სანახაობითი წარმოდგენა; 21. სივრცე სახლის სახურავსა და ჭერს შორის; 22. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 23. ესტრადის მომღერალთა სახელწოდება საფრანგეთში.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*




## კობიაშვილს სასჯელი შეუმცირეს



ლევან კობიაშვილს სასჯელი შეუმცირეს და მხოლოდ 2013 წლის 1 იანვრამდე ვერ ითამაშებს. ამ ინფორმაციას გერმანული მედია ავრცელებს.

როგორც იცით, გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა კობიაშვილს თავდაპირველად 2013 წლის 16 მაისამდე აუკრძალა თამაში. თუმცა, როგორც გერმანელები წერენ, ლევანმა მომხდარი მოინანია და სასჯელი თითქმის გაუნახევრდა.

— ასე რომ, ფეხბურთს კიდევ ვითამაშებ! ბოლო პერიოდში ჩემი ოჯახი ბევრს ნერვიულობდა და მოხარული ვარ, რომ პროცესი დასრულდა. „ჰერტას“ თანადგომისთვის მადლობას ვუხდი, იანვრიდან კი ისევ ვითამაშებ, — განაცხადა კობიაშვილმა.

— ჩვენ მომდევნო სეზონში კობიაშვილის იმედი გვექნება, — ეს სიტყვები კი „ჰერტას“ გენერალურ მენეჯერ მიხაელ პრეეცს ეკუთვნის.

მ. ჟ.

## მოსკოვში ოპერაცია არალეგალი 2012-ის“ ფარგლებში 2600 ადამიანი დააკავეს

რუსეთის ფედერალურმა საემიგრაციო სამსახურმა ოპერაცია „არალეგალი 2012“ ჩაატარა. ოპერაციის ფარგლებში მოსკოვში უცხოეთის 2600-ზე მეტი მოქალაქე დააკავეს. ამის შესახებ ფედერალური საემიგრაციო სამსახურის წარმომადგენელმა ზალინა კორნილოვამ განაცხადა.

კორნილოვას თქმით, მათ ბრალი ედებათ რუსეთის საემიგრაციო კანონმდებლობის დარღვევაში.



დაკავებულთაგან 500-ზე მეტი უკვე გააძევეს ქვეყნის ტერიტორიიდან.

ოპერაცია სამრეწველო ობიექტებზე, მშენებლობებზე, კლუბებსა და რესტორნენში ჩატარდა.

კანონმდარღვევევებისგან ჯარიმის სახით ამოღებულია 20 მილიონი რუსული რუბლი.

მოსკოვი ევროპასა და რუსეთში ყველაზე დიდი ქალაქია მოსახლეობის რაოდენობის მხირვ. კონგლომერატის ჩათვლით მისი მოსახლეობა 15 მილიონს აღწევს.

ოფიციალური 2009 წლის მონაცემებით თვით მოსკოვის მოსახლეობა შეადგენს 10 მილიონ 524 ათ. ადამიანს.

გ. მ.

კეჰ]ბ ობსტქბ .დბსტქბ იფდბ